# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№13 (295)
8 – 21 აპრილი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 22 აპრილს


ალექსანდრე ქაჩია

## რა შეიძლება ასწავლოს ბალტიისპირეთმა საქართველოს? 3



## ქართველო პოლიტიკოსებო, რომელს გაქვთ ამის თავი, მილოშ ზემანივით კარზე მიუთითოთ ამერიკის ელჩს? 5

7


## რატომ არ ეცვათ პოლიციელებს ჯავშანჟილეტი, რომელიც მათ სიკვდილისგან გადაარჩენდა?

## ხაზინა და «ხაზეინა»

ანუ

6

## ღარიბაშვილის მთავრობა და ღარიბების ქვეყანა


ბაშარ ასადი:

## კრიზისები სირიასა და უკრაინაში რუსეთის დასუსტების მიზეზით არის პროვოცირებული 11

## მარგვინალები


9

## პოლიტიკური ბორიაყი

## სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში 16



„მენშევიკურ მთავრობას რომელზედაც ხელი მიუწვდა, გაყიდა კიდეც. რაც არ გაიყიდა (მაკულატურა და ჯართი) დღესაც ლევილში მდებარე დანგრეული ორსართულიანი სახლის დერეფნებსა და ოთახებში ყრია, რომლებიც რამდენიმე ხნის წინათ თვითონ დავათვალიერე.“

## ქართველთა როლი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაში




აკადემიკოსი იგორ კურჩატოვი: ბერია კურატორობდა ყველა სამუშაოსა და კვლევას, რომლებიც დაკავშირებული იყო ატომური იარაღის შექმნასთან. მან უზადო ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა... ბერია რომ არა, ატომური ბომბი არ იქნებოდა 14

23

## «დავაბრუნოთ სტალინის ძეგლი კუთვნილ ადგილას!»



პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის სპიკერისგან სტალინის ძეგლის გორში დაბრუნებას ითხოვენ

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ევროკავშირის ელჩი: უკრაინისთვის თავს არ გავწირავთ!

**„ევროპა არ წავა საომრად და თავს არ გაწირავს უკრაინისთვის, და ჩვენ არ წავალთ იმისათვის, რომ რუსეთი შევცვალოთ“, — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა რუსეთში ვიგაუდას უშაცკასმა გაზეთ Versio zinios-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

ევროკავშირის ელჩმა უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია შეშფოთებულია იმით, როგორი იქნება შედეგები, თუკი უკრაინას იარაღით დაეხმარება, და როგორი შეიძლება იყოს რუსეთის საპასუხო რეაქცია.

„ეს ძალიან სერიოზული საკითხებია, რადგან რისკები და საფრთხეები რეალურია“, — აღნიშნა ვიგაუდას უშაცკასმა.





## საქართველოში გერმანიიდან სიცოცხლისთვის საშიში ავტომობილები ჩამოჰყავთ

**გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებელი თაღლითურ ქსელზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში გერმანიიდან სიცოცხლისთვის სახიფათო ავტომობილები ჩამოჰყავთ. ჟურნალისტური გამოძიება ამ თემაზე გერმანიის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჩაატარა.**

საქმე ეხება ასობით ავტომობილს, რომლებიც ავარიის შემდეგ გერმანიაში ორ ნაწილად იჭრება და შემდეგ კონტეინერებით საქართველოში ჩამოჰყავთ. საქართველოში მანქანებს ხელახლა აწყობენ და ახლის ფასად ყიდიან.

გერმანელმა ჟურნალისტებმა თაღლითურ ქსელზე დაკვირვებისას ერთ-ერთ კონტეინერს ბათუმის პორტში მიაკვლიეს, საიდანაც ავტომობილები თბილისში ასაწყობად და რეალიზაციისთვის წაიღეს. ასეთი ავტომობილის ფასი საქართველოში საშუალოდ 7 ათას 400 დოლარია.

გერმანიის საზოგადოებრივმა მაუწყებელის სიუჟეტში განმარტებულია, რომ გადაჭრილი მანქანების გადაზიდვით კონტეინერში სივრცე იზოგება და საბოლოოდ გადამზიდავები თითო კონტეინერში 20 ათას ევრომდე მოგებას ნახულობენ.

ანალოგიური გზებით გერმანიაში ყოველი მეორე უტილიზებული ავტომობილი, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპასა და აფრიკაში გადის. აწყობილი ავტომანქანების მიერ გამოწვეულ საფრთხეებზე საუბრობს ექსპერტი ჰანს ულრიხ სანდერი. ,,აწყობის ხელოვნება, რასაკვირველია, უმაღლეს დონეზეა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს მაინც ნარჩენია და მეტი არაფერი. ასეთი მანქანების ავარიის შემთხვევაში უსაფრთხოება თითქმის ნულის ტოლია“, — აცხადებს ექსპერტი.

გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გაავრცელა.



## ფრანგი კონტრ-ადმირალი: ვიდრე ნატო არსებობს, ევროპა აშშ-ის ვასალად დარჩება

**ნატოს წევრ ევროპის ქვეყნებს არ შეუძლიათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, — ასე თვლის ფრანგი კონტრ-ადმირალი ფრანსუა ჟუერდიე. ის დარწმუნებულია, რომ ევროპა არ უნდა აჰყვეს აშშ-ის ანტირუსულ პოლიტიკას, რომელიც ცდილობს, ხელი შეუშალოს რუსეთს, კვლავაც გახდეს ზესახელმწიფო.**

„ევროპის ქვეყნებმა ბოლო უნდა მოუღონ ნატოს არსებობას ამ ორგანიზაციიდან გამოსვლას და დაუახლოვდნენ რუსეთს. ვიდრე ნატო იარსებებს, არაფერი შეიცვლება და ევროპა აშშ-ის ვასალად დარჩება.

აშშ-ის მიზანია, ხელი შეუშალოს რუსეთს, კვლავ გახდეს ზესახელმწიფო. ეს არ შედის ევროპის ინტერესების სფეროში, რომლისთვისაც რუსეთი პარტნიორი უნდა იყოს“, — განუცხადა ფრანგმა კონტრ-ადმირალმა და მწერალმა ფრანსუა ურდიემ რადისადგურ Sputnik-ს.

## ბიძინა ივანიშვილი: გიორგი მარგველაშვილი ოპოზიციაშია გუნდთან და ამას ვერ ამხელს



**ყოფილი პრემიერმინისტრის — ბიძინა ივანიშვილის აზრით, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „ოპოზიციაშია გუნდთან და ამას ვერ ამხელს“. ამის შესახებ ივანიშვილმა „კვირის 20/30“-ში განაცხადა.**

„იმით, რომ პრაქტიკულად არაფერზე აგებს პასუხს [პრეზიდენტი], ყველაზე დიდი ლეგიტიმაცია ეძლევა იმ მიმართულებით, რომ კაცს ვერაფერს მოსთხოვ, შესაბამისად, ყველა კითხვისგან და პასუხისმგებლობისგან თავისუფალია და შეუძლია, გამაერთიანებლის როლიც ითამაშოს, არბიტრის როლიც. მის სიტყვას უნდა ჰქონდეს მთავარი ძალა და დატვირთვა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენი პრეზიდენტი და საპრეზიდენტო ინსტიტუტი ვერ დაიკვეხნის. მე რამდენიმეჯერ მქონდა გამოსვლა და მივანიშნე მის პოლიტიკურ არაკორექტულობაზე, როდესაც არჩევნებიდან მეორე დღესვე დაუპირისპირდა საკუთარ გუნდს, რომელმაც მოიყვანა პრეზიდენტად. მსგავსი რამ მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში შეიძლება ვერ გაიხსენოთ. დღესაც შემიძლია საზოგადოებას შევახსენო — პრეზიდენტის სასახლეში შესვლა, მისი ვეტოზე მომარჯვებული მოდა, ნიუ იორკში წასვლაზე ჭირვეულობა და აშკარა გაუგებრობაში შესვლა. ნიუ იორკში წასვლას მას რატომღაც დღესაც „ნაციონალური მოძრაობის“ „ელჩი“ იაკობაშვილი ულაგებდა. ასოცირების ხელმოწერაზე, გავიხსენოთ, როგორ გადასცა დემონსტრაციულად პრემიერს ის, რაც თვითონ არ ეკუთვნოდა, პროკურატურას გრიფს არ უხსნიდა პრეზიდენტის საქმეზე, სამჯერ შეხვდნენ პროკურორები და სამივეჯერ უარი უთხრა, სანამ ამბავი მედიით არ გასაჯაროვდა. მოკლედ, ოპოზიციაშია გუნდთან და ამას ვერ ამხელს, თუმცა მთელ მის ქმედებებში ეს მჟღავნდება და ყველაზე კარგად გამომჟღავნდა, როცა „თავისუფალი დემოკრატები“ უმრავლესობას გამოეყვნენ. მანამდე მათთან კომუნიკაციას ვერ ახერხებდა, ხელის ჩამორთმევაც ვერ მოახერხა პეტრიაშვილთან. როგორც კი ოპოზიციაში გადავიდნენ, სასწრაფოდ მოახერხა მათთან დამეგობრება და რიგგარეშე სხდომაც დაუნიშნა“, — განაცხადა ივანიშვილმა.

## ირაკლი ღარიბაშვილი: მივმართავ ყველა პოლიციელს, იმოქმედეთ კანონის ფარგლებში და დაიცავით, პირველ რიგში, საკუთარი სიცოცხლე



**მივმართავ ყველა პოლიციელს, იმოქმედეთ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და დაიცავით, პირველ რიგში, თქვენი სიცოცხლე, — განუცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს დაჭრილი პოლიციელის, ვალერიან გრძელიშვილის მონახულების შემდეგ.**

საქართველოს პრემიერმა მწუხარება გამოხატა პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის გამო.

**„მის ოჯახს მივუსამძიმრე პირადად. ძალიან მძიმე სანახავი იყო მისი მცირეწლოვანი შვილი, რომელიც ოცნებობდა, რომ მამა გმირი ყოფილიყო. ეს არის ძალიან მძიმე შემთხვევა, ტრაგედიაა ჩვენთვის. მინდა, მთელი გულით მივუსამძიმრო შს სამინისტროს ყველა თანამშრომელს ამ პოლიციელის დაღუპვის გამო. დაჭრილი პოლიციელი, მადლობა ღმერთს, სტაბილურად არის, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მადლობა ექიმებს, რომ ექვსსათიანი ოპერაციის შემდეგ შეძლეს მისი გადარჩენა. იმედი მაქვს, მკურნალობის პროცესი სტაბილურად წარიმართება. ჩვენი მხრივ, რაც გვევალება და რის გაკეთებაც შეგვიძლია, დავეხმარებით მაქსიმალურად, როგორც გარდაცვლილის, ასევე დაჭრილის ოჯახებს“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„სიტყვები არ მყოფნის, როგორ შევაფასო ის არაადამიანი, რომელმაც ეს სასტიკი დანაშაული ჩაიდინა. გახსოვთ, ბორჯომში ამ ადამიანმა ერთი პიროვნება მოკლა. ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრება და ხელის აღმართვა ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წევრების მიმართ“, — აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა მოუწოდა შს მინისტრს, პროკურატურას, რომ კრიმინალის წინააღმდეგ გაათმაგონ ბრძოლა.

**„ვინაიდან მსგავსი ფაქტი მოხდა, ეს არის ყოვლად დაუშვებელი. მივმართავ ყველა პილიციელს, იმოქმედეთ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, თქვენ გაქვთ კანონით მინიჭებული ყველა უფლება, რომ დაიცვათ უსაფრთხოება და, პირველ რიგში, საკუთარი სიცოცხლე. კრიმინალების, რომლებიც გარეთ არიან, ადგილი აქ არ არის ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ხალხში, ჩვენ შორის, მათი ადგილია ციხეში ან სხვაგან. ასე რომ, მოვუწოდებ ყველას, მაქსიმალური მობილიზება გააკეთონ. ჩემი მინისტრობის პერიოდში ყოველთვის ვეუბნებოდი ჩემს თანამშრომლებს, რომ ყოველთვის წინ უნდა ვუსწრებდეთ კრიმინალს 2-3 ნაბიჯით და ჩვენ ვერ უნდა დაგვასწროს ვერც ერთმა კრიმინალმა ვერც გასროლა და ვერც ვერაფერი. ასე რომ, ძალიან მძიმე იყო ეს შემთხვევა და იმედი მაქვს, მალე დააკავებენ ამ პიროვნებას. წინააღმდეგობის შემთხვევაში პოლიციელებს აქვთ სრული უფლება, მოახდინონ ამ ადამიანის ლიკვიდაცია. ეს უფლება მათ კანონით აქვთ მინიჭებული“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

## ჩეხეთის პრეზიდენტი: პრაღის სასახლის კარი ჩეხეთში აშშ-ის ელჩისთვის დახურულია



**ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი უარს ამბობს აშშ-ის ელჩთან შეხვედრაზე.**

„პრაღის სასახლის კარი ჩეხეთში აშშ-ის ელჩ ენდრიუ შაპიროსთვის დახურულია“, — განაცხადა მილოშ ზემანმა. ამის მიზეზი ამერიკელი დიპლომატის მიერ ცოტა ხნის წინათ გაკეთებული კომენტარი გახდა, როდესაც მან ჩეხეთის პრეზიდენტი მოსკოვში მეორე მსოფლიო ომის დასრულების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებაზე დასწრების სურვილის გამო გააკრიტიკა.

როგორც მილოშ ზემანი აცხადებს, მისი ვიზიტის გეგმებში არავინ უნდა ჩაერიოს. „ვერ წარმომიდგენია, რომ ჩეხეთის ელჩმა ვაშინგტონში აშშ-ის პრეზიდენტს ურჩიოს, სად წავიდეს და სად — არა“, — განაცხადა ზემანმა. ჩეხეთის პრეზიდენტის ამ განცხადებას ოფიციალური ვაშინგტონი ჯერ არ გამოხმაურებია. მილოშ ზემანი რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით არაერთხელ გამოსულა. მან გასული წლის ნოემბერში ერთ-ერთ რუსულ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ უკრაინაში სამოქალაქო ომია და დასავლეთი უკრაინას არ უნდა დაეხმაროს. ამას გარდა, ჩეხეთის პრეზიდენტმა უკრაინას „ხელოვნური ქვეყანა“ უწოდა.

„საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ უარი უნდა თქვას ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იდეის მანიაკურ მიმდევრობაზე, გადახედოს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს და განსაზღვროს საქართველოს ადგილი და როლი რეგიონში, მოხაზოს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების რეალური პერსპექტივები, გამომდინარე იმ აუცილებლობებიდან, რომლებიც საჭიროა ნორმალური ურთიერთობების, თუნდაც საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის აღსადგენად საქართველოს იმ ნაწილებთან, რომლებიც ბოლო 20 წლის პოლიტიკის შედეგად ქვეყნისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა შეიძლება ასწავლოს ბალტიისპირეთმა საქართველოს?

**ბალტიისპირეთს საქართველოს მიმართ უკავია დამრიგებლისა და აღმზრდელის პოზიცია, და თავის მაგალითით აჩვენებს, როგორ უნდა იცხოვრო, ვისთან იმეგობრო, ვისთან საერთო არაფერი უნდა გქონდეს. პორტალმა RuBaltic.ru-მ შეიტყო, რა დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხისადმი თვითონ საქართველოში და ქვეყანაში არსებული ვითარების განხილვა პოლიტოლოგს, გლობალიზაციის პრობლემების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს — ალექსანდრე ჭაჭიას სთხოვა:**


ალექსანდრე ჭაჭია

**— საქართველოს არცთუ იშვიათად უწოდებენ „ახალ პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთს“. თქვენი აზრით, რასთან არის ეს დაკავშირებული?**

— არ ვიცი, სახელდობრ რა იგულისხმება „ახალ პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთში“. თუ საუბარია ცხოვრების ძალიან დაბალ დონეზე, ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის არნახულ ტემპზე, საბჭოთა წარსულის ისტერიკულ ლანძღვაზე, ანუ იმ პერიოდის გაბიაბრუებაზე, როდესაც ერთ ქვეყანაში ვიყავით, მაშინ — კი, ვგავართ. მეტიც — **თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, როგორც ბალტიისპირეთში, ისე საქართველოში ჭეშმარიტი ბატონ-პატრონები ამერიკის ელჩები არიან, და რომ ისინი ისე იქცევიან, როგორც გენერალ-გუბერნატორები კოლონიებში, მაშინ სწორია, ყველა ამ პარამეტრით, განსაზღვრება „ახალი პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთი“ სამართლიანია.**

**— სჭირდება კი ქვეყანას ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მხრიდან დამრიგებლობა ან მეურვეობა?**

— გამონათქვამი „ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მეურვეობა“, საერთოდ, ძალიან სასაცილოდ ჟღერს, რადგან ბალტიისპირეთის სახელმწიფოები ისეთ კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ მათ ვილაცის არც მეურვეობის შესაძლებლობა გააჩნიათ და არც მორალური უფლება.

საქმე ის არის, რომ **საქართველოში ნათელი წარმოდგენა არ აქვთ, დღეს რეალურად რას წარმოადგენს ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.**

**საქართველოში ამერიკელი პროპაგანდისტების ძალისხმევით, მრავალი წელია, მიმდინარეობს საინფორმაციო შეტევა, მიმართული იმისკენ, რომ აჩვენონ, რა წარმატებული არიან ბალტიისპირეთის ქვეყნები: შევიდნენ ევროკავშირში, ნატოში, უზრუნველყოფენ თავიანთ ეროვნულ უსაფრთხოებას, ხალხი იქ კარგად და კეთილდღეობაში ცხოვრობს.** აი, ამ პროპაგანდას ეწევიან სახელმწიფოებრივ დონეზე საქართველოში. ვფიქრობ, ასეთივე პროპაგანდაა მეზობელ ქვეყნებშიც — სომხეთსა და აზერბაიჯანში.

თუმცა იმ ადამიანებმა, რომლებისთვისაც ცნობილია რეალური ვითარება ბალტიისპირეთის ქვეყნებში, იციან, რომ ემიგრაციის ისეთი მასშტაბები, როგორიც დღეს იქ არის, არასოდეს ყოფილა. კარგ ცხოვრებას კი, მოგეხსენებათ, ხალხი არ გაურბის. მოსახლეობის ცხოვრების დონე უკიდურესად დაბალია. პრინციპში, ისეთივე ვითარებაა, როგორც საქართველოში, მაგრამ **დასავლური პროპაგანდა ქართველებსა და სხვა პოსტსაბჭოთა ხალხებს თავს ახვევს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კეთილდღეობის მითს, რათა წარმოაჩინონ ნატოში შესვლისგან ვითომ მიღებული დადებითი ეფექტი.**

**— ქვეყნის განვითარების რა გზებს ხედავთ დღეს?**

— არის თეორიული გზები და არის შექმნილი რეალობის შესაბამისი გზები. თეორიულად, **საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ უარი უნდა თქვას ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იდეის მანიაკურ მიმდევრობაზე, გადახედოს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს და განსაზღვროს საქართველოს ადგილი და როლი რეგიონში, მოხაზოს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების რეალური პერსპექტივები, გამომდინარე იმ აუცილებლობებიდან, რომლებიც საჭიროა ნორმალური ურთიერთობების, თუნდაც საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის აღსადგენად საქართველოს იმ ნაწილებთან, რომლებიც ბოლო 20 წლის პოლიტიკის შედეგად ქვეყნისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.** მხედველობაში მაქვს აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, რომლებთანაც არავითარი მუშაობა, არ მიმდინარეობს თანაც, არა მხოლოდ რეინტეგრაციაზე, არამედ ნორმალური ურთიერთობის დამყარებაზეც კი იმისათვის, რომ დაიწყოს ჩვენი ხალხების წინაშე მდგარი რეალური პრობლემების განხილვა.

მიმაჩნია, რომ **საქართველომ აუცილებლად უნდა განსაზღვროს, რას წარმოადგენს და როგორი მომავალი სურს: ან დარჩეს სახელმწიფოდ, სადაც ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობები დომინირებენ, ან განაგრძოს დეგრადირება და თავისი მოსახლეობა გადააქციოს უეროვნებო ბიოლოგიურ მასად, როგორც ამისკენ უბიძგებენ დასავლელი კურატორები.**

> **«დღეს საქართველო არ არის საერთაშორისო პოლიტიკის სუვერენული, დამოუკიდებელი სუბიექტი, რადგან მისი საგარეო პოლიტიკა ყალიბდება ამერიკელი კურატორების უშუალო კარნახით»**

**დღეს საქართველო არ არის საერთაშორისო პოლიტიკის სუვერენული, დამოუკიდებელი სუბიექტი, რადგან მისი საგარეო პოლიტიკა ყალიბდება ამერიკელი კურატორების უშუალო კარნახით.**

სამწუხაროდ, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ ეტაპზე, საქართველოს ყველა ხელისუფლება, არსით, წარმოადგენს მარიონეტულ ჯგუფებს, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების უნარი.

ამ წლების განმავლობაში ჩვენი ამერიკელი კოლეგები ქმნიდნენ ღრმად ეშელონირებულ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ამერიკელი კურატორების მითითებებზე. ამას ხელი შეუწყო იმ არასამთავრობო ორგანიზაციების კოლოსალური ქსელის შექმნამაც, რომლებიც დასავლური გრანტებით არსებობენ. ამ არასამთავროების აქტივისტთა უზარმაზარი მასიდან ჩამოყალიბდნენ მოღვაწეები, რომლებიც, ცვლიან რა ერთმანეთს ხელისუფლებაში, წარმოადგენენ, ფაქტობრივად, ერთი და იმავე პოლიტიკური ძალის ეშელონებს.

**ძალა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესების რეალიზაციაზე და შეძლებდა, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ალტერნატიული თვალსაზრისი და სახელმწიფოს განვითარების ალტერნატიული სტრატეგია, დღეს საქართველოში არ არსებობს.**

საქართველო, ამ მხრივ, ჰგავს ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას. და ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ ამ წლების განმავლობაში რუსეთს არც უცდია, ამ სახელმწიფოებში რამე პოლიტიკური როლი ეთამაშა. იგი ორიენტირებული იყო მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ამით ისარგებლეს ამერიკელებმა — გააჩაღეს ძალიან სერიოზული მუშაობა და მიაღწიეს დიდ წარმატებებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც უკრაინისა და საქართველოს მაგალითი.

მიმაჩნია, რომ უახლოეს წლებში რაღაც ცვლილებები საქართველოს პოზიციებში და, შესაბამისად, პოზიტიური ცვლილებები ეკონომიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ნაკლებად სავარაუდოა.

**— საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ამოცანად აქვს დასახული ნატოს სტანდარტების სრულად შესაბამისი თანამედროვე და მობილური არმიის შექმნა. ამას გარდა, პრეზიდენტი სააკაშვილი ჯერ კიდევ 2006 წელს დიდი თვითდაჯერებით ლაპარაკობდა საქართველოზე, როგორც ნატოს მომავალ წევრზე. თქვენი აზრით, შევა კი ქვეყანა ოდესმე სამხედრო ალიანსში, და მთავარი — სჭირდება ეს სახელმწიფოს?**

— ალიანსში საქართველოს შესვლაზე მხოლოდ ადგილობრივი პოლიტიკოსები ლაპარაკობენ. ქართველი მოღვაწეების გარდა, ამაზე კრინტს არავინ ძრავს. პრეზიდენტმა ობამამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია. პრეზიდენტმა ოლანდმა და კანცლერმა მერკელმაც ანალოგიური რამ თქვეს. ევროპის წამყვანი ქვეყნების ლიდერები და ნატოს ხელმძღვანელები ამბობენ, რომ უახლოეს მომავალში ეს შეუძლებელია, მაგრამ საქართველო ამისათვის უნდა ემზადოს. აი, ეს ფრაზა — „საქართველო ამისთვის უნდა ემზადოს“, თითქოს წარმოაჩენს ალიანსის წამყვანი წევრების მზადყოფნას, განიხილონ ეს საკითხი, ოღონდ კონკრეტული დაპირებების გარეშე. ამ გამონათქვამს კი საქართველოში წარმოაჩენენ, როგორც დასავლეთის მყარ დაპირებას.

**რისთვის სჭირდებათ ადგილობრივ პოლიტიკოსებს ზღაპარი ნატოსა და ევროკავშირში მალე შესვლაზე? იმისათვის, რომ საზოგადოებას რაღაც მიზნები დაუსახონ. სხვა მიზნები ხომ არ აქვთ. თეორიული შესაძლებლობა, ქართველი საზოგადოებისთვის განისაზღვროს რეალური მიზნები, ებჯინება პოლიტიკური კურსის შეცვლის აუცილებლობას. რჩება ერთადერთი — ამჟამინდელი პოლიტიკისა და ნატოსა და ევროკავშირში შესვლის ოცნების გამართლება.**

ამ ფოჩიან კანფეტს საქართველოს მოსახლეობა სიამოვნებით იღებდა პირველი 10 წლის განმავლობაში. რაღაც ნაწილს სააკაშვილის პერიოდშიც სჯეროდა ეს. ამჟამად კი ამის სჯერათ ან თავს გვაჩვენებენ, რომ სჯერათ, სამთავრობო და მასთან დაახლოებული წრეების, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, რომლებიც ამერიკული ფულით საზრდოობენ.

მე უკვე დავიღალე ამ კითხვის მოსმენით და, როდესაც მეკითხებიან საქართველოს შესვლაზე ნატოსა და ევროკავშირში, ვუპასუხებ ხოლმე ერთი ფრაზით: **„ვინც ამ ორ ორგანიზაციაში შესვლის დაპირებას იძლევა, ან სულელია, ან მატყუარა, მესამე არ არსებობს“.**

**— ცოტა ხნის წინათ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის — პოროშენკოს მრჩევლად დანიშნეს. საქართველოს ექსმეთაურის ამ თანამდებობაზე დანიშვნა, საეჭვოა, კადრების დეფიციტთან ყოფილიყო დაკავშირებული. აქედან კითხვა — რამ აიძულათ, მიეწვიათ ამ პოსტზე ასეთი არაერთმნიშვნელოვანი პერსონა?**

— გასულ წლებში ამერიკელებმა კოლოსალური თანხა დახარჯეს ე. წ. ნარინჯისფერი რევოლუციის მოწინავე რაზმების მომზადებაზე, რეფორმატორებზე, რომლებიც მოწოდებულნი არიან, შეცვალონ ქვეყნის საშინაო ცხოვრება და გადაიყვანონ ისეთ კალაპოტში, რომ სახელმწიფო ეროვნულ ინტერესებს ვეღარ დაუბრუნდეს.

**ბუნებრივია, როდესაც ასეთი კარგად მომზადებული და დაფინანსებული ადამიანების ჯგუფი საქართველოში უსაქმოდ დარჩა, მისი ნაწილი გადაისროლეს იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებათ — უკრაინაში. სწორედ უკრაინაა ახლა ის პოლიგონი, რომელზეც ამერიკელებმა გადაწყვიტეს, მოსინჯონ ის, რაც თავის დროზე არ გამოუვიდათ საქართველოში — რუსეთის ჩათრევა ომში.**

ვფიქრობ, გავა დრო, უკრაინაში ხალხი გამოფხიზლდება და მათში გაიღვიძებს ეროვნული ღირსება, რომელიც ძალიან არის შებღალული იმ ფაქტითაც კი, რომ უკრაინელების ხელმძღვანელებად საქართველოს, ბალტიისპირეთის, პოლონეთის წარმომადგენლები მიიწვიეს. ჩემი აზრით, **უკრაინელ ხალხს თავისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს განუცდია ასეთი დამცირება. თუმცა ადამიანებს ისე აურიეს გონება, რომ ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ, რა დამამცირებელია ეს ერისთვის; დროთა განმავლობაში, ალბათ, გამოფხიზლდებიან და ამ ყველაფერს ბოლოს მოუღებენ.**

სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნის უკან კი დგას სწორედ აშშ-ის სურვილი, დრო და ფული არ დახარჯოს ახალი კადრების მომზადებაზე. ასეთები საკმარისად არიან მომზადებული თვითონ უკრაინაშიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული გუნდის დამანგრეველი გამოცდილება, რომელიც საქართველოში 9 წლის განმავლობაში დააგროვეს, ისე მოსწონს ამერიკელებს, რომ გადაწყვიტეს, ეს ჯგუფი უკრაინაშიც ჩანერგონ დამანგრეველი პროცესების დასაჩქარებლად.

**ირინა გრომოვა**
**ანალიტიკური პორტალი RuBaltic.ru**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„სტრატფორის“ დამფუძნებლის ეს გამოსვლა ჩიკაგოში ჩვენებური „ატლანტისტებისა“ და პროამერიკული ელიტისთვის ნიშანდობლივი უნდა იყოს. შეერთებული შტატები აღარ მალავს საკუთარ მისწრაფებებს, არც მეთოდებს, რომლებსაც რეგულარულად მიმართავს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად. ახლა მათ მხოლოდ უნდა დაადასტურონ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ემთხვევა. ისეთი აზრობრივი კონსტრუქციები, როგორიცაა „ქართველი სამხედროები იქ (ერაყში, ავღანეთში, უკრაინაში — სულ ერთია) საქართველოს ინტერესებს იცავენ, სრულიად გაანადგურა ჯორჯ ფრიდმანის ამ ისტორიულმა გამოსვლამ.**

# «დემოკრატიის» გაკვეთილი ჯორჯ ფრიდმანისგან

**კერძო სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია „სტრატფორის“ დირექტორი ჯორჯ ფრიდმანი ხშირად აქვეყნებს ანალიტიკურ სტატიებს. „სტრატფორი“ (Strategic Forecasting Inc. ამ კომპანიას Barron’s Magazine-მა თავის ერთ-ერთ სტატიაში მას „ჩრდილოვანი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო“ უწოდა) ჯორჯ ფრიდმანმა 1996 წელს დააფუძნა და მას შემდეგ კომპანიის უცვლელი ხელმძღვანელია.**




კომპანია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის თავმოყრითა და ანალიზით არის დაკავებული. ინფორმაციას იღებს როგორც ღია წყაროებიდან და მედიიდან, ასევე საკუთარი წყაროებიდან. შეგროვებული მონაცემების საფუძველზე კომპანიის ანალიტიკოსები ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პროგნოზებს ამზადებენ. სხვათა შორის, „სტრატფორის“ საიდუმლო დოკუმენტების ნაწილი „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა.

კომპანიის კლიენტთა სია გასაიდუმლოებულია, თუმცა ცნობილია, რომ მათ შორის არის უმსხვილესი კორპორაციები და სამთავრობო უწყებები როგორც ამერიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. **„სტრატფორის“ ხელმომწერებს მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ შეუძლიათ, გაუგზავნონ შეკითხვა და 24 საათში მიიღონ პასუხი, ასევე, მონაწილეობა მიიღონ ყოველთვიურ ტელეკონფერენციაში, რომელსაც თვით ჯორჯ ფრიდმანი მართავს.**

2009 წლის ივლისიდან 2011 წლის დეკემბრამდე „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა საიდუმლოებით მოცული „სტრატფორის“ რეპუტაციას სერიოზულად დაარტყა. გამოქვეყნდა 50 ათასი ადამიანის პირადი მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში „სტრატფორთან“ თანამშრომლობდნენ, მათ შორის, ნატოს, ბრიტანეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, MI-6-ისა და ბრიტანეთის პარლამენტის წევრების — 600 მაღალი თანამდებობის პირის.

2009 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის ხელმძღვანელები ერთმანეთს სწერდნენ იმის თაობაზე, ხომ არ გადაეცათ კლიენტებისთვის დაუმუშავებელი ინფორმაცია. საბოლოოდ ამაზე უარი თქვეს, რადგან „ბრენდის თვალსაზრისით, რომელიც ხარისხს, სტატუსსა და იდუმალების ორეოლს ეფუძნება, ეს ჩვენი შიგა სამუშაოს ზედმეტი დემონსტრაცია იქნება და ნეგატიურად აისახება იდუმალების ორეოლზე. არავინ იცის, როგორ მოვიპოვებთ ინფორმაციას. ეს „სტრატფორის“ ყველაზე მაგარი და საიდუმლო თვისებაა. დაუმუშავებელი ინფორმაციის გამოქვეყნება ყურადღებას მიიქცევს რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაგრამ ჩვენს სამუშაოს პროგნოზირებულს გახდის, რაც ინფორმაციის მოპოვების ირგვლივ საიდუმლო ორეოლს გააცამტვერებს“.

ახლახან მედიაში გაჟონა 4 თებერვალს გამართული ჯორჯ ფრიდმანის შეხვედრის ვიდეოჩანაწერმა ჩიკაგოს გლობალურ საკითხთა საბჭოში. ამ „იდუმალების ორეოლით“ მოსილი პიროვნების გამოსვლის გასაჯაროებამ შოკის ეფექტი იქონია.

მხოლოდ რამდენიმე ამონარიდი:

*** აშშ-ის მთავარი გეოპოლიტიკური ინტერესები პირველი და მეორე მსოფლიო ომის, აგრეთვე, ცივი ომის პერიოდში კონცენტრირებული იყო გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობებზე;**

* ევროპელები ომებში დაიხოცებიან, „ევროპული განსაკუთრებულობის“ იდეა ევროპას ომებამდე მიიყვანს;

*** ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალმა (გენერალი ბენ ჰოჯესი) უკრაინელ სამხედროებს ამერიკული ჯილდოები გადასცა, რათა ეჩვენებინა, რომ უკრაინის არმია მისი არმიაა;**

* დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რას იზამენ უკრაინელები: ყველაფერს იღონებენ, რათა აშშ-ის რისხვა არ გამოიწვიონ;

*** უკრაინისთვის ამერიკული იარაღის მიწოდებას აშშ უარყოფს, მაგრამ იარაღს მიაწვდიან;**

* აშშ რუსეთის ირგვლივ „სანიტარულ კორდონს“ აშენებს და რუსეთმა იცის ამის თაობაზე;

*** რუსეთი ფიქრობს, რომ აშშ მის დაშლას აპირებს. მე ვფიქრობ, როგორც პიტერ ლორიმ თქვა, „ჩვენ არ გვინდა თქვენი მოკვლა, უბრალოდ, ცოტა გატკენთ“;**

* აშშ-ის ფუნდამენტური ინტერესია, აკონტროლოს ოკეანეები და პლანეტები. დღემდე ეს ვერავინ მოახერხა;

*** ევროპაში ბრიტანეთის იმპერიის გზა ევროპელთა ერთმანეთისთვის მიქსევაა;**

* ჩემი რეკომენდაციაა, იმ პოლიტიკას მივყვეთ, რომელსაც რეიგანი იყენებდა ირანისა და ერაყის მიმართ. რეიგანი ომში მონაწილე ორივე ქვეყანას უჭერდა მხარს. ასე რომ, ისინი ერთმანეთთან ომობდნენ და არა ჩვენ წინააღმდეგ;

*** ჩვენ არ შეგვწევს ძალა, ყველგან შევიყვანოთ ჩვენი ჯარები, მაგრამ შეგვიძლია, დაპირისპირებულ მხარეებს დავუჭიროთ მხარი, რათა ისინი ერთმანეთზე იყვნენ კონცენტრირებული და არა ჩვენზე. თავის დროზე არც ბრიტანელებს მოუხდენიათ ინდოეთის ოკუპაცია, მათ კონტროლზე აიყვანეს ინდური სახელმწიფოები და ერთმანეთს წაჰკიდეს;**

* ახლა საკითხი ასე დგას – გახდება თუ არა უკრაინა ბუფერული სახელმწიფო რუსეთსა და დასავლეთს შორის თუ იგი ნეიტრალური სახელმწიფო იქნება? რუსეთისთვის უკრაინის სტატუსი სასიცოცხლო მნიშვნელობის საფრთხეა და რუსებს არ შეუძლიათ, ასე უბრალოდ მიატოვონ ეს საკითხი და გავიდნენ. ამ მიზეზით აგზავნის აშშ ჯარებს რუმინეთში, ბულგარეთში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში. ამ მოქმედებებით აშშ „ზღვათაშორისს“ („Intermarium“) ამზადებს, მაგრამ რჩება შეკითხვა, რომელზეც პასუხი არ გვაქვს: რას მოიმოქმედებს ამ ვითარებაში გერმანია?

*** ევროპაში ერთი რეალური უცნობია — გერმანელები. როცა აშშ უსაფრთხოების სარტყელს ააგებს და რუსეთის გავლენა უკრაინაზე შესუსტდება, რას იზამენ გერმანელები, არ ვიცით;**

* აშშ-ის პირველი რიგის ამოცანაა, არ დაუშვას, რომ გერმანული კაპიტალი და ტექნოლოგიები რუსეთის ბუნებრივ რესურსებსა და მუშახელს შეუერთდეს. ეს დაუმარცხებელი კომბინაციაა, რომლის წინააღმდეგ აშშ უკვე მთელი საუკუნეა ყველა ხერხს მიმართავს. აშშ-ს ამისთვის კოზირი აქვს — ეს არის ხაზი ბალტიისპირეთსა და შავ ზღვას შორის.

ეს მხოლოდ მშრალი ციტატებია, **თავის გამოსვლაში ფრიდმანმა ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ აშშ-ს არ შეუძლია მთელი ევრაზიის ოკუპირება (ყურადღება მიაქციეთ — არ შეუძლია, განა არ სურს). „როგორც კი ჩვენი ჯარისკაცის ჩექმა ევრაზიის მიწაზე დადგება, ავტომატურად დავკარგავთ რაოდენობრივ უპირატესობას“, — მსჯელობს ფრიდმანი; ერაყის მაგალითი მოწმობს, რომ აშშ-ს შეუძლია მოწინააღმდეგის არმიის განადგურება, მაგრამ ძალა არ შესწევს, განახორციელოს ერაყის ოკუპაცია.**

მართლაც, **130-ათასიანი ამერიკული არმია 25-მილიონიანი ერაყის ოკუპაციას ვერ განახორციელებს (შეგახსენებთ: უკრაინაში 45 მილიონი ადამიანი ცხოვრობს), ამიტომ „სტრატფორის“ დირექტორი მოუწოდებს, აშშ-მა მხარი დაუჭიროს დაპირისპირებულ მხარეებს – პოლიტიკურად, ფინანსურად, სამხედრო მრჩევლების მივლინებით. „და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, როგორც ამას იაპონიაში ვაკეთებდით... არა, ვიეტნამში, ერაყსა და ავღანეთში, სადაც სამხედრო ძალით ჩავერიეთ პრევენციული დარტყმის (spoiling attack) ტაქტიკით. ეს ტაქტიკა არ გულისხმობს მოწინააღმდეგის განადგურებას, მისი მიზანია მტრის წონასწორობიდან გამოყვანა, დასუსტება. ჩვენ ამას ყველა ომში ვაკეთებდით...**

თუმცა ჩვენი, ჯერ კიდევ ახალგაზრდებისა და სულელების, პრობლემა არის ის, რომ ამის შემდეგ არ ვეუბნებით საკუთარ თავს: მორჩა, საქმე გაკეთებულია, შინ დავბრუნდეთ“. ამის ნაცვლად ვამბობთ: **„რა იოლად გამოგვივიდა, მოდი, ახლა დემოკრატიაც ავაშენოთ“.** ეს ის მომენტია, როცა უგუნურება გვძლევს, ამიტომ პასუხი ასეთია — **აშშ-ს არ შეუძლია, ევრაზიაში შეიჭრას ჯარებით. ეს შერჩევით და იშვიათად უნდა გავაკეთოთ“.**

აი, ასე — გულახდილად, ცინიკურად და მოურიდებლად ახსნა ჯორჯ ფრიდმანმა შეერთებული შტატების „დემოკრატიული“ ვნებანი. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე რუსეთის შეშფოთებას აშშ ყოველთვის იმით უპასუხებდა, რომ ნატო რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. არადა, ფრიდმანი პირდაპირ აცხადებს, რომ „უკრაინაში შესვლით ნატო სტალინგრადიდან მხოლოდ 100 კილომეტრით იქნება დაშორებული, ხოლო მოსკოვიდან — 500 კილომეტრით.“ (აქ ფრიდმანმა სტალინგრადი ლენინგრადში აურია, ანუ სანკტ-პეტრებურგში, მაგრამ იდეა ნათელია — ნ.დ.)

**„სტრატფორის“ დამფუძნებლის ეს გამოსვლა ჩიკაგოში ჩვენებური „ატლანტისტებისა“ და პროამერიკული ელიტისთვის ნიშანდობლივი უნდა იყოს. შეერთებული შტატები აღარ მალავს საკუთარ მისწრაფებებს, არც მეთოდებს, რომლებსაც რეგულარულად მიმართავს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად. ახლა მათ მხოლოდ უნდა დაადასტურონ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ემთხვევა. ისეთი აზრობრივი კონსტრუქციები, როგორიცაა „ქართველი სამხედროები იქ (ერაყში, ავღანეთში, უკრაინაში — სულ ერთია) საქართველოს ინტერესებს იცავენ, სრულიად გაანადგურა ჯორჯ ფრიდმანის ამ ისტორიულმა გამოსვლამ.**

ვისაც გვესმის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები კეთილშობილ ქალთა პანსიონისგან ძალიან შორს არის, არც ეს ცინიზმი გაგვიკვირდება და არც ამერიკული „თვითკრიტიკა“. საკითხი ახლა ასე დგას: **ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ — ან ამერიკული ექსპანსიონიზმის სამსახურში ჩავაყენოთ საქართველო (თან ისე, რომ არც ნატოში მიგვიღებენ და არც ევროკავშირში), ან თავი დავანებოთ ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკურ თამაშებს და მათ შორის გაგლეჯილი საქართველოს ჩიხიდან გამოყვანა ვცადოთ.**

ვიდრე ამერიკელები რუსეთს „უბრალოდ, ცოტა ატკენენ“ (მეტი რომ არაფერი შეუძლიათ, ფრიდმანმა ეს დაადასტურა), საქართველო რეალური საფრთხის წინაშეა. **ქართულ პროდასავლურ ელიტას „სტრატფორის“ ამ შეგონების შემდეგ მაინც უნდა აეხილოს თვალი იმაზე, რომ მხოლოდ პაიკები არიან ამ სასტიკ თამაშში და, რაც მთავარია, განწირული ან გასაწირი პაიკები, რომლებიც ვერასოდეს გახდებიან ლაზიერები. ისინი მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ მომავალს უფრთხილდებიან, თორემ თავადაც კარგად უწყიან, რომ ფრიდმანის იდეოლოგიით, სუვერენული სახელმწიფო არ შენდება, არც მთლიანდება. ეს სახელმწიფოთა დამორჩილების, დაშლისა და მათი რესურსების გამოყენების იდეოლოგიაა. თუ ძალიან გინდათ, ამას „დემოკრატიის მშვენებლობა“ დაარქვით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ფრიდმანს ამის არ სჯერა!**

**P.S. ფრიდმანის გამოსვლასა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს ერთმანეთისგან, შინაარსისა და სულისკვეთების გარდა, 23 წელი აშორებს, მაგრამ იმხანად ნათქვამი სიმართლე ბევრისთვის მხოლოდ ახლა გახდა გასაგები: „ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.... სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს.... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში — მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე. წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსლიმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა“ (ზვიად გამსახურდია).**

**„აშშ-ის ფუნდამენტური ინტერესია, აკონტროლოს ოკეანეები და პლანეტები“ (ჯორჯ ფრიდმანი).**

**სულ ხუთი თვეა, რაც შაპირო ელჩის მოვალეობების შესრულებას შეუდგა პრაღაში, მანამდე ის იურისტად მუშაობდა. გვარის მიხედვით, მამაც „იურისტი“ უნდა ჰყავდეს! ისე ვის-ვის და ებრაული წარმოშობის კაცს ფაშიზმზე გამარჯვების ფასი კი უნდა ესმოდეს, მაგრამ ვაშინგტონში ახლა ასეთი კონიუნქტურაა და ისიც დავალებას ასრულებს!**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველო პოლიტიკოსებო, რომელს გაქვთ ამის თავი, მილოშ ზემანივით კარზე მიუთითოთ ამერიკის ელჩს?

**ჩეხეთის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინათ ისეთი რამ მოიმოქმედა, რომ ჩვენი პოლიტიკური ლიდერები ვერც კი წარმოიდგენდნენ. კერძოდ, მან საკუთარი რეზიდენციიდან უბოდიშოდ დაიფრინა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და ისიც დააყოლა, შენი ფეხი აღარ ვნახო პრაჟსკი გრადშიო! ასეთი „მკრეხელობის“ მიზეზი კი აშშ-ის ელჩის „რჩევა“ გახდა, რომ მილოშ ზემანი მოსკოვში 9 მაისს გამარჯვების აღლუმს არ დასწრებოდა.**





**ჩვენი უთავმოყვარო და უსამშობლო პოლიტიკოსები თითის ქნევასაც იტანენ და პანღურის ამორტყმასაც, კვირაგამოშვებით ვაშინგტონსა და ბრიუსელში დაწანწალებენ, ერთმანეთს აბეზღებენ და იქაურ ბიუროკრატიას არწმუნებენ, რომ თვითონ უფრო უკეთ მოემსახურებიან მათი სახელმწიფოების ინტერესებს! იქიდან კი მოდის დაკვეთილი რეიტინგები, რომელთა თანახმადაც პირველ სამ ადგილს სწორედ დასავლეთისკენ კისერმილრეცილი პოლიტიკური ძალები იკავებენ!**

**„ვერ წარმომიდგენია, რომ ვაშინგტონში ჩეხეთის ელჩს ამერიკის პრეზიდენტისთვის ერჩია, სად წასულიყო და სად არა. და არც ერთ ელჩს არ მივცემ უფლებას, საკუთარი რჩევებით ჩაერიოს ჩემს საზღვარგარეთულ ვიზიტებში! ვშიშობ, რომ ამგვარი განცხადებების შემდეგ ბატონი ენდრიუ შაპიროსთვის პრაჟსკი გრადის (პრეზიდენტის ადმინისტრაციის) კარი დაიკეტება“,** — განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

აშშ-ის ელჩმა ჩეხეთში ერთ-ერთი ჩეხური ტელეკომპანიის ეთერში პრეზიდენტი ზემანი იმის გამო გააკრიტიკა, რომ მან ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე მოსკოვში გამგზავრება გადაწყვიტა. **სულ ხუთი თვეა, რაც შაპირო ელჩის მოვალეობების შესრულებას შეუდგა პრაღაში, მანამდე ის იურისტად მუშაობდა. გვარის მიხედვით, მამაც „იურისტი“ უნდა ჰყავდეს! ისე ვის-ვის და ებრაული წარმოშობის კაცს ფაშიზმზე გამარჯვების ფასი კი უნდა ესმოდეს, მაგრამ ვაშინგტონში ახლა ასეთი კონიუნქტურაა და ისიც დავალებას ასრულებს!**

სხვათა შორის, ამერიკული მედია წერდა, რომ შაპირო ჩეხეთში ელჩად მხოლოდ იმიტომ დაინიშნა, რომ პრეზიდენტ ობამას წინასაარჩევნო კამპანიაში 700 ათასი დოლარი ჩადო. **დონორების დანიშვნა თანამდებობებზე ამერიკაში მიღებული პრაქტიკაა და ამას კორუფციას არ ეძახიან. ეს — მათთვის, ვინც ამერიკელებთან ჩიოდა, თუ რატომ იგებდნენ ტენდერებს მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც სააკაშვილსა და მის პარტიას აფინანსებდნენ!**

თუმცა პრეზიდენტისა და ელჩის პოლემიკას მივუბრუნდეთ. ჩეხეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა: **„მოსკოვში არჩასვლით შეურაცხყვყოფდი იმ 150 ათასი საბჭოთა ჯარისკაცის ხსოვნას, რომლებმაც ჩეხეთი ფაშისტებისგან გაათავისუფლეს!“** თუმცა მილოშ ზემანს მამლის ყივილამდე სულაც სამჯერ რომ უარეყო საბჭოთა კავშირის როლი ფაშიზმზე გამარჯვებაში, შეერთებული შტატების ელჩი მაინც გააკრიტიკებდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მან რუსეთისთვის სანქციების დაწესებას უაზრობა უწოდა; მეტიც, ევროკავშირს მოუწოდა, მოეხსნათ სანქციები; უფრო მეტიც, ევროკავშირს ურჩია, რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი დაეწესებინათ. და კიდევ უფრო მეტიც: **მან განაცხადა, რომ უკრაინაში სამოქალაქო ომია და იქ რუსეთის ჯარები არ შესულან, უკრაინა FAILED STATE, ანუ არშემდგარი სახელმწიფოა და მისთვის ფულის მიცემა, უბრალოდ, მფლანგველობაა!**

თავის დროზე, როცა პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა, მისი კონკურენტი თავადი შვარცენბერგი იყო — იგი ეთნიკური გერმანელია და მისი გაპრეზიდენტება იმავე ოპერიდანაა, რომლის მიხედვითაც უკრაინაში „დემოკრატიას“ ქართულპასპორტიანი ნაცისტები აშენებენ! **ცხადია, ჩეხებმა ზემანი არჩიეს შვარცენბერგს, რომელიც ერთდროულად გერმანელიცაა, თავადიც და ინტელიგენტ ვაცლავ ჰაველის მეგობარიც! ჩეხებს ჩეხოსლოვაკიის „ხავერდოვნად“ ორად გაყოფის ამბავი ახლაც არ აქვთ მონელებული და არჩევანი სწორედ გლეხურად გონიერ და გასაგებ ზემანზე შეაჩერეს.**

ჩეხეთში, როგორც საქართველოში, არიან რუსეთის მტრებიც და მეგობრებიც. მტრები მუდამ 1968 წელს საბჭოთა ინტერვენციას იხსენებენ. ზემანიც „პრაღის გაზაფხულის“ მიმართ სიმპათიის გამო დაითხოვეს სამსახურიდან, თუმცა პრესტიჟული უმაღლესი ეკონომიკური სკოლის დიპლომი ჰქონდა და კარგა ხანს თავს სპორტული ჟურნალისტობით ირჩენდა. ხანი გამოხდა და გზა, რომელზეც იმ გაზაფხულმა გაიყვანა მისი სამშობლო, დღეს ნამდვილად არ მოსწონს. სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის ლიდერიც სწორედ ზემანი იყო, აქტიურად იბრძოდა ჩეხეთში ნატოს რადარების განლაგების წინააღმდეგ.

ახლახან, როცა პრაღაში ნატოს სამხედრო ტექნიკა გაატარეს, ჩეხებმა საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. მართლაც — თუ რუსული ტანკი მიუღებელია პრაღაში, ნატოს ტანკი რატომ უნდა იყოს მისაღები? ჩეხურ პრაგმატიზმს უკრაინის კრიზისის მიმართაც ნამდვილად აქვს საფუძველი: **რუს ტურისტებს მილიონობით მოგება მოაქვს მათთვის, უკრაინელი მიგრანტები კი დაბალ ანაზღაურებას თანხმდებიან და ჩეხ მუშებს სამუშაო ადგილებსართმევენ. ამიტომაც მიიღო მხარდაჭერა საპრეზიდენტო არჩევნებზე სწორედ მილოშ ზემანმა, რადგან რუსეთის მიმართ მის დამოკიდებულებას სრულად იზიარებენ ბიზნესმენები და დაბალი კვალიფიკაციის მუშები.**

ზემანის კრიტიკოსებიც კი ვერ უარყოფენ, რომ რუსეთის მიმართ მისი დამოკიდებულება პრორუსულობას კი არა, საღ აზრს ეფუძნება. მან გასაგებად აუხსნა ხალხს, რომ პუტინის რუსეთი არ არის ბრეჟნევის საბჭოთა კავშირი, ხოლო ზოგიერთი, ვინც პოლიტპატიმრობას იბრალებს, სულაც არ არის პოლიტიკური ნიშნით დევნილი. მაგალითად კი საყოველთაოდ ცნობილი Pussy Riot და ხოდორკოვსკი მოიყვანა.

ზემანის პოლიტპრაგმატულობის კიდევ ერთი მაგალითი: **„რუსეთს უნდა აღვიქვამდეთ, როგორც დოსტოევსკის, ტურგენევის, სოლჟენიცინის, ჩაიკოვსკის, რეპინის ქვეყანას. მე მას მსოფლიოს ზესახელმწიფოთა რიგში ვხედავ“.** და იქვე შეახსენა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს: **„1968 წელს თქვენ ასეულობით ტანკი მოგვაწოდეთ ძალიან იაფად. ვფიქრობ, ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები სულ სხვა საფუძველზე უნდა ავაგოთ“!**

ზემანს კარგად ესმის, რომ ჩეხეთის ეკონომიკა დიდწილად არის დამოკიდებული რუსეთზე. ევროკავშირის სანქციების გამო ჩეხებს რუსეთში ველარ შეაქვთ მანქანა-დანადგარები, ხოლო მოსკოვის საპასუხო სანქციების შედეგად ჩეხების მიერ წარმოებული რძე „ჩაწვა“ თუ „ჩაიქცა“! თუ სანქციები გაფართოვდა, რუსეთიდან გაზის მიწოდებასაც შეიძლება პრობლემები შეექმნას, რაც საწარმოების გაჩერებას გამოიწვევს, ხოლო რა დღეში აღმოჩნდება ატომური ელექტროსადგური, რომელსაც დღემდე რუსი სპეციალისტები მართავენ, არავინ იცის.

**სხვათა შორის, ზემანი ყოველთვის მკვეთრად აკრიტიკებდა მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვას. იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება „ბენეშის დეკრეტების“ გაუქმებას. 1945-1946 წლების ამ დოკუმენტების საფუძველზე ჩეხოსლოვაკიიდან 3 მილიონი გერმანელი გაასახლეს, რომლებიც ფაშისტებს ოკუპაციაში ეხმარებოდნენ.**

2002 წელს მილოშ ზემანის განცხადება ავსტრიასა და გერმანიასთან ურთიერთობებში სკანდალის გამომწვევი აღმოჩნდა: **„ავსტრია ჰიტლერის მსხვერპლი კი არა, მისი პირველი მოკავშირე იყო. სუდეტელი გერმანელები ჰიტლერის მეხუთე კოლონა იყვნენ. ისინი ჩეხი ხალხის გენოციდს უჭერდნენ მხარს“.**

ამის გამო ავსტრიამ კინაღამ ვეტო დაადო ჩეხეთის მიღებას ევროკავშირში, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებში „კინაღამ“ არ ითვლება; მოხერხებულმა ზემანმა სასწრაფოდ ტურნე მოაწყო დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და რუსეთში, რათა ანტიჰიტლერული კოალიციის ყოფილი მოკავშირეების მხარდაჭერა მიეღო და მიიღო კიდეც. მკვახე განცხადებების მიუხედავად, მან გერმანელებთანაც და ავსტრიელებთანაც მოაგვარა ურთიერთობა.

მკვახე იყო მისი განცხადებები ალბანური კოსოვოს მიმართაც, რომლის დამოუკიდებლობასაც ზემანი არ სცნობს: **„კოსოვო ტერორისტული რეჟიმია, რომელიც ნარკომაფიის მიერ ფინანსდება. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა 1999 წელს პირობა დაარღვია და ამერიკელებმა მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბეს“.** განა ეს სიმართლე არ არის? მაგრამ „პოლიტკორექტულ“ ევროპაში სიმართლის მოსმენა, კარგა ხანია, აღარ სურთ.

რუსეთზე ყურადღების გადატანა, პირველ რიგში, სწორედ ამერიკელებს აძლევთ ხელს, რადგან, როგორც ირკვევა, 2013 წელს პეტრ ნეჩასის მთავრობის გადაყენებაში ლომის წილი სწორედ აშშ-ს შეუტანია, ზემანის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების უკანაც ამერიკელები იდგნენ. ამერიკის საელჩოსთან პრობლემები ჩეხეთის წინა პრეზიდენტს — ვაცლავ კლაუსსაც ჰქონდა. 2003 წელს მას აშშ-ის იმჟამინდელ ელჩთან – კრეიგ სტეპლტონთან მოუვიდა უთანხმოება. კლაუსმა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ აშშ-ს აქვს მტკიცებულება, თითქოს სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღის მფლობელია. სამხედრო ოპერაცია ერაყში ხომ სწორედ ამ საბაბით დაიწყო. გამოხდა ხანი და გაირკვა, რომ ეს ამერიკელების მორიგი ბლეფი იყო, მაგრამ აშშ-ის ელჩმა იმხანად სულ თითი უქნია ჩეხეთის პრეზიდენტს!

**ვისაც ჰგონია, რომ ამერიკის ელჩები მხოლოდ საქართველოში ერევიან ქვეყნის საშინაო (და საგარეო) საქმეებში, ის უთუოდ მიამიტია ან თავს ისულელებს; ჩეხეთი ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც, მაგრამ საკუთარ თავს ვერ განკარგავს — არცთუ მაღალი კვალიფიკაციის ელჩი ჭკუას არიგებს არჩეულ პრეზიდენტს და, როგორც ირკვევა, ეს კარგა ხნის წინათ ჩამოყალიბებული ტრადიციაა!**

*ვენესუელის პრეზიდენტმა **მადურომ** პირდაპირ დაადო ხელი აშშ-ის საელჩოს, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მზადებაში და ვაშინგტონისგან საელჩოს პერსონალის 100-დან 17 თანამშრომლამდე შემცირება მოითხოვა.

*ინდონეზიაში აშშ-ის საელჩო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულეს. აშშ-ის ელჩმა The Wall Street Journal-ს მისწერა, რომ გულდასმით შეემოწმებინა ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტები.

*აზერბაიჯანში მკვეთრი კრიტიკის ობიექტი გახდა ელჩი **რიჩარდ მორნინგსტარი,** რომელმაც განაცხადა, რომ ოპოზიციის დათრგუნვა ბაქოში „მაიდნის“ გამეორებას მოიტანს.

**ცნობისთვის: სააკაშვილის მიერ სასტიკად დარბეული ოპოზიციური მიტინგების სასტიკად დარბევა იმჟამინდელ ელჩს არ შეუმჩნევია. და კიდევ — საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ მხარდამჭერმა რიჩარდ მაილსმა ბაქოში ელჩად არასრული ორი წელი დაჰყო და ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო თავაზიანად მიუთითეს კარისკენ.**

ჩვენ ამის თავიც არ აღმოგვაჩნდა: ჩვენი უთავმოყვარო და უსამშობლო პოლიტიკოსები თითის ქნევასაც იტანენ და პანღურის ამორტყმასაც, კვირაგამოშვებით ვაშინგტონსა და ბრიუსელში დაწანწალებენ, ერთმანეთს აბეზღებენ და იქაურ ბიუროკრატიას არწმუნებენ, რომ თვითონ უფრო უკეთ მოემსახურებიან მათი სახელმწიფოების ინტერესებს! იქიდან კი მოდის დაკვეთილი რეიტინგები, რომელთა თანახმადაც პირველ სამ ადგილს სწორედ დასავლეთისკენ კისერმილრეცილი პოლიტიკური ძალები იკავებენ!

**ქართველო პოლიტიკოსებო! რომელს გაქვთ ამის თავი, მილოშ ზემანივით კარზე მიუთითოთ ამერიკის ელჩს?**

**გამოდით, უნდა დაგთვალოთ!**

**თამარ დავითულიანი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სამი წელია, უკვე ლამის ყოველდღიურად გვაყვედრიან, რომ „უკანალში დუბინკებისგან“, ცემისგან, წამებისგან და კიდევ სხვადასხვა ფორმის დამცირებისგან გვიხსნეს და ახლა ამის გამო კრინტი აღარ უნდა დავძრათ და ამ „მხსნელ-ჯაყოს“ ყველაფრის უფლება აქვს — რასაც უნდა, იმას უზამს მისგან „ხსნილ“ ხალხს; თუ მოისურვებს, სულაც შიმშლით მოკლავს!**



# ხაზინა და «ხაზეინა»

## ანუ ღარიბაშვილის მთავრობა და ღარიბების ქვეყანა

**არ გეგონოთ, სათაურში კორექტურული შეცდომაა დაშვებული. უბრალოდ, ქართული ჟარგონით, „ი“ დაბოლოებას სიტყვას „ა“-თი მაშინ უცვლიან, როდესაც ვინმეს ამა თუ იმ საქმის შემსრულებლად და მომგვარებლად ირონიულად, აგდებით მოიხსენიებენ ხოლმე.**

მაგალითად, კარგი ჟურნალისტი არის „ჟურნალისტ-ი“. ცუდ ჟურნალისტს კი ირონიულად „ჟურნალისტ-ა“-ს დაუძახებს ხალხი.

კარგი პოლიტიკოსი არის „პოლიტიკოსი“, ხოლო ცუდ პოლიტიკოსს ხალხი დაცინვით „პოლიტიკოს-ა“-ს ეძახის.

სწორედ ასევე, „ხაზეინი“ იმ ადამიანს ჰქვია, ვინც რეალურად რაღაცის ან ვიღაცის პატრონია, სიტყვა ეთქმის, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და შესაბამისად მოქმედებს კიდეც.

აი, „ხაზეინა“ (хозяин — რუსული სიტყვაა და მეპატრონეს ნიშნავს) ის კაცია, რომელიც ცდილობს, თავი მოგვაჩვენოს, რომ „ხაზეინია“, სინამდვილეში კი არავინ არაფერს ეკითხება, ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამს თავისი ნება-სურვილით და უსიტყვოდ ემორჩილება სადღაც ზევით ვიღაც რეალურ „ხაზეინს“.

თქმაც არ უნდა, რომ მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას მყისვე წარმოუდგა თვალწინ ჩვენი პრემიერმინისტრი, ამიტომ აზრიც აღარ აქვს ქარაგმებსა და ნართაულებს, მოდი, პირდაპირ ვთქვათ — წინამდებარე სტატიის გმირი სწორედ ირაკლი ღარიბაშვილია.

**ის, რომ ეს ადამიანი საკუთარი თავისგან დიდი მონდომებით ცდილობს „ხაზეინის“ დახატვას, ყველა მისი საჯარო გამოსვლიდან ჩანს.**

**ხოლო ის, რომ სინამდვილეში, „ხაზეინი“ კი არა, „ხაზეინა“ გახლავთ, ნებისმიერი მისი გაუბედავი ნაბიჯით, დაგვიანებული გადაწყვეტლებებით, დასმულ საკითხებზე პასუხის რამდენიმედღიანი დაყოვნებით ან თუნდაც გაუაზრებლად მიღებული ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მოგვიანებით და მოულოდნელად შეცვლითაც აშკარად ჩანს.**

რეალური „ხაზეინი“ ვინც არის, ყველამ კარგად ვიცით და სწორედ მასთან ყველაფრის შეთანხმების აუცილებლობითაა გამოწვეული დაყოვნებული გადაწყვეტილებებიცა და ნაჩქარევი, ანუ შეუთანხმებელი გადაწყვეტილებების მოგვიანებით შეცვლაც.

ხოლო, **აი, ასეთი „ხაზეინი-ხაზეინა“ ტიპის მმართველობა რასაც უშვრება ქვეყანას, ეს ყველაზე კარგად სწორედ სახელმწიფოს ხაზინაზე (ფართო გაგებით და არა კონკრეტულად მხოლოდ ფულად ხაზინაზე) აისახება ყველაზე მძაფრად!**

**დღეს საქართველოში ჩვენ, ყველანი — სახელმწიფოც, ხალხიც, ხაზინაც და ჩვენი „ხაზეინაც“ ერთი „ხაზეინ-ოლიგარქის“ ხიზნები რომ ვართ, არც ეს არის დასამალი.**

აკი, **სამი წელია, უკვე ლამის ყოველდღიურად გვაყვედრიან, რომ „უკანალში დუბინკებისგან“, ცემისგან, წამებისგან და კიდევ სხვადასხვა ფორმის დამცირებისგან გვიხსნეს და ახლა ამის გამო კრინტი აღარ უნდა დავძრათ და ამ „მხსნელ-ჯაყოს“ ყველაფრის უფლება აქვს — რასაც უნდა, იმას უზამს მისგან „ხსნილ“ ხალხს; თუ მოისურვებს, სულაც შიმშლით მოკლავს!**

**ის, რომ ეს ადამიანი საკუთარი თავისგან დიდი მონდომებით ცდილობს «ხაზეინის» დახატვას, ყველა მისი საჯარო გამოსვლიდან ჩანს. ხოლო ის, რომ სინამდვილეში ის «ხაზეინი» კი არა, «ხაზეინა» გახლავთ, ნებისმიერი მისი გაუბედავი ნაბიჯით, დაგვიანებული გადაწყვეტლებებით, დასმულ საკითხზე პასუხის რამდენიმედღიანი დაყოვნებით ან თუნდაც გაუაზრებლად მიღებული, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მოგვიანებით და მოულოდნელად შეცვლითაც აშკარად ჩანს**

მკითხველი, ალბათ, იტყვის — მე ხაზინისა და ეგეთი სპეციფიკური რაღაცების რა გამეგება, მე ხომ მხოლოდ და მხოლოდ რიგითი მოქალაქე და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გაზეთის რიგითი მკითხველი ვარო!

არადა, ხაზინა სწორედ ის „რაღაცაა“, რაც ყველაზე კარგად სწორედ „რიგითებზე“ აისახება, ვიდრე „მარშლებსა“ და „გენერალისიმუსებზე“.

მარტივად რომ ვთქვათ, **ნებისმიერ „რიგითს“, ელემენტარულად, საკუთარ თავზე, ზურგსა თუ ტყავზე შეუძლია გამოთვალოს მათემატიკური სიზუსტით ყველა შედეგი, „ხაზეინი-ხაზეინას“ დუეტს რომ მოაქვს მათივე „ხიზნებისთვის“.**

რა თქმა უნდა, მთელ ამ „რიგითულ“ მსჯელობას მოჰყვება კლასიკური ქართულ-პოლიტიკური კითხვა: „აბა, მიშა ჯობდა?“

**ეს კითხვა ხომ, უკვე ორ ათწლეულზე მეტია, მთავარი მოქმედი გმირის ცვლილების მიუხედავად, ვერ პოულობს პასუხს.**

**„აბა, კომუნისტები ჯობდა?“, „აბა, ზვიადი ჯობდა?“, „აბა, ედიკა ჯობდა?“, „აბა, გრეჩიხა ჯობდა?“, „აბა, მიშა ჯობდა?“ — და, სავარაუდოდ, ახლო თუ შორეულ მომავალში ასევე პასუხგაუცემელი დარჩება კითხვა: „აბა, ბიძინა ჯობდა?“.**

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუკი ჩვენ არ გვაქვს გადამჭრელი, ღრმა და ყოვლისმომცველი პასუხი კითხვაზე — „აბა, მიშა ჯობდა?“ — **ის მაინც დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „იმ ავადსახსენებელი 9 წლის განმავლობაში“ (არნახულ ძალადობაზე საუბარი არ არის, მხოლოდ ხაზინასა და ეკონომიკაზე ვსაუბრობთ) რაღაც ნამდვილად იძვროდა, რაღაც ნამდვილად კეთდებოდა და ქვეყანა გაშეშებული არ იყო!**

ალბათ, სიმართლესთან ძალიან ახლოს არის ის მტკიცება, რომ ამ „რაღაცებს“ მიშასთან და „ნაცებთან“ დაახლოებული საქმოსნები აკეთებდნენ და იმდენად ქვეყანა და მისი ინფრასტრუქტურა არ ადარდებდათ, რამდენადაც ძალიან დიდი ფულის შოვნა თავიანთი ჯიბისა და „ნაციონალების“ პარტიული სალაროსთვის.

მაგრამ **ფაქტია ისიც, რომ ამ დიდ ფულს „ნამცეცებიც“ ცვიოდა და თუნდაც ელიავაზე „ბალგარკით“ მდგარ „რიგით თვითდასაქმებულს“ კვირაში 3-4 კლიენტი მაინც ჰყავდა ისეთი, რომელიც ან აგარაკზე პატარა სახლს იშენებდა, ან ერთოთახიან ბინაში რემონტს აკეთებდა, ან სარდაფის კეთილმოწყობა სურდა, ან კიდევ სხვა ამგვარი.**

ზევით მათემატიკა ვახსენეთ და ჩვენი ბავშვობის სასკოლო წიგნების ბოლო რამდენიმე გვერდიც გამახსენდა, რომლებსაც „სახალისო მათემატიკა“ ერქვა და რომელიც, ხალისთან ერთად, გონებასაც უხსნიდა მას, ვინც წაკითხვასა და ამოხსნას მოიწადინებდა.

რაც მთავარია, ამ ამოცანების ამოხსნას არ სჭირდებოდა სპეციფიკური ცოდნა და განათლება.

მაშ, მოდით, **ერთად ამოვხსნათ ორი სახალისო ამოცანა:**

**1. ელიავას ბაზრობის ასახვევთან „ბალგარკით“ მდგარ ნუგზარს 9 წლის განმავლობაში ყოველ კვირა 3 ან 4 კლიენტი მიმართავდა. თითოეული მათგანი ნუგზარს უკვეთდა დაახლოებით 50 ან 100 ლარის სამუშაოს შესრულებას.**

**ბოლო 3 წლის განმავლობაში ნუგზარს კვირაში მხოლო 1 ან 2 კლიენტი აკითხავს და 30 ან 50 ლარის სამუშაოს უკვეთს.**

**კითხვა: გამდიდრდა ნუგზარი თუ გაღარიბდა?**

2. ჩემი უბნის მაღაზიაში 9 წლის განმავლობაში, ყოველ კვირა 10-15 ისეთი კლიენტი შედიოდა, რომელიც სურსათ-სანოვაგესა და სასმელ-სიგარეტს ყიდულობდა მუშებისთვის, რომლებიც მის ბინაში რემონტს აკეთებდნენ.

ამ კლიენტების მიერ ნაყიდი სურსათ-სანოვაგის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 50-70 ლარს.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩემი უბნის მაღაზიაში მხოლოდ 2-3 ასეთი კლიენტი შედის და ისიც მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბინაში მილია გამსკდარი ან შუშა ჩალეწილი და მუშების მოყვანა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

ასეთი კლიენტების მიერ წაღებული სურსათ-სანოვაგის ფასი დაახლოებით 20-30 ლარია და ისიც ნისიად.

**კითხვა: დააბრუნებენ თუ ვერა ნისიას ეს ადამიანები და გამდიდრდება თუ გაღარიბდება ჩემი უბნის მაღაზიის მეპატრონე?**

აბა, რას იტყვით, ძნელი ამოსახსნელი ამოცანებია?

მგონი, სულაც არა!

თუ გნებავთ, მომწერეთ და კიდევ არაერთ ასეთ „სახალისო მათემატიკურ“ ამოცანას შემოგთავაზებთ.

**აქვე კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს — ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ვსაუბრობ იმ 9 წლის განმავლობაში არსებულ წარმოუდგენელ ძალადობასა და მანიაკობაზე; არც იმაზე, ძალადობა უფრო მნიშვნელოვანი თემაა თუ ეკონომიკა.**

ამ კონკრეტული სტატიით მხოლოდ იმის ხაზგასმა მსურდა, რომ **„ხაზეინას“ მყვირალა გამოსვლები, სადაც ის „რიგითი ბალგარკიანისთვის“ გაუგებარ ათასგვარ ტერმინს „აბრეხვებს“ ხოლმე, სულაც არ ცვლის ჩემი უბნის პატარა მაღაზიის მეპატრონის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას!**

მით უმეტეს, საერთოდ არ აისახება ეს ჩემს ფინანსურ-მატერიალურ მდგომარეობაზე! თუნდაც კარგად ჩავუჯდე და გავშიფრო, რას ნიშნავს ეს ხშირად გამოყენებული ჯადოსნური ტერმინი „მშპ“ — ჩემი ჰონორარი მაინც იმდენივეა, რამდენიც 9 წლის განმავლობაში იყო და მისი მეშვეობით მხოლოდ იმ ინტერნეტის, დენისა და გაზის საფასურის გადახდას თუ შევძლებ, რომელთა საშუალებითაც ვწერ კომპიუტერში და ვაგზავნი რედაქციაში პუბლიკაციებს, ვუცქერ და ვკითხულობ, რა დავწერე და ვთბები, კლავიატურაზე თითები რომ არ მიმეყინოს, ანუ, მხოლოდ და მხოლოდ პირველად, ელემენტარულ აუცილებლობას ვწვდები და ეგაა.

**ვფიქრობ, „რიგითი თვითდასაქმებულისთვის“ ყველაფერი გასაგებ ენაზე ავხსენი.**

**თუკი მაინც რაიმე დარჩა გაუგებარი, შემატყობინეთ და მომავალში აუცილებლად მოგაწვდით „სახალისო ამოცანას“ გაჭირვებული ჟურნალისტის „მშპ“-ს შესახებ!**

**წარმატებულ და ხალისიან სამუშაო კვირას გისურვებთ!**

მოქალაქე



## ნიკოლოზ მჟავანაძე: ალასანია ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, ქუჩებში ადამიანების დახოცვა და საპატიმროებში გაუპატიურება მერე ნახეთ

**უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე სოციალურ ქსელში წერს:**

„ალასანიასთან შედარებით, სააკაშვილიც კი ანგელოზია. ეს ადამიანი და მისი გუნდი ყველაფერზე მიდის იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს. ალასანიას სურს, რომ საქართველო ევროპისგან იზოლირებული გახდეს და საამისოდ ათასგვარ ზღაპარს თხზავს — რომ ჩვენ რუსეთის ორბიტაზე ვბრუნდებით. ალასანია არ ერიდება დაღუპული მეომრებით სპეკულირებასაც და ხელისუფლებას დაღუპული მეომრების ხსოვნის იგნორირებაში ადანაშაულებს. ღმერთმა დაიფაროს და ერთი წამითაც რომ დავუშვათ ალასანიას ხელისუფლებაში მოსვლა, რეპრესიები, ქუჩებში ადამიანების დახოცვა და საპატიმროებში გაუპატიურებები მერე ნახეთ“, — აღნიშნავს მჟავანაძე.

**რატომ გაუნახევრდა ამნისტიის საფუძველზე 20-წლიანი სასჯელი, შემდეგ კი ე. წ. უდოს კომისიამ ვადაზე ადრე რატომ გაათავისუფლა სასტიკი დანაშაულისთვის დაპატიმრებული დამნაშავე?!**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ ეცვათ პოლიციელებს ჯავშანჟილეტი, რომელიც მათ სასიკვდილო საფრთხეს აარიდებდა?

**4 აპრილს თბილისში, მეტროპოლიტენის სადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ახალგაზრდა პოლიციელის — ბექა მარგიშვილის მკვლელობამ სრულიად საქართველო შეძრა. ჯავახეთის ქუჩაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ბექა მარგიშვილი და დეტექტივის თანაშემწე, გამომძიებელი ვალერიან გრძელიშვილი საღამოს საათებში პატრულირებდნენ, როდესაც დამნაშავემ იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა მათ და მიიმალა. ბექა მარგიშვილი დაიღუპა, ვალერიან გრძელიშვილი კი მძიმედ დაიჭრა. საყურადღებოა, რომ ორივე პოლიციელი მუცლის არეში დაიჭრნენ და არც ერთ მათგანს არ ეცვა ჯავშანჟილეტი, რომელსაც, შესაძლოა, მათი სიცოცხლე გადაერჩინა.**



შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა პოლიციელებზე თავდამსხმელი პირის ვინაობა. იგი წარსულში ყაჩაღობისა და მკვლელობის მცდელობისთვის არაერთგზის ნასამართლევი შალვა აბულაძეა. საყურადღებოა, რომ აბულაძე 2015 წლის 23 იანვარს ბორჯომში პოლიციის თანამშრომლების — გიორგი ბერუაშვილის მკვლელობასა და გიორგი მახარაშვილის მკვლელობის მცდელობაშიც არის ეჭვმიტანილი, თუმცა გაუგებარია, რატომ ვერ დააკავეს სამართალდამცველებმა ორი თვის განმავლობაში დამნაშავე, ვიდრე ის კიდევ ერთი პოლიციელის სიცოცხლეს შეიწირავდა.

ჩვენ დავინტერესდით, რატომ არ ეცვათ პოლიციელებს ჟავშანჟილეტი, რომელიც მათ სასიკვდილო საფრთხეს აარიდებდა.

„საქართველო და მსოფლიო“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. **შსს-ს პრესსამსახურის** განცხადებით, კანონი არ ავალდებულებს პოლიციელს, პრევენციული ღონისძიებისას სპეციალური დამცავი საშუალებებით იყოს აღჭურვილი.

**შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი** ამბობს, რომ ყველა პოლიციელის ჯავშანჟილეტებით აღჭურვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია:

„ყველა პატრულის ჯავშანჟილეტით აღჭურვა გამორიცხულია. ამას გარდა, ჯავშანჟილეტების ყოველდღიურად ტარებაც საკმაოდ რთულია, ამიტომ, როდესაც საგანგებო ვითარებაა გამოცხადებული, მაგალითად, დამნაშავეს ეძებენ, შესაძლოა, გაიცეს სპეციალური განკარგულება, ოპერატიულმა შემადგენლობამ ჯავშანჟილეტი ჩაიცვას“.

**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:**

— ერთი თვით ადრე ბორჯომში ანალოგიურად დაესხნენ თავს პოლიციელებს. აქედან გამომდინარე, დასკვნის გამოტანა და შესაბამისი ზომების მიღება შეიძლებოდა. თუმცა **საყურადღებოა, რომ მკვლელმა ამ დანაშაულის შემდეგაც არ დატოვა საქართველოს ტერიტორია. ეს მაფიქრებინებს, რომ მას ჰქონდა უფრო სერიოზული დავალება, რომლის შესრულებასაც აპირებდა.**

**— ფიქრობთ, რომ მკვლელს, შესაძლოა, ვიღაც მართავს?**

— შესაძლოა, მას დაუკვეთეს მკვლელობა. ის არის დაქირავებული მკვლელი.

**— შეიძლება, რომ ამ მკვლელობებს პოლიტიკური მოტივი ჰქონდეს?**

— გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, საქართველოში ბოლო ხანს გახშირდა მსგავსი მკვლელობები. დამნაშავე ჯერ არ დაუკავებიათ, არ არის გამოკვეთილი დანაშაულის მოტივაცია, ამიტომ ზუსტად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ, თუ შს სამინსიტროს განცხადებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, დამნაშავეს ცოტა ხნის წინათ ბორჯომშიც ჩაუდენია ანალოგიური დანაშაული და იმის მაგივრად, რომ საქართველო დაეტოვებინა, დარჩა და კვლავ ჩაიდინა დანაშაული. გამოდის, რომ მას ჰქონდა კონკრეტული დავალება. თუ ვინ და რა დაუკვეთა მას, გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

**— იყო თუ არა პოლიციელების გადარჩენის შანსი, მათ ჯავშანჟილეტი რომ სცმოდათ?**

— **რა თქმა უნდა, პოლიციელს რომ სცმოდა ჯავშანჟილეტი, სასიკვდილო ჭრილობებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის თქმა, რომ შეიძლებოდა, გადარჩენილიყო.**

რამდენიმე ტიპის განგაში არსებობს. ე. წ. რეიდი არის სპეციალიზებული ტიპის განგაში, როდესაც მიღებულია ინფორმაცია, კონკრეტული დანაშაულებრივი შეიარაღებული ჯგუფის ან დამნაშავის გადაადგილების შესახებ და მისი დაკავების ან პრევენციის მიზნით ხორციელდება სპეციალური ღონისძიება, ანუ: **„რეიდის“ დროს პოლიციელი აღჭურვილია ცეცხლსასროლი იარაღით და მას უნდა ეცვას ჯავშანჟილეტიც, თუმცა ვარკეთილში მომხდარი შემთხვევა იყო ჩვეულებრივი შემოწმება, როდესაც პოლიცია პატრულირებდა და არავითარი განგაში გამოცხადებული არ ყოფილა.**

საერთოდ, ხელისუფლება ყოველთვის ერიდება გასამხედროებული პოლიციის ქუჩაში გადაადგილებას, მოსახლეობაში პანიკა რომ არ გამოიწვიოს, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ასეთი ღონისძიებები აუცილებელია. ამიერიდან ჩვენი სამართალდამცავების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად, ალბათ, მიიღებენ თავდაცვის დამატებით ზომებს, რომელთა შორისაც იქნება ჯავშანჟილეტებით ეკიპირება.

ბექა მარგიშვილის მკვლელობის მეორე დღეს, 5 აპრილს, დილით, თბილისში უცნობმა პირმა პოლიციელებს ცეცხლი კვლავ გაუხსნა, თუმცა, საბედნიეროდ, ეს შემთხვევა ტრაგიკულად არ დასრულებულა. შს მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, ამ შემთხვევაშიც ხელწერა ანალოგიურია და სავარაუდოდ, ეს იმავე ადამიანმა ჩაიდინა, ვინც წინა დღეს ბექა მარგიშვილი მოკლა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორი პოლიციელის მკვლელობა და ოთხის დაჭრა გვაფიქრებინებს, რომ ქვეყანაში პოლიციელების მკვლელი დადის. რა არის ეს — საბოტაჟი, გაბოროტებული ადამიანის შურისძიება თუ საგანგებო შეკვეთა ქვეყანაში სიტუაციის ასარევად, ვიმედოვნებთ, საგამოძიებო ორგანოები მოკლე ხანში დაადგენენ. თუმცა **საზოგადოებისთვის გაურკვეველია — რატომ გაუნახევრდა ამნისტიის საფუძველზე 20-წლიანი სასჯელი, შემდეგ კი ე. წ. უდოს კომისიამ ვადაზე ადრე რატომ გაათავისუფლა სასტიკი დანაშაულისთვის დაპატიმრებული დამნაშავე!**

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია უსამძიმრებს ტრაგიკულად დაღუპული პოლიციელის — ბექა მარგიშვილის ოჯახს და იმედოვნებს, რომ მკვლელი სათანადოდ დაისჯება.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

# საიდან მოგვეპარება ანტიქრისტე?

**ნორვეგიულ ქალაქ დრამენში 2 მარტს დაიწყო და დღემდე გრძელდება სასამართლო პროცესი ინფანტოფილების „კვინტეტზე“ — სამ „ხვადსა“ და ორ „ძუკნაზე“, ერთი თვის გოგონას გამაუპატიურებლებზე! ქართულ ენაში არ არსებობს ასეთი სიტყვა — „ინფანტოფილია“, რადგან ღვთის მიერ დაცული ქართული გონება ვერ იტევს იმას, რაც ამ სიტყვის უკან დგას. ინფანტოფილები წარმოადგენენ პედოფილიის ყველაზე „დახვეწილ“ და გარყვნილ „რაზმს“, რომლებიც ძალადობენ ახალშობილებზე („ინფანტი“ ლათინურად „ჩვილს“ ნიშნავს).**

დრამენის პროცესის სენსაციურობა „მხოლოდ“ ის არის, რომ გაუპატიურებული არის ძუძუმწოვარი ბავშვი.

გაოგნებული ადამიანი იკითხავს: „როგორ, ერთი თვის ბავშვი გააუპტიურეს? თანაც კოლექტიურად?!“ არადა, დრამენის პოლიცია იუწყება, ხუთი განსასჯელი ურჯუკი მხოლოდ აისბერგის მწვერვალია, სინამდვილეში ამ ჩვილს გაცილებით მეტი ინფანტოფილი ბილწავდაო!.. **ისმის კითხვა: ამ ულვთო ამბავმა, როგორ გაჟონა და როგორ მიაღწია სასამართლომდე? აღმოჩნდა, რომ ეს გამაოგნებელი და თავისი სისასტიკით გაუგონარი ამბავი ჩვილის ე.წ. მშობლებმა „გააბაზრეს“! ამ ინფანტოორგიას ვიდეოსა და ფოტოზე იღებდა „დედიკო“ და გადაღებულ კადრებს ინტერნეტში აქვეყნებდა!** ანუ, ინფანტოფილები ისე გათავხედდნენ, რომ აღარაფრის ერიდებათ და ეშინიათ. ამგვარი გასაჯაროება იყო თავისებური გამოწვევა საზოგადოებისა — **გაგვივაო დანაშაული თუ არა?**

ამჯერად, საბედნიეროდ, არ გაუვიდათ.

**თუ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ბავშვების კოლექტიური გაუპატიურება ველური მოვლენაა, ნორვეგიელებისთვის, თურმე, არახალია! ამგვარი ურჯუკობა მათი ეროვნული თავისებურებაა, რომელიც, სავარაუდოდ, ვიკინგების პერიოდიდან მოსდევთ!**

**ნორვეგიის გარდა, ინფანტოფილია გავრცელებულია და „ყვავის“ მის მეზობელ ქვეყნებშიც — დანიასა და შვედეთში, ანუ იქ, სადაც, ქართველი „ლიბერალების“ თქმით, სანიმუშო დემოკრატია და საყოველთაო კეთილდღეობაა! ახლახან დანიაში გაასამართლეს 65 წლის „საქონელი“, რომელიც რეგულარულად აუპატიურებდა თავის შვილიშვილს — რამდენიმე თვის გოგონას.**



**„დემოკრატიულმა და ჰუმანურმა“ სასამართლომ ინფანტოფილ „ბაბუს“ მხოლოდ სამი წელი მიუსაჯა...**

დავუბრუნდეთ ნორვეგიას. დრამენის პროცესის მიმდინარეობისას უნებლიეთ იხსენებდნენ სხვა შემთხვევებსაც, რომლებიც უწინ ხანდახან გაჟონავდა ხოლმე პრესაში. ცნობილი გახდა, რომ **ნორვეგიულ ოჯახებში მიღებულია ერთმანეთში ბავშვების გაცვლა „სექსუალური სიამოვნებისთვის“; და კიდევ — ამბობენ, რომ თანამედროვე „ვიკინგების“ უმეტესი ნაწილისთვის ეს „ძველი და კეთილი“ წესჩვევაა.** არ გჯერათ? მაგრამ ფაქტია, პოლიცია ასეთ დანაშაულზე თვალს ხუჭავს. იკითხავთ — მაშ, რატომ მიმდინარეობს დრამენში ეს პროცესიო? პასუხი: ამ „ხუთეულს“ ასამართლებენ მხოლოდ იმის გამო, რომ გოგონა ერთი თვისაა. სამი, ოთხი, ხუთი წლის ბავშვების (აღარ ვამბობ, ცხრა, ათი წლის „ხანდაზმულებზე“) გაუპატიურება სკანდინავიაში სენსაცია აღარ არის! მეტიც — **ერთი თვის გოგონა გადარჩა და, აი, როგორ „ანუგეშებენ“ მოქალაქეებს სკანდინავი ექიმები და ფსიქოლოგები: გაუპატიურება ასეთ ადრეულ ასაკში ყოველთვის ცუდად როდი მოქმედებს ჩვილზე. სათანადო დახმარების გაწევის შემდეგ ბავშვი ნორმალურად იტანს გაუპატიურების შედეგებსო...**

სხვათა შორის, ნორვეგიელი ტერორისტი **ანდერს ბრეივიკი**, რომელმაც 2011 წლის ივლისში სიცოცხლეს გამოასალმა 77 ადამიანი, მათ შორის, ქართველი გოგონაც, ბავშვობაში ასევე გახდა „სკანდინავიური სექსის“ მსხვერპლი. **ოთხი წლის ანდერსი დედამ გააუპატიურა და მერე „აღსაზრდელად“ თავის ნაცნობ-მეგობრებს გადასცა. ბრეივიკი 9 წლის განმავლობაში ემზადებოდა შურისძიებისთვის... და თუ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ინფანტოფილია სკანდინავიური ოჯახების საშინელი საიდუმლო იყო და ინფანტოფილები ძალადობის ამსახველ ფოტოებს საოჯახო ალბომებში მალავდნენ, დღეს ამ საშინელ კადრებს თამამად ასაჯაროებენ!**

ვინც დრამანის სასამართლო პროცესს თვალყურს ადევნებს პრესისა თუ ტელევიზიის მეშვეობით, შეამჩნევს, რომ **მიმდინარეობს ჯოჯოხეთური მოვლენის არა გაკიცხვა, არამედ მხოლოდ განხილვა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ნელ-ნელა, მიზანმიმართულად ხდება სატანიზმის ლეგალიზაცია!**

**ე. წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გარკვეული სახელისუფლო ძალები და მათ მიერ წახალისებული „ლიბერალები“, აგრეთვე, დასავლეთის გრანტებით „ნაკვები“ არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ, გაპედერასტებული ევროპის „ფასეულობების“ საქართველოში დამკვიდრებას. ჩვენი ეკლესია და მის მიერ დარაზმული ხალხი ამ შეტევებს ჯერჯერობით იგერიებს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სერიალებითა და „შოუებით“ გონებაგამოფიტული, გამოლენჩებული თანამედროვე ქართველი სულ უფრო მეტად შორდება ღმერთს, ლიბერასტების გააფთრებული შეტევები ჩვენს გონებაზე გაგრძელდება!**

ჰოდა, იფიქრე, ქართველო, რომელი მხრიდან მოგეპარება ეშმაკის რჩეული — ანტიქრისტე? თვითმარქვია „ქართველის“ — ჯონ მაკკეინის „შვილობილი,“ უსასტიკესი ტერორიზმით გაჟღენთილი „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან, აშშ-დან, რომელსაც უზარმაზარი ვალების გადახდა არ სურს და კრედიტორი ქვეყნების გასანადგურებლად ყოველგვარ საზიზღრობას სჩადის თუ ევროპიდან, მისი „სექსუალური“ რევოლუციებით?!

**გიორგი კორძაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ენ-დი-აი და აი-რაი, მართლაც არიან ავტორიტეტული ორგანიზაციები, მაგრამ არც ერთ სხვა ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში ევროპაში, ისინი არ ატარებენ კვლევებს. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: თუ ჩვენ ნორმალური ქვეყანა ვართ, უცხოური ორგანიზაცია არ უნდა გვიდგენდეს პოლიტიკურ დღის წესრიგს. აქ უნდა იყოს ქართული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევა.“

# ვალერიან გორგილაძე: მიხეილ სააკაშვილს აქვს რეალური შესაძლებლობა, მოვიდეს ხელისუფლების სათავეში

**წინა კვირას „თეთრი სახლის“ ემისართა ორგანიზაციებმა საქართველოში — ენ-დი-აიმ და აი-რაიმ პოლიტიკური კვლევების საბოლოო ვარიანტი გამოაქვეყნეს. ციფრები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა: 36 პროცენტი მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, 14 — „ნაციონალურ მოძრაობას“, 10 — „თავისუფალ დემოკრატებს“, 6 — ლეიბორისტულ პარტიას, ხოლო 5-5 პროცენტი — „გაერთიანებულ დემოკრატებსა“ და „პატრიოტთა ალიანსს“. მოკლედ, პოლიტიკური პრელუდია შედგა — თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონმა წარმატებით შეგვამზადა „დემოკრატიული ცუნამისთვის“, რომელიც მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის გველოდება. ზემოაღნიშნული კვლევა ამ პროცესის ერთგვარი სცენარია, უფრო ზუსტად, სცენარის მხოლოდ წვერი, დიდი ნაწილი კი ოკეანის ფსკერზე მოტივტივე აისბერგივითაა ბნელ მორევში ჩამალული. „საქართველო და მსოფლიო“ სოციოლოგსა და პოლიტიკურ ანალიტიკოს ვალერიან გორგილაძეს დაუკავშირდა და მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარზე ესაუბრა.**



**— ბატონო ვალერიან, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ აი-რაისა და ენ-დი-აის კვლევის შედეგები მავანთა სურვილებს უფრო ასახავს, ვიდრე რეალობას. რის საფუძველზე შეგაქვთ ეჭვი ამ ორგანიზაციების ობიექტურობაში?**

— მე ვარ მოქმედი, ემპირიკოსი სოციოლოგი და უკვე ოცი წელია, კვლევებს ვატარებ. რაც შეეხება აი-რაის კვლევის კონკრეტულ მონაცემებს, მთავარი, რის გამოც ეჭვი მიჩნდება, არის ლეიბორისტების რეიტინგი, ვინაიდან არც ერთი სხვა ალტერნატიული კვლევით ეს არ დასტურდება.

**— რეალურად, მეტი აქვთ ლეიბორისტებს თუ ნაკლები?**

— ლეიბორისტების რეიტინგი არ აღემატება ცდომილების ფარგლებს. საერთოდ, ყველაზე რეპრეზენტატიული კვლევა არის არჩევნები და, თუკი გადავხედავთ ადგილობრივი არჩევნების შედეგებს, ვნახავთ იმ რეალურ მონაცემებს, რომლებიც ჰქონდა ლეიბორისტულ პარტიას ამ არჩევნებზე. ზუსტად ეს დაკვირვება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მოცემული კვლევა არც რელევანტურია და არც საიმედო პოლიტიკური პრეფერენციების ნაწილში და პრაქტიკულად საქმე გვაქვს ინფორმაციის, ემპირიული მონაცემების გაყალბებასთან.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი არ იწვევს ეჭვს?**

— მოდით, კიდევ ერთხელ შევეშვათ კვლევებს, რაკი გვაქვს არჩევნების შედეგები და დავაკვირდეთ „ნაცმოძრაობის“ რეიტინგის დინამიკას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მათ მიიღეს 850 ათასი ხმა (ყოველ შემთხვევაში, ასე გვეუბნებოდა ცესკო), შემდეგ ერთ წელიწადში კარგავენ 500 ათასზე მეტ ამომრჩეველს და დავით ბაქრაძე იღებს მხოლოდ 330 ათას ხმას. ეს არის ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტი, ანუ ვფიქრობ, რომ აქაც, ისევე, როგორც ლეიბორისტების შემთხვევაში, გარკვეული პროცენტები მომატებულია და მონაცემი არ ასახავს რეალურ სურათს...

**— გასაგებია, მაგრამ რას ემსახურება ეს ყველაფერი — რისთვის დასჭირდათ საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში პოლიტიკური კვლევის შედეგების გაყალბება?**

— ამ კვლევაში ბევრი გაურკვევლობაა. მაგალითად, **მათ თუ დავუჯერებთ, დღეს მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის, ხოლო 55 პროცენტს საპირისპირო აზრი აქვს. თავისთავად ეს პრერევოლუციური მაჩვენებელია, იმიტომ, რომ, თუ ხელისუფლებას აქვს მხოლოდ 5-პროცენტიანი მხარდაჭერა, ეს უკვე სოციალური აფეთქების წინაპირობაა. ამ დროს იმავე კვლევაში ვხედავთ აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს,— „ოცნების“ რეიტინგი შეადგენს 36 პროცენტს. ამ მონაცემებს შორის ლოგიკური კავშირის მოძებნა გამიჭირდება.**

**«მათ თუ დავუჯერებთ, დღეს მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის, ხოლო 55 პროცენტს საპირისპირო აზრი აქვს. თავისთავად ეს პრერევოლუციური მაჩვენებელია, იმიტომ, რომ, თუ ხელისუფლებას აქვს მხოლოდ 5-პროცენტიანი მხარდაჭერა, ეს უკვე სოციალური აფეთქების წინაპირობაა. ამ დროს იმავე კვლევაში ვხედავთ აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს,— «ოცნების» რეიტინგი შეადგენს 36 პროცენტს. ამ მონაცემებს შორის ლოგიკური კავშირის მოძებნა გამიჭირდება»**

რაც შეეხება შეკითხვას, რა მიზანს ემსახურება აღნიშნული მონაცემები, იმის გათვალისწინებით, რომ იმავე კვლევის თანახმად, ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას მოსახლეობაში აქვს 80-პროცენტიანი მხარდაჭერა, ისინი გვთავაზობენ შემდეგ პოლიტიკურ კონსტრუქციას: **თურმე პროდასავლური კურსის მხარდამჭერები, როგორებიც არიან, პირობითად, პროდასავლელი ნაციონალები , თავისუფალი დემოკრატები და ვაშინგტონში ხშირად მოსიარულე შალვა ნათელაშვილის პარტია, რეიტინგულები არიან. აი, ამის წარმოჩენას და ინტერპრეტირებას ემსახურება ეს კვლევები...**

**— სოციალური აფეთქება ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, ენ-დი-აისა და აი-რაის კვლევა, რომლის თანახმადაც, ხელისუფლებას მხოლოდ 5 პროცენტის მხარდაჭერა აქვს, სწორედ ამ აფეთქების პროვოცირებას ხომ არ ემსახურება?**

— ერთი რამის თქმა შეიძლება: **ნაციონალების დღევანდელი სლოგანი არის ის, რომ, რაც უფრო უარესადაა საქმე საქართველოში, მით უკეთესი „ნაციონალური მოძრაობისთვის“. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების ნებისმიერი წარუმატებლობა, მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება, ზრდის მათ შანსებს. რამდენად არის ეს ლოგიკასთან ახლოს, სხვა საკითხია, თუმცა 21 მარტის აქციამ ყველას დაანახვა და მათ შორის „ნაცმოძრაობასაც“, რომ ეს არ არის ის ძალა, რომელმაც, შესაძლოა, ისარგებლოს სოციალური დაძაბულობით.**

**— 31 მარტს, პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების დღეს პარლამენტში, თითქმის ყველა „ნაციონალი“ გამოსვლას ამთავრებდა მოწოდებით, რომ პრეზიდენტმა უნდობლობა უნდა გამოუცხადოს მთავრობას და კრიზისული მთავრობის კადრებზე იფიქროს. როგორ ფიქრობთ, ხომ არ იყო ეს უმაღლესი მთავარსარდლისთვის ერთგვარი მოკავშირეობის შეთავაზება?**

— რა თქმა უნდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალიან კარგად ესმის, რომ დამოუკიდებლად არჩევნებს ვერ მოიგებს, ამიტომ შეეცდება კოალიციის შექმნას.

**— ვისთან შეიძლება „ნაცმოძრაობამ“ კოალიცია შექმნას?**

— ვისაც გვიწერს აი-რაი, ალბათ, მათ განიხილავენ პოტენციურ პარტნიორებად. ძალიან რთული წარმოსადგენია ალასანია და ლეიბორისტები ერთად, მაგრამ არაფერია გასაკვირი.

**— საინტერესო და უცნაური არის ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, ჩვენ არ ვენდობით აი-რაისა და ენ-დი-აის კვლევას, მაგრამ პატივს ვცემთ ამ ორგანიზაციებსო. ეს რიტორიკა ლოგიკურია?**

— ქართველ პოლიტიკოსებს, დიდი ხანია, რაღაც კოლონიური ლოიალურობის სენი სჭირთ. ეს არახალია. რაც შეეხება პატივისცემას, **ენ-დი-აი და აი-რაი, მართლაც არიან ავტორიტეტული ორგანიზაციები, მაგრამ არც ერთ სხვა ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში ევროპაში, ისინი არ ატარებენ კვლევებს. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: თუ ჩვენ ნორმალური ქვეყანა ვართ, უცხოური ორგანიზაცია არ უნდა გვიდგენდეს პოლიტიკურ დღის წესრიგს. აქ უნდა იყოს ქართული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევა...**

**— დღე ისე არ გავა, სააკშვილმა სტატუსი არ გამოაქვეყნოს სოციალურ ქსელში, — იმაზე მალე დავბრუნდები, ვიდრე ზოგიერთს ჰგონიათო. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების სათავეში დაბრუნების რა პერსპექტივა აქვს „ნაცმოძრაობას“ და პირადად სააკაშვილს?**

— მიხეილ სააკაშვილს აქვს რეალური შესაძლებლობა, მოვიდეს ხელისუფლების სათავეში, ოღონდ არა საქართველოში, არამედ უკრაინაში. **სავსებით შესაძლებელია, სააკაშვილი ვიხილოთ პრემიერმინისტრის თანამდებობაზე, ვინაიდან მას ამისთვის აქვს მთავარი — დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების მხარდაჭერა.**

**— ეს თუ მოხდება, გამოდის, უკრაინის პრემიერმინისტრი იქნება საქართველოს მიერ ძებნილი? რა ურთიერთობა ექნება ორ სახელმწიფოს იმ პირობებში, როცა ერთ-ერთის პრემიერმინისტრის ვიზიტი მეორე ქვეყანაში აეროპორტშივე მისი დაკავებით დასრულდება?**

— დღეს ვხედავთ, რომ უკრაინის პროკურატურა ქართული მართლმსაჯულების სრულ იგნორირებას ახდენს; ის, ფაქტობრივად, არ ცნობს და უკანონოდ მიიჩნევს ჩვენი პროკურატურის მოთხოვნას. ცხადია, ეს შეიძლება სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს, მაგრამ, თუკი შიგაუკრაინული და გარე ძალების კონსენსუსის შედეგად გადაწყდება სააკაშვილისა და მისი გუნდის მოყვანა უკრაინის სათავეში, არ მგონია, ეს გარემოება სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს. ისე, ჩვენ უკვე ვხედავთ მის პოლიტიკურ კალიგრაფიას ამ ქვეყნის მმართველობაში (მთავრობის წევრების დაკავებები მთავრობის სხდომებზე პირდაპირ ეთერში, ეს აშკარად მისი ხელწერაა). ანუ, სააკაშვილი ახლა გავლენას იძლიერებს უკრაინაში და ცდილობს, დაიქვემდებაროს პოლიტიკური ელიტა, რომ მთლიანად აკონტროლოს და მართოს პროცესები. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვისაც შეიცავს სერიოზულ საფრთხეებს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ხელისუფლებას დღეს არ გააჩნია არანაირი ბერკეტი, რომ ჩაერიოს და თუნდაც მინიმალური კორექტივები შეიტანოს ამ პროცესში.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S.** ენ-დი-აისა და აი-რაის ფალსიფიცირებულ კვლევებზე საპარლამენტო უმრავლესობის კომენტარები ცხადყოფს, რომ ივანიშვილის მკვდრადშობილი ხელისუფლება არა მხოლოდ უუნაროა, არამედ ვაშინგტონის ემისრებს ერთ ადგილასაც უძვრება და სირაქლემას პოზაში მყოფი ფეხებზე იკიდებს, რა უბედურებას შეიძლება ამზადებდნენ ეს ვაიორგანიზაციები მსგავსი კვლევებით, ამაზე პოლიტოლოგებისა და ანალიტიკოსების ობიექტური შეფასება, ალბათ, ასეთი იქნებოდა — კლასიკური კონფორმიზმი. მკურნალობა კი, ჩემი მოკრძალებული აზრით, თერაპიული მეთოდებით შედეგს ვერ გამოიღებდა და ქირურგიული ჩარევა, თანაც სასწრაფო, აუცილებელი იქნებოდა.

**მარგველაშვილი, ბოკერია, ადეიშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა გებელსები ძმადნაფიცები რომ არიან, ახალი ამბავია? ჯერ კიდევ როდის, საპრეზიდენტო სკიპტრა რომ ხელთ იპყრო, მაშინ გამოჭიმა „პლასტელინმა“ ამ პირსისხლიან ჯალათებთან ერთად ლხინის ფოტოები და მერე კომენტარიც მოაყოლა, — პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებულობა მეგობრობას არ გამორიცხავსო.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარგვინალები, ანუ პოლიტიკური ბორიაყი

**მარგინალი ლათინური სიტყვაა და პირველადი მნიშვნელობით წიგნის კიდეს, ანუ იმ ადგილს ნიშნავს, რომელზეც მინაწერები კეთდება. მარგვინალები კი პრეზიდენტ მარგველაშვილის პოლიტიკური ტყუპისცალები, შეჯვარებული და „მთავარსარდალთან“ კუდით გადანასკვული „ნაცები“ არიან (რომელთა კოაბიტაციაც ამ ბოლო დროს პიკს აღწევს).**




წინა კვირას, 31 მარტს, ოლიგარქის ულაყი პარლამენტის წინაშე რომ წარდგა, მეგონა, „წარდგომა“ ცოტაოდენ დაძაბული იქნებოდა. ეს მოლოდინი მისი და მთავრობის დაპირისპირების გამო გამიჩნდა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ტრიბუნაზე თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი — წყალში. ოდნავი ღელვაც, არ ეტყობოდა. მერე მივხვდი, რომ სანერვიულო არც არაფერი იყო, — დარბაზში მხოლოდ „ნაციონალები“ და მათი იდეოლოგიური დედმამიშვილები ისხდნენ — რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები და სხვები. ცხადია, პრეზიდენტმაც თავიდანვე იცოდა, რომ ეს გამოსვლა სრული ფორმალობა იქნებოდა და მას თავის პოლიტიკურ ოჯახში არანაირი დისკომფორტი არ ელოდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. **15-წუთიანი მოხსენების შემდეგ ტრიბუნა „ნაციონალებმა“ დაიკავეს და ერთადერთი, რაზეც აპელირებდნენ, იყო ის, რატომ არ ესწრებოდნენ „მთავარსარდლის“ გამოსვლას მთავრობის წარმომადგენლები.**

**გოკა გაბაშვილმა** ერთგვარად ანუგეშა კიდეც იგნორირებული პრეზიდენტი: ის, რომ მთავრობა თქვენ არ გექვემდებარებათ, არ ნიშნავს, რომ მათ პატივი არ უნდა სცენ ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეულ პრეზიდენტსო. დაახლოებით ასეთივე შინაარსის იყო **გიორგი ბარამიძის** გამოსვლაც, — თითქმის ათწუთიან გამოსვლაში იგი საერთოდ არ შეხებია ლარის გაუფასურებას, მასობრივ უმუშევრობასა თუ შეუსრულებელ დაპირებებს. სამაგიეროდ **ბარამიძემ რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ მისნიტრების არდასწრება მოხსენებაზე ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს და რომ ამით ივანიშვილი და მისი ხელისბიჭუნა ღარიბაშვილი ასუსტებენ სახელმწიფო ინსტიტუტებს...** მოკლედ, მარგველაშვილი მარგვინალების გარემოცვაში აღმოჩნდა და დაძაბულობაზე საუბარიც ზედმეტი იყო, პირიქით — **ეს ორსაათიანი პროცედურა მისთვის ერთგვარი ნირვანა და მორალური რეაბილიტაცია აღმოჩნდა, რადგან, მინისტრების მხრიდან სრული იგნორირების ფონზე, კაცმა, როგორც იქნა, თავი „ჭეშმარიტ მთავარსარდლად“ იგრძნო.**

დეპუტატების გამოსვლის შემდეგ ჯერი საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეებზე მიდგა და „ნაციონალებმა“ აქაც ცოფი ანთხიეს. უნიათო, უგერგილო, უუნარო... **რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, აღნიშნულ ეპითეტებს უმცირესობა არა პრეზიდენტის მისამართით, არამედ მის სანუგეშოდ და საამებლად აფრქვევდა.**

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, ქვეყანას დიდი პოლიტიკური ბორიაყი ელოდება. უკეთეს შემთხვევაში მარგვინალები არჩევნებამდე მოითმენენ და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას დემოკრატიული სპექტაკლით შეეცდებიან, უარეს შემთხვევაში კი საქართველოს თავზე ევრომაიდნის ღრუბელი ჩამოწვება. პრინციპში, რა განსხვავებაა, ამერიკა თუ მოინდომებს, ევრომაიდანს კი არა, ჰიროსიმა-ნაგასაკისაც მოგვიწყობს და მერე ქართული დემოკრატიით დანარჩენ «ბნელ» მსოფლიოს გააოცებს...**

ისე, პრინციპში, რა პარადოქსზეა საუბარი, **მარგველაშვილი, ბოკერია, ადეიშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა გებელსები ძმადნაფიცები რომ არიან, ახალი ამბავია? ჯერ კიდევ როდის, საპრეზიდენტო სკიპტრა რომ ხელთ იპყრო, მაშინ გამოჭიმა „პლასტელინმა“ ამ პირსისხლიან ჯალათებთან ერთად ლხინის ფოტოები და მერე კომენტარიც მოაყოლა, — პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებულობა მეგობრობას არ გამორიცხავსო.** მართლა ასე რომ ყოფილიყო და, ჭაბუკობისდროინდელი ძმაკაცობის გარდა, საერთო არაფერი ჰქონოდათ, რა გვიჭირდა, მაგრამ, საუბედუროდ, მათი პოლიტიკური იდეოლოგიაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. კაცმა რომ თქვას, ეს ბუნებრივიცაა. აბა, დაფიქრდით, ნაცების პოლიტიკური გორისა რომ არ ყოფილიყო მარგველაშვილი, მის გაპრეზიდენტებას ამერიკა დაუშვებდა?!

**ცხადია, დღევანდელი ხელისუფლების ყველა სუბიექტი ვაშინგტონის მიერაა დამღადასმული (სხვანაირად ხელისუფლებაში მოხვედრაზე საუბარიც ზედმეტი იქნებოდა), მაგრამ მარგველაშვილი და „ნაცმოძრაობა“ მთლად ერთი პოლიტიკური სარცხვინელით აღმოჩნდნენ გაკეთებული.** ამას უკვე ვერც მალავენ, სადაცაა მათი ფლირტაობა აღვირახსნილ აქტში გადაიზრდება და ქვეყანას მოევლინება ახალი პოლიტიკური ნაშიერები — მარგვინალები, ხელისუფლების სათავეში. მომავალში ამის მცდელობის საფრთხე იმ დღესაც ნათლად გამოჩნდა, როცა პრეზიდენტი პარლამენტში წარდგა და „ნაცხროვისგან“ დითირამბების გალობით ნირვანას მიეცა. კერძოდ, რას ვგულისხმობ: **მიაქციეთ, ალბათ, ყურადღება, რომ უკლებლივ ყველა „ნაციონალი“ ერთი და იმავე ქვეტექსტებით მიმართავდა მას, — ხელისუფლება უნიათოა და თქვენ ხართ ერთადერთი ნათელი წერტილი ამ უგერგილოების ჯოგშიო.**

აი, როგორ დაასრულა თავისი გამოსვლა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-რეგიონების“ თავმჯდომარემ **ტარიელ ლონდარიძემ: „ბატონო პრეზიდენტო, დიდ პატივს გცემთ, დღევანდელი რეიტინგებიც აჩვენებს, რომ თქვენი რეიტინგი თანდათან მატულობს, იქიდან გამომდინარე, რომ თქვენ ნელ-ნელა აღწევთ თავს ბიძინა ივანიშვილის გავლენას. დღევანდელ მთავრობასაც ვურჩევ, რომ ივანიშვილის გავლენას თავი დააღწიოს. დარწმუნებული იყავით უმრავლესობაც, რომ მეტად წარმატებულნი იქნებით. როდესაც უმაღლესი მთავარსარდლის მოხსენებას არ ესწრება, ვთქვათ, თავდაცვის მინისტრი, ჩემთვის ეს ყოვლად მიუღებელია. პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ ხელისუფლების დრო ამოწურულია, ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს. მოვუწოდებ პრეზიდენტს, უმრავლესობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან ერთად, მომავალი კრიზისული მთავრობის ე. წ. კადრები შეარჩიოს და დააკომპლექტოს, ხოლო გარდამავალ პერიოდში მან ქვეყანას უხელმძღვანელოს, რათა კრიზისი დაიძლიოს და ქვეყანა მომავალი არჩევნებისთვის მოემზადოს“.**

არსებობს ასეთი ძველთაძველი შეგონება: „ტოლი ტოლს ეძებს“, — კრიმინალმა ლონდარიძემ შემთხვევით არ ახსენა არც ექსპერტები და არც არასამთავრობოები. **სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა პარტიამ კარგად იცის, რომ ხელისუფლების სათავეში მათი დაბრუნების ერთადერთი გზა არა დემოკრატიული არჩევნები, არამედ არეულობა და დესტაბილიზაციაა, იცის, რომ ამისთვის ყველაზე რეალური საშუალება ხელისუფლების პრორუსულობაში „მხილებაა“ და ამ საქმეში უკეთეს მოკავშირეს, ვიდრე დასავლეთის გრანტნაწოვი „ენჯეოები“ ან თუნდაც ექსპერტები არიან, ნამდვილად ვერ იპოვის. ლონდარიძემ, უბრალოდ, გაახმოვანა ის, რაზეც სააკაშვილი ოცნებობს.** რაც შეეხება მიმართვას მარგველაშვილისადმი, ამით ხაზი გაესვა მათ პოლიტიკურ იდენტურობას. მეტიც, შეიძლება ითქვას, **ლონდარიძის გამოსვლა ერთგვარი დეკლარირება იყო გეგმისა, რომელიც ხელისუფლების ე. წ. ლიბერალური ფრთის „ნაციონალებთან“ შეჯვარებას გულისხმობს.** ისე, კაცმა რომ თქვას, ახალი და ალოგიკური ამ ყველაფერში არაფერია, — იმის გათვალისწინებით, რომ მარგველაშვილის პოლიტიკური დე-ენ-ემი სააკაშვილის ხროვის იდენტურია, მარგვინალების მომრავლება გარდაუვალი იყო. ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, დადებს თუ არა აშშ ფსონს ამ ახალ პოლიტიკურ ჰიბრიდზე. ეს, ალბათ, დიდწილად თვითონ მარგვინალებზეც იქნება დამოკიდებული.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ქვეყანას დიდი პოლიტიკური ბორიაყი ელოდება. უკეთეს შემთხვევაში მარგვინალები არჩევნებამდე მოითმენენ და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას დემოკრატიული სპექტაკლით შეეცდებიან, უარეს შემთხვევაში კი საქართველოს თავზე ევრომაიდნის ღრუბელი ჩამოწვება. პრინციპში, რა განსხვავებაა, ამერიკა თუ მოინდომებს, ევრომაიდანს კი არა, ჰიროსიმა-ნაგასაკისაც მოგვიწყობს და მერე ქართული დემოკრატიით დანარჩენ „ბნელ“ მსოფლიოს გააოცებს...

**ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო

## საბერძნეთში ქართველი მეზღვაურები დააკავეს

**საბერძნეთში ორი ქართველი მეზღვაური კონტრაბანდის გადატანის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულები ქალაქ კალატამატას ციხეში იმყოფებიან. მათ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდეს. მეზღვაურები ბრალს არ აღიარებენ.**

როგორც ერთ-ერთი მეზღვაური, ლევან ჯინჭარაძე, სატელეფონო საუბარში აცხადებს, მონტე-ნეგროდან წამოიღეს დალუქული კონტეინერები, რომლებიც ლიბიაში უნდა გადაეტანათ, ხოლო კონტრაბანდული ტვირთის შესახებ მათთვის უცნობი იყო. მისი თქმით, აღნიშნული მარშრუტით მათ ორი რეისი განახორციელეს, ხოლო მესამე რეისის შესრულებისას, ცუდი ამინდის გამო საბერძნეთის ერთ-ერთ კურორტზე გაჩერდნენ, სადაც დააკავეს. ბერძნული მედია წერს, რომ გემს 11 ათასი ყუთი კონტრაბანდული სიგარეტი გადაჰქონდა. მომხდარის თაობაზე საქმის კურსშია საბერძნეთში საქართველოს საკონსულო. დაკავებულები საბერძნეთში საქართველოს კონსულმა ნანა ჩაბრავამ მოინახულა. როგორც დაკავებულების ოჯახის წევრები ამბობენ, გემთფლობელი თურქეთის მოქალაქეა, რომელიც იმალება. მეზღვაურების ახლობლები ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.



თემა ფოტოდან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინ დაეძებს, რომ პარლამენტი არჩევითი ორგანოა და იქ მხოლოდ და მხოლოდ ის ადამიანები ხვდებიან, რომლებსაც ამომრჩეველი დაუჭერს მხარს. მაგრამ ამ მეტისმეტად „ოცდამეერთესაუკუნეა“ ტიპის ქალებს მაინცდამაინც პარლამენტში სურთ და რა ქნან? დგანან და მოითხოვენ! ოღონდ თვითონაც არ იციან, ვის სთხოვენ და რას სთხოვენ, რადგან გაუგებარია, როდის და ვინ აუკრძალა რომელიმე ქალს საპარლამენტო ან თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება.**

# ფემინისტური ლოგიკა, ანუ სად გირჩევნიათ «მეტი ქალი»?

**ამ კითხვაზე, სავარაუდოდ, ყველას მისთვის სასურველი პასუხი ექნება: სამზარეულოში, საძინებელში, პლაჟზე. პილიტიკაში, დედამიწაზე ან სულაც — მთვარეზე! მაგრამ ის, რასაც ბოლო პერიოდში გარკვეული ფსიქოლოგიის მქონე ქალები აცხადებენ და რა მოთხოვნებითაც აქციებს ატარებენ, ყოველგვარ ლოგიკას სცილდება და კიდევ ერთხელ ასხამს წყალს წყალწაღებულ მიზოგინთა (ქალთმოძულეთა) თვალსაზრისზე — ქალებს ტვინი არ აქვთ!**

არასოდეს ვყოფილვარ მიზოგინი და სექსისტი. პირიქით — უპრობლემოდ მიმუშავია მდედრობითი სქესის უფროსებთან, რომლებიც არაერთ სამსახურში მყოლია და არავითარი კომპლექსი ამ მხრივ არ გამაჩნია. არც იმას ვფიქრობ, რომ ქალი არათუ „კუხნაში“, არამედ, საზოგადოდ, შინ უნდა იჯდეს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მონაწილეობდეს... მაგრამ აი, ხსენებული აქციების ცქერისას შეუძლებელია, არ დაეთანხმო ამ კონკრეტული ქალების სრული უტვინობის თეორიას.

საქმე ის არის, რომ ისინი პირდაპირ მოითხოვენ; **„მეტი ქალი პარლამენტში!“**

ყურადღება მიაქციეთ,— პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საჯარო სექტორში ან ასეთი მეტ-ნაკლებად ზოგადი მოთხოვნა კი არ აქვთ, არამედ აი, ასე: კერძოდ და კონკრეტულად — პარლამენტში!

**ვინ დაეძებს, რომ პარლამენტი არჩევითი ორგანოა და იქ მხოლოდ და მხოლოდ ის ადამიანები ხვდებიან, რომლებსაც ამომრჩეველი დაუჭერს მხარს. მაგრამ ამ მეტისმეტად „ოცდამეერთესაუკუნეა“ ტიპის ქალებს მაინცდამაინც პარლამენტში სურთ და რა ქნან?**

**დგანან და მოითხოვენ! ოღონდ თვითონაც არ იციან, ვის სთხოვენ და რას სთხოვენ, რადგან გაუგებარია, როდის და ვინ აუკრძალა რომელიმე ქალს საპარლამენტო ან თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება.**

თუმცა ეს კითხვებიც, ალბათ, გვერდზე დაგრჩებოდათ და გაოცებისგანაც დააღებდით პირს, როდესაც ამ ფოტოზე აღბეჭდილ ლოზუნგს წაიკითხავდით: **„კაცები „კუხნაში“, ქალები პარლამენტში!“.**

ეს ფოტო გასული კვირის ინტერნეტ-ჰიტი გახდა!

**ქალების პარლამენტარობას არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ, ნეტავ, ამ ქალბატონს რატომ გადაუწყვეტია კაცების მაინცდამაინც „კუხნაში“ შერეკვა? და არა, დავუშვათ — საძინებელში?**

რა თქმა უნდა, ლოგიკური **ეჭვი ჩნდება, რომ ასეთი მისწრაფებების ქალები საძინებელშიც კაცების გარეშე არიან ხოლმე და ამიტომ მათთვის მამაკაცი მხოლოდ სამზარეულოშია „სასურველი“. მაგრამ, აი, რა შეიძლება ვუთხრათ იმ ქალებს, რომლებიც დროებით გამოსულელდებიან ხოლმე, აჰყვებიან ამ სულელებს და გაუაზრებლად იმეორებენ?** მაგალითად, ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა ამ ფოტოზე აღბეჭდილი ლოზუნგის გამართლება სცადა: „ეს იმას ნიშნავს, რომ ქალებიცა და მამაკაცებიც „კუხნაშიც“ და პარლამენტშიც თანაბრად უნდა იყვნენო!“

ეს მორიგი იდიოტური ტერმინი „თანაბრობა“ ამ კონტექსტში კიდევ უფრო განსაკუთრებული იდიოტიზმი რომ არის, ამაზე დაფიქრება, რატომღაც არ სურთ.

**კარგი, ჯანდაბას, პარლამენტის წევრების ზუსტად თანაბრად დაყოფა ქალებად და მამაკაცებად შესაძლებელია (ამ იდეის შინაარსობრივ იდიოტიზმზე არ არის საუბარი, მხოლოდ წმინდა მათემატიკურად ვამბობ), მაგრამ, აი, სამზარეულოში ასეთი ზუსტი „თანაბრობა“ ვინ და რა მეთოდით უნდა მოახერხოს?**

ანუ, თუკი ცოლი გარეცხავს 10 ცალ თეფშს, ქმარმაც ზუსტად იმდენივე უნდა გარეცხოს? სხვა შემთხვევაში ქალმა ხელი აღარ უნდა გაანძრიოს და სამზარეულო უნდა აყროლდეს?

რა თქმა უნდა, საუბარი არ არის ერთმანეთისთვის ხელის შეშველებასა და ურთიერთდახმარებაზე, მაგრამ ასეთი „ოფიციალური თანაბრობის“ მოთხოვნა რაღა დოზანაა, ნეტავ?

**ან, თუკი სამზარეულოში და პარლამენტში ვათანაბრებთ ქალებს, და მამაკაცებს, რატომ არ უნდა გავაკეთოთ იგივე სხვაგან? რატომ უნდა დავჩაგროთ ქალები?**

**მე მხარს ვუჭერ შემდეგი ტიპის ლოზუნგებს:**

***„მეტი ქალი ელიავას ბაზრობასთან “ბალგარკებით” ხელში!“**

***„მეტი ქალი მშენებლობებზე, ცემენტის ნარევის მომზელად!“**

***„მეტი ქალი არმატურაზე, რკინის შედუღების აპარატთან!“**

ასევე — **„მეტი ქალი ფრონტის წინა ხაზზე!“**

ისიც ვიცი, ბოლო ლოზუნგზე ბევრი ქალი „ივაჟკაცებს“ და იტყვის, სიამოვნებით დავდგებოდი სამშობლოსთვის ტყვიის პირისპირო! ეჭვიც არ მეპარება! კარგი და ნორმალური ქალები დადგებოდით! მაგრამ „პარლამენტში მოჯდომის“ მომთხოვნი ქალები არ დადგებოდნენ!

ეგეც რომ არა, შეგახსენებთ: მსგავსი ექსპერიმენტი მეორე მსოფლიო ომის დროს ჩატარდა. მოხალისე ქალები ფრონტის უმძიმესი უბნის წინა ხაზზე გაუშვეს. ორიოდე თვის შემდეგ 100-დან 70-მა ქალმა უკან გაწვევა მოითხოვა. საოცარი იყო ის, რომ ამის მიზეზად არც ერთ მათგანს არ დაუსახელებია ტყვია და სიკვდილის შიში. მეტიც — ისინი კაცებზე უფრო დიდი გაბედულებით მიდიოდნენ იერიშზე ბომბებისა და ცეცხლის ქვეშ!

ერთადერთი, რამაც მეომარი ქალები სულიერად დასცა და გატეხა, იყო სანგრებსა და ყაზარმებში არსებული ანტისანიტარია. მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო ყაზარმები კიდევ შეიძლება მოაწესრიგო, მაგრამ ფრონტის წინა ხაზზე ანტისანიტარიის პრობლემის აღმოფხვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ქალები ვერ იტანდნენ იმას, რომ ბევრი კვირის განმავლობაში არ იყო დაბანის, ტანსაცმლის გამოცვლის, კბილების გახეხვისა და სხვა ჰიგიენური ნორმების დაცვის საშუალება. ეს მათ ნერვულ სისტემას უნგრევდა და ლამის ისტერიკამდე მისულნი მოითხოვდნენ ზურგში გადაყვანას!

**ქალებო, ეს ომია! და ომი არ არის მხოლოდ ტყვია და ბომბი! გთხოვთ, გაიაზროთ ხოლმე ეს. ისევე, როგორც გთხოვთ, გაიაზროთ და უაზროდ ნუ აყვებით თქვენივე სქესის ტვინდაავადებულ და გადაგვარებულ ტუტუც არსებებს.**

ვიდრე მათ სულელურ მოთხოვნებს გაიმეორებდეთ და აყვებოდეთ მათ, კარგად გაიაზრეთ -რას ითხოვთ, რატომ ითხოვთ და თქვენი მოთხოვნები უფრო მეტად ხომ არ განამტკიცებს **მიზოგინთა იმ ცნობილ ლოზუნგს, რომელიც ზევით ვახსენე?**

**ნეტავ, მართლა თუ იცის აი, ამ ფოტოზე გამოსახულმა აშკარად ერთუჯრედიანმა არსებამ რა არის პარლამენტი?** ან რატომ სურს მაინცადამაინც „პარლამენტში“ მოხვედრა და არა, დავუშვათ, საგარეო საქმეთა სამინისტროში ან პრემიერმინისტრის აპარატში?

**მრჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთ არსებებს, უბრალოდ, სმენიათ, რომ პარლამენტი „კაი პონტია“, თორემ რეალურად ისიც არ იციან, ამ დაწესებულებაში სხედან და ჭორაობენ თუ მხოლოდ „საშოპინგოდ“ შედიან ხოლმე.**

**სხვათა შორის, აი, „შოპინგის“ მიმართულებით კი მართლაც მიმზიდველი უნდა იყოს პარლამენტი, როგორც ქალების, ასევე კაცებისთვის. ბევრი გვინახავს იქ მშიერტიტველი შესული და გამაძღარ-ჩაცმულ-დახურული გამოსული.**

ისე, სიმართლე რომ ითქვას, პარლამენტის გარეშეც მაგრად აირია სიტუაცია ამ მხრივ ქვეყანაში. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ახალდაარსებული ქალთა მოძრაობა (სახელი ზუსტად აღარ მახსოვს) თავის პირველ განცხადებას არც მეტი, არც ნაკლები... „სვანების“ სახელით აკეთებს... რა კავშირშია ქალთა მოძრაობა სვანეთთან და სვანურ ადათ-წესებთან, ჯერჯერობით ვერ დავადგინე.

ამასთანავე, იმედი მაქვს, საქართველოს პარლამენტის სვანი წარმომადგენლები არ ჩაუდგებიან ჯიბრში ქალებს და არ წამოაყენებენ ახალ ლოზუნგს: „მეტი სვანი პარლამენტში!“, თორემ, თუკი პარლამენტისათვის სქესობრივ ბრძოლას კუთხური ბრძოლა ჩაენაცვლა, ალბათ, ყველა ვხვდებით, რომ ჯიქურ მოთხოვნაში სვანებს ნამდვილად ვერავინ აჯობებს.

ამიტომ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, მოგვიწევს, ხმის მისაცემი პულტების ნაცვლად, „ნასოსების“ ჩამორიგება!

**ბაკურ სვანიძე**




**ნეტავ, მართლა თუ იცის, აი, ამ ფოტოზე გამოსახულმა აშკარად ერთუჯრედიანმა არსებამ, რა არის პარლამენტი? ან რატომ სურს მაინცადამაინც პარლამენტში მოხვედრა და არა, დავუშვათ, საგარეო საქმეთა სამინისტროში ან პრემიერმინისტრის აპარატში? მრჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთ არსებებს, უბრალოდ, სმენიათ, რომ პარლამენტი «კაი პონტია», თორემ რეალურად ისიც არ იციან ამ დაწესებულებაში სხედან და ჭორაობენ თუ მხოლოდ «საშოპინგოდ» შედიან ხოლმე**

## მოკლედ



## ჰილარი კლინტონი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება

**ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში ერთვება, რისთვისაც ნიუ იორკის ბრუკლინის რაიონში წინასაარჩევნო შტაბისთვის ოფისი უკვე იქირავა.**

ამერიკული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამიერიდან 15 დღის განმავლობაში კლინტონი ვალდებულია, ოფიციალურად განაცხადოს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს, რომელიც 2016 წლის ნოემბერში გაიმართება.

67 წლის ჰილარი კლინტონი საპრეზიდენტო არჩევნებში 2008 წელსაც მონაწილეობდა. მან სახელმწიფო მდივნის თანამდებობა 2013 წელს დატოვა.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს დასავლეთი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყანა არადემოკრატულია. ამასთანავე, კარგი ურთიერთობა აქვს საუდის არაბეთთან, რომელსაც საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან. იქ არ არის არჩევნები, ქალები უუფლებონი არიან და ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც ყველამ იცის. აი, ამაში მდგომარეობს დასავლური თვალთმაქცობა“.**

# ბაშარ ასადი: კრიზისები სირიასა და უკრაინაში რუსეთის დასუსტების მიზნით არის პროვოცირებული

**მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს. უკრაინაში, ავღანეთში, ერაყში, აფრიკის რამდენიმე ქვეყანასა და სირიაში მწვავე კონფლიქტის შედეგად ყოველდღე იღუპებიან ადამიანები. და ეს პროცესები თითქოს ერთი ხელით იმართება. მკითხველისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმის შეტყობა, რამ გამოიწვია საომარი დაპირისპირება საქართველოსგან 1000 კმ-ით დაშორებულ სირიაში, სადაც სამთავრობო ჯარები უცხო ძალების მიერ შეიარაღებულ და დაფინანსებულ ტერორისტულ დაჯგუფებებს ებრძვიან. შემოკლებით ვბეჭდავთ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან ინტერვიუს, რომელიც მას საინფორმაციო სააგენტო TACC-ის ჟურნალისტებმა ჩამოართვეს.**



**— როგორ აფასებთ მოსკოვში აპრილში დაგეგმილ კონსულტაციებს სირიის საკითხებზე? ვინ იქნება სირიის წარმომადგენელი და რა არის საჭირო სირიელთა შორის დიალოგის დასაწყებად?**

— ჩვენ ამ რაუნდსა და რუსეთის ინიციატივას დადებითად ვაფასებთ, ის ძალიან მნიშვნელოვანია. დასავლეთის ქვეყნები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ომი გაჩაღებულიყო სირიაში და მთლიანად რეგიონში, ზოგჯერ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ზოგჯერ — ხალხებისადმი მხარდაჭერის, რომლებიც აჯანყდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად, აგრეთვე, სხვა ცრუ საბაბით, რომლებიც დასავლეთის მედიასაშუალებებით ვრცელდება.

რუსეთის ინიციატივა მნიშვნელოვანია, რადგან მან დაამტკიცა თავისი ერთგულება სირიაში ვითარების პოლიტიკური გზით დარეგულირებისადმი და ჩაშალა იმ დასავლელთა გეგმები, რომლებიც ომისკენ მოუწოდებენ, განსაკუთრებით — აშშ-ში, საფრანგეთსა და ბრიტანეთში, როგორც ეს მათ უკრაინაში გააკეთეს. **ისინი, ვინც ომისკენ მოუწოდებენ, უკრაინის კონფლიქტის ერთ მხარეს აიარაღებენ რეჟიმის შესაცვლელად და იმედოვნებენ, რომ შემდგომ იმავეს გააკეთებენ რუსეთშიც.**

რუსეთი ამჟამად სირიელთა შორის დიალოგის დასაწყებად მედიატორის როლს ასრულებს და თავის თვალსაზრისს თავს არ გვახვევს.

**— სირიაში, კონკრეტულად, სანაპიროზე მდებარე ტარტუსში, ფუნქციონირებას განაგრძობს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნიკური უზრუნველყოფის პუნქტი. ახლა თუ არა, მომავალში მაინც თუ განიხილავთ მის გარდაქმნას რუსეთის სრულფასოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად?**

— რაც შეეხება რუსეთის ყოფნას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში, სირიის პორტ ტარტუსში, ეს აუცილებელია შესანარჩუნებლად ბალანსისა, რომელიც მსოფლიომ დაკარგა 20 წელიწადზე მეტი ხნის წინათ, სსრკ-ის დაშლის შემდეგ. ჩვენ ვთვლით, რომ, რაც უფრო გაძლიერდება რუსეთის ყოფნა ჩვენს რეგიონში, მით მეტად სტაბილური იქნება ის. ჩვენ ამ გეგმას, რა თქმა უნდა, მივესალმებით.

**— იმ ნაბიჯებს შორის, რომლებიც მიმართულია სირიაში ვითარების პოლიტიკური გზით რეგულირებისკენ, კვლავ რჩება გაეროს სპეცწარმომადგენლის — სტეფან დე მისტურის ინიციატივა ალეპოში „კონფლიქტის გაყინვის“ თაობაზე. თუმცა ცოტა ხნის წინათ ზოგიერთმა ოპოზიციონერმა განაცხადა, რომ უარს ამბობს ამ ინიციატივაზე. როგორ შეაფასებთ დე მისტურის საქმიანობას?**

— მისტურის ინიციატივის ძირითადი მიზანი მუქარის მოხსნაა ალეპოს მოსახლეობისთვის. ეს ინიციატივა დამოკიდებულია სხვადასხვა მხარეზე. სირიის მთავრობასთან თანამშრომლობაზეც და „ბოევიკ“-ტერორისტებზეც, რომლებიც ალეპოს სხვადასხვა რაიონში არიან გამაგრებულნი. ზოგიერთი „ბოევიკი“ სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფება. **ალეპოში მოქმედ ყველა ტერორისტულ დაჯგუფებას მხარს უჭერს თურქეთი, სწორედ ამიტომ ამ ძალებმა უარი თქვეს დე მისტურისთან თანამშრომლობაზე და თვითონ ინიციატივაც უარყვეს. მისტურის ინიციატივას აქვს წარმატების შანსი, თუკი თურქეთი და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც „ბოევიკებს“ აფინანსებენ, შეწყვეტენ სირიის საშინაო საქმეებში ჩარევას.**

**— როდესაც სირიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, ბევრი პოლიტიკოსი ამბობდა, რომ თქვენი პრეზიდენტობის დღეები დათვლილი იყო. მაგრამ ვხედავთ, რომ ასე არ არის. ახლა დასავლელი ლიდერები ამბობენ, რომ სირიაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმე პრეზიდენტ ბაშარ ასადის მონაწილეობის გარეშე უნდა წარიმართოს. არის კი ეს შესაძლებელი?**

— განცხადებები, რომლებიც გვესმის კრიზისის დაწყებიდანვე, გამოხატავს დასავლეთის ხედვას, რომელიც კოლონიურია. **დასავლეთისთვის მიუღებელია პარტნიორული ურთიერთობები. თუკი მათ არ მოსწონთ რომელიმე სახელმწიფო, ცდილობენ, შეცვალონ მთავრობა და პრეზიდენტი.** როდესაც ამ ლოგიკას მიმართავენ, ხალხის აზრს არ ითვალისწინებენ. მათთვის ყველაფერი მარტივია: არ მოგვწონს პრეზიდენტი, — ჩვენ მას შევცვლით. მაგრამ დღეს ხალხები არ ეთანხმებიან იმას, რომ მათ მომავალს, ბედს ან იმას, ვინ იქნება მათი მმართველი, უცხოეთიდან წყვეტდნენ. ასეთი რამ ხდება უკრაინაში. და ეს მათი მიზანია რუსეთშიც.

მათ არ მოსწონთ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ცდილობენ მის დემონიზაციას. ასეა ყველგან. მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ **სირიელი ხალხი თვითონ გადაწყვეტს თავის ბედს და ჩვენ არ გვადარდებს, ილაპარაკებენ თუ არა ისინი პრეზიდენტის გადადგომაზე ან დარჩენაზე, აღიარებენ მას ლეგიტიმურად თუ არა. ჩემი ლეგიტიმურობის წყარო არის ხალხი.** ხალხის მხარდაჭერა სირიაში სახელმწიფო ინსტიტუტების ურყევობის საფუძველია.

**სირიელთა შორის დიალოგი წარმატებით რომ წარიმართოს, საჭიროა უცხოეთის ჩარევის განეიტრალება და ტერორისტებისთვის იარაღის მიწოდების შეწყვეტა თურქეთიდან, საუდის არაბეთიდან, ყატარიდან და რიგი ევროპული სახელმწიფოებიდან.** აგრეთვე, უნდა შეწყდეს „ბოევიკების“ დაფინანსება, განსაკუთრებით — საუდის არაბეთიდან და ყატარიდან. ასეთ შემთხვევაში ვითარების პოლიტიკური მეთოდებით რეგულირების პროცესი უფრო მარტივად წარიმართება.

**— ყველა ქვეყანაში არის შუღლის ჩამოგდების შესაძლებლობა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფსა და ეროვნებას შორის, რით შეიძლება ამას წინ აღვუდგეთ?**

— ბუნებრივია, თუკი არსებობს კონფესიათაშორისი პრობლემა, რომელიც განხეთქილებას იწვევს საზოგადოებაში, სხვა სახელმწიფოებისთვის ადვილია ამით ვითარების დესტაბილიზაცია. ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობდა, ეს ფაქტორი რუსეთშიც გამოეყენებინა, როდესაც მხარი დაუჭირეს ექსტრემისტულ დაჯგუფებებს. **დასავლეთის მთავარი მიზანი რუს საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა და ქვეყნის, სახელმწიფოს დასუსტებაა, შეიძლება — რუსეთის დაშლაც. აი, ასეთ გეგმებს აწყობენ რუსეთისა და სირიის წინააღმდეგ. კრიზისები სირიასა და უკრაინაში რუსეთის დასუსტების მიზნით არის პროვოცირებული...**

ამიტომ სახელმწიფომ პრევენციული რეაგირება უნდა შეძლოს ასეთ მუქარაზე, დაიცვას ტერიტორიული მთლიანობა, რწმენის თავისუფლება, აზრის თავისუფლება. ეს უფლებები დაცულია სირიაში, რაც უმნიშვნელოვანესი მიზეზია სირიის საზოგადოების ურყევობისა, მიუხედავად იმისა, რომ ლოზუნგები, რომლებსაც უცხოური მედიასაშუალებები, აგრეთვე, ტერორისტები იყენებენ, მიმართულია განხეთქილების შემოტანისკენ, განსაკუთრებით — კონფესიათაშორისი დაპირისპირებისკენ.

**— თქვენი აზრით, რა იყო დასავლეთის მხრიდან თქვენზე ზემოქმედების მიზეზი, ვიდრე სირიაში კონფლიქტი იფეთქებდა?**

— კვლავ დავუბრუნდები მენტალიტეტს დასავლეთისა, რომელიც აქამდე ცხოვრობს კოლონიალიზმის ეპოქაში. **დასავლეთისთვის მოუღებელია პარტნიორობა. მისთვის აუცილებელია, დაიმორჩილოს. თვით დასავლეთშიც კი აშშ-ს არ სჭირდება პარტნიორები, ევროპელების დამორჩილება სურს.** ისინი არასოდეს თვლიდნენ რუსეთს პარტნიორად, რადგან რუსეთი დიდი სახელმწიფოა, და, ბუნებრივია, ისინი არად ჩააგდებენ ისეთ პატარა სახელმწიფოს, როგორიც სირიაა. დასავლეთს არ სურს ჩვენი „არას“ გაგონება იმ საკითხებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს. **ზოგჯერ ცდილობდნენ ჩვენზე ზემოქმედებას, რათა უარი გვეთქვა ისრაელის მიერ ოკუპირებული სირიის ტერიტორიებზე. ითხოვენ, უარი ვთქვათ პალესტინასა და ლიბანში წინააღმდეგობის მოძრაობების მხარდაჭერაზე. კრიზისამდე ზემოქმედებდნენ, რომ დავშორებოდით ირანს ან პირიქით — სურდათ, ჩვენი ურთიერთობა თეირანთან ბირთვული დოსიეს კონტექსტში გამოეყენებინათ, რათა დაგვერწმუნებინა ირანი, თავისი ინტერესების წინააღმდეგ წასულიყო.** და ჩვენ უარი ვთქვით.

დასავლეთის მოთხოვნა მიმართული იყო სირიის სახელმწიფოს დამორჩილებასა და რეგიონში დასავლურ პროექტებში ჩართვისკენ, რომ დავთანხმებოდით, გავხდებოდით კარგი, ზომიერი და დემოკრატიული სახელმწიფო. **დღეს დასავლეთი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყანა არადემოკრატულია; ამასთანავე, კარგი ურთიერთობა აქვს საუდის არაბეთთან, რომელსაც საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან. იქ არ არის არჩევნები, ქალები უუფლებონი არიან და ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც ყველამ იცის. აი, ამაში მდგომარეობს დასავლური თვალთმაქცობა.**

**— დღეს რას ითხოვს დასავლეთი სირიისგან, რა პირობებს გიყენებთ?**

**— სურთ, რომ მარიონეტებად ვიქცეთ. როდესაც ვამბობ დასავლეთს, მხედველობაში, უწინარესად, მაქვს აშშ, საფრანგეთი, ბრიტანეთი.** ამ ქვეყნებს არ სურთ ვითარების პოლიტიკური მეთოდებით რეგულირება. მათთვის პოლიტიკური მეთოდებით რეგულირება სახელმწიფოს ნგრევასა და რეჟიმის შეცვლაში მდგომარეობს, როგორც ეს მოხდა უკრაინაში. ხოლო, თუ ხელისუფლების სათავეში დარჩება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, იტყვიან, რომ ის დიქტატორია და თავის ხალხს ხოცავს, მათ ყველგან სურთ ომის გაჩაღება და ხელისუფლების შეცვლა.

**— აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ცოტა ხნის წინათ ტელეარხ „სი-ენ-ენს“ განუცხადა, რომ მზად არის სირიის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად, თუმცა შემდეგ ეს სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყო. რა ვითარებაა სინამდვილეში? აშშ რამე წინადადებით თუ გამოვიდა სირიის მიმართ?**

— მსოფლიო მიეჩვია, რომ ამერიკის ოფიციალური პირები დღეს ერთს ლაპარაკობენ, ხვალ — მეორეს. სხვაგვარადაც ხდება ხოლმე. ერთი მაღალჩინოსანი რაღაცას ამბობს, მეორე — უარყოფს. ეს ასახავს იმ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობს აშშ-ის ადმინისტრაციის შიგნით და ამერიკის პოლიტიკურ ველზე მოქმედ ლობებს შორის.

სირიისა და უკრაინის გარშემო ძირითადი ბრძოლა გაჩაღდა ორ ბანაკს შორის. პირველ ბანაკს სურს ომი, პირდაპირი სამხედრო ჩარევა სირიისა და ერაყის საქმეებში, უკრაინაში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა (შეიძლება, ნატოს ძალებისაც), იარაღის მიწოდება.

მეორე ბანაკი გამოდის ჩარევის წინააღმდეგ, რადგან წარსულში წარმოებული ომების გაკვეთილებს ითვალისწინებს. **ვიეტნამით დაწყებული, ერაყით დამთავრებული, აშშ-ს არც ერთი ომი წარმატებით არ დაუსრულებია. ერთადერთი, რაშიც მათ წარმატებას მიაღწიეს, არის ნგრევა. მარცხდებოდნენ და მიდიოდნენ დანგრეული ქვეყნიდან.**

მიუხედავად ზემოხსენებული განცხადებისა (ჯონ კერის — რედ.), ვერ ვხედავთ რეალურ ცვლილებებს ამერიკის პოზიციებში. ჩვენ ვხედავთ, რომ რადიკალთა ბანაკი ძველებურად განსაზღვრავს აშშ-ის პოლიტიკას მსოფლიოში. სირიის მიმართ კი აშშ-ის პოლიტიკა უცვლელია. ჩვენსა და ამერიკელებს შორის არ არის დიალოგი. ამჟამად **ამერიკელებს სურთ, დაანგრიონ სირიის სახელმწიფო და მარიონეტად აქციონ.**

რაც შეეხება „ისლამურ სახელმწიფოს“ დასავლეთი ამ ტერორისტულ სტრუქტურას სხვა ქვეყნების დასაშანტაჟებლად იყენებს.

**www.TASS.ru**

ახალი წიგნი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აზერ-ილმეში“ დასაქმებული არიან პროფესიონალი მხატვრები, რომლებსაც ღრმად აქვთ შესწავლილი ხალხური რეწვის საიდუმლოება, ქმნიან მომავალი ხალიჩების ნახატებს, წყვეტენ კოლორიტის საკითხებს, აზუსტებენ ფერთა გამას, ელფერს და ა. შ. კომპანიაში თანამედროვე თუ კლასიკური ხალიჩების 1000-მდე ნახატია მომზადებული.**

# «აზერ-ილმეს» აზერბაიჯანული ხალიჩების გასაოცარი სამყარო

**ხალიჩების ქსოვის აზერბაიჯანულ ხელოვნებას საუკუნეების წიაღში აქვს ფესვები გადგმული — აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიის, მისი განუმეორებელი კულტურისა და ეროვნული იდენტურობის ამსახველია.**

ხალიჩების ქსოვის ხელოვნება გამორჩეულია თავისი უნიკალურობითა და მრავალფეროვნებით. ცნობილია ბაქოს, ყაზახ-ბორჩალოს, ირევნის, ნახიჩევანის, ყარაბაღის, განჯის, გუბინის, თავრიზის, შირვანის ჯგუფების ხალიჩები, თითოეული მათგანი განუმეორებელია ნახატით, ორნამენტებითა და ნაირფეროვნებით.

ხალიჩების ქსოვის ხელოვნების აღორძინებას იმთავითვე ყურადღება მიაქცია საერთო ეროვნულმა ლიდერმა **ჰეიდარ ალიევმა.** მისი პოლიტიკა განაგრძო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ილხამ ალიევმა**, რომლის ძალისხმევითაც შეიქმნა ხალიჩების ქსოვის საკანონმდებლო ბაზა, ამოქმედდა კანონი „აზერბაიჯანული ხალიჩების ხელოვნების დაცვისა და განვითარების შესახებ“.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანული კულტურის საერთოდ და, კერძოდ, ხალიჩების ქსოვის ხელოვნების მსოფლიოში პროპაგანდის საქმეს მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტმა, YUNESKO-სა და ISESKO-ს კეთილი ნების ელჩმა **მეჰრიბან ალიევამ.** 2010 წლის 16 ნოემბერს აზერბაიჯანული ხალიჩები შეიტანეს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იუნესკოს სიაში.

ხალიჩების ქსოვის აღდგენა-განვითარების საქმეში დღეს აქტიურად მოღვაწეობს კომპანია „აზერ-ილმე“, რომელმაც დაიკისრა დასავიწყებლად განწირული ხალიჩების ორნამენტებისა და ხალიჩების ქსოვის ეროვნული ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნების კეთილშობილური მისია. სწორედ ამ კომპანიამ გახსნა სახელოსნოები ხალიჩების ქსოვის ისეთ ისტორიულ პუნქტებში, როგორებიც არის აბშერონი, ყარაბაღი, ყაზახი, გუბა, განჯა, ლერიკი, შირვანი, შეკი. დღეს „აზერ-ილმეს“ კოლექტივი 700-ზე მეტ მუშაკს ითვლის, რომელთა შორის არიან ხალიჩაზე მხატვრები, ხალიჩების მქსოველი ოსტატები, რესტავრატორები და მღებავები, ხალიჩების ქსოვის პროფესიონალი მასწავლებლები.

ამ კომპანიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის საკითხებში ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, კავკასიაში ხალიჩების ქსოვის ისტორიის მკვლევარი, ჟურნალ „აზერბაიჯანული ხალიჩების“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ვიდადი მურადოვი.** მის მეცნიერულ კვლევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანის ისტორიული ირევნის რაიონის კულტურისა და იდენტურობის აღდგენის საქმეში.

ამჟამად „აზერ-ილმე“ ხელმძღვანელის ძალისხმევით კომპანიაში ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სწორედ ამ ცენტრის მიერ განხორციელებული ფუნდამენტური კვლევითი საქმიანობის შედეგად გახდა შესაძლებელი ხალიჩების ქსოვის ისტორიული ელემენტების აღდგენა და მათი მისადაგება აზერბაიჯანის ამა თუ იმ რეგიონის კულტურულ ტრადიციებთან. „აზერ-ილმეს“ დამსახურებით სრულად შეივსო მეცნიერებასა და ხელოვნებაში აქამდე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი. სწორედ ამ კვლევის შედეგებს ეფუძნება ხალიჩების ქსოვის აქ დამკვიდრებული პრაქტიკა.

საინტერესოა, რომ კომპანიის სამღებრო საამქროში ხალიჩების ქსოვისას 7 ძირითადი ფერისთვის (წითელი, მწვანე, ყვითელი, ცისფერი, მუქი ლურჯი, შავი, თეთრი) იყენებენ სამღებრო საქმეში ისტორიულად დამკვიდრებულ მცენარეულ საღებავებს, რომლებიც მიიღება ისეთი მცენარეებისგან, როგორიცაა უდაბნოს კანაფი, კაკლის ხის, მუხის, თუთის, კომშის, წაბლის და სხვათა ფოთლებს, მერქანს, ნაყოფს.

ფერთა მდგრადობისა და ინტენსივობის გასაძლიერებლად საღებავებს ამატებენ მარილს, შაბს და სხვა შესაფერის ნივთიერებებს.

გაფორმება ხალიჩების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. **„აზერ-ილმეში“ დასაქმებული არიან პროფესიონალი მხატვრები, რომლებსაც ღრმად აქვთ შესწავლილი ხალხური რეწვის საიდუმლოება, ქმნიან მომავალი ხალიჩების ნახატებს, წყვეტენ კოლორიტის საკითხებს, აზუსტებენ ფერთა გამას, ელფერს და ა.შ. კომპანიაში თანამედროვე თუ კლასიკური ხალიჩების 1000-მდე ნახატია მომზადებული.** ეს ნამუშევრები იქმნება ხალიჩების ცალკეული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, იქსოვება ისეთი ნიმუშებიც, რომლებშიც შერწყმულია ორი და მეტი ჯგუფის ორნამენტები. ასე ცოცხლდება აზერბაიჯანელი ხალხის ის ხელოვნება, რომელიც ერთ დროს დავიწყების პირას იყო მისული.

**„აზერ-ილმეში“ სპეციალური დაკვეთით მაღალხარისხიან პორტრეტ-ხალიჩებსაც ამზადებენ. სპეციალურ დაზგებზე აბრეშუმისგან და მატყლის ნართისგან მოკლე დროში ქსოვენ სხვადასხვა ზომის (1 კვადრატული მეტრიდან 4 კვადრატულ მეტრამდე) ხალიჩებს. აქვე ხდება სხვადასხვა მიზეზით დაზიანებული ხალიჩების რესტავრაცია.**

## წიგნი «ყაზახ-ბორჩალოს რაიონის ნოხების მქსოველები»



ვიდადი მურადოვი „აზერ-ილმეს“ დამფუძნებელი




აზერბაიჯანის ხალიჩების ქსოვის ცენტრებში პროფესორ ვიდადი მურადოვის ხელმძღვანელობით ჩატარებული საექსპედიციო კვლევებისა და „აზერ-ილმეს“ კომპლექსურ ძიებათა მასალები საფუძვლად დაედო წიგნებს, რომლებიც გამოიცა აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. 2008 წელს მზის სინათლე იხილა გამოცემამ „აზერბაიჯანული ხალიჩები“, 2010 წელს დაისტამბა „აზერბაიჯანული ხალიჩები. ყარაბაღის ჯგუფი“. შემდეგი გამოცემების ქრონოლოგია ასეთია: 2011 წელი — რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, არაბულ ენებზე — „აზერბაიჯანული ხალიჩები. ირევანის ჯგუფი“, „აზერბაიჯანული ხალიჩები. ყარაბაღის ჯგუფი“, „აზერბაიჯანული ხალიჩები. თავრიზის ჯგუფი“, „აზერბაიჯანული ხალიჩები. შირვანის ჯგუფი“; 2012 წელი — „აზერბაიჯანული ხალიჩები. ნახიჩევანის ჯგუფი“, „აზერბაიჯანული ხალიჩები. გუბის ჯგუფი“, „აზერბაიჯანული ხალიჩები. ბაქოს ჯგუფი“, „აზერბაიჯანული ხალიჩები. განჯის ჯგუფი“, „აზერბაიჯანული ხალიჩები. ყაზახ-ბორჩალოს ჯგუფი“. 2013 წელს — „აზერბაიჯანული ხალიჩების ხელოვნება“ და „აზერბაიჯანული ხალიჩები. თავრიზის ჯგუფი“ (გერმანულ, იტალიურ, თურქულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ენებსა და ივრითზე); 2014-2015 წლებში — ბროშურა „ირევანის ხალიჩები“ და მონოგრაფია „აზერბაიჯანის ირევანის რეგიონი: ისტორია და ხალიჩები“ (რუსულ და ინგლისურ ენებზე). ყველა ეს წიგნი მსოფლიოს მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში გაიგზავნა.

„აზერ-ილების“ კომპანია ადგილობრივ და მსოფლიო ტელეარხებზე სისტემატურად გამოდის სამეცნიერო-პოპულარული გადაცემებით, ტელეფილმებით, რომელთა საერთო სათაურია „აზერბაიჯანული ხალიჩები და მათი ყველა სკოლა“.



წიგნი-კატალოგი „ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ხალიჩების მქსოველები“ წარმოგვიდგენს საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურული თანაარსებობის სახიერ მაგალითს. ეს გამოცემა მომზადდა სამეცნიერო-კვლევითი ფუნდამენტური პროექტის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა პროფესორ ვიდადი მურადოვის ხელმძღვანელობით. დაიბეჭდა აზერბაიჯანულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე და აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია როგორც სასწავლო სახელმძღვანელო.

შესავალ წერილში სამეცნიერო რედაქტორი აკადემიკოსი **თემურ ბუდიანოვი** მაღალ შეფასებას აძლევს გამოჩენილი ისტორიკოსის **ქერემ მამედოვის** ამ ნაშრომს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სარედაქციო საბჭოს წევრები არიან როგორც აზერბაიჯანელი, ასევე ქართველი ეთნოგრაფები და ხელოვნებათმცოდნეები.

**წიგნში სრულყოფილად არის ასახული ხალიჩების ქსოვასთან, ხალიჩებით ვაჭრობასთან, მღებავ ოსტატებთან დაკავშირებული მასალები, რომლებიც მოპოვებულია აზერბაიჯანის ისეთ რაიონებში, როგორებიცაა ალსტაფა, ყაზახი, თოვუზი, აგრეთვე, აზერბაიჯანელებით დასახლებულ საქართველოს რაიონებში — ბოლნისში, დმანისში, თეთრწყაროში, მარნეულში. საინტერესოდაა მოთხრობილი ექსპედიციების კვლევების, ცალკეული რაიონების ისტორიული წარსულის შესახებ და ა.შ. გამოცემას ამდიდრებს ფოტოილუსტრაციები, რომლებიც დაცულია „აზერ-ილმეს“ კოლექციებში.**

წიგნი-კატალოგი „ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ხალიჩების მქსოველები“ განკუთვნილია როგორც ისტორიკოსებისთვის, ეთნოგრაფებისა და ხელოვნებათმცოდნეებისთვის, ასევე სტუდენტებისა მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის.

დროსთან ერთად იცვლებიან ადამიანები, იცვლება მათი გემოვნებაც. მაგრამ არის ისეთი ღირებულებები, რომლებსაც დროთა სვლა ვერაფერს აკლებს. ისინი ყოველთვის და ყველგან ინარჩუნებენ თავიანთ აქტუალობას. ხალიჩა ერთ-ერთია ამ მუდმივ ღირებულებათა შორის. მას ძალუძს ეპოქის მაჯისცემის აღქმა, მუდმივად ცვალებადი მოდისთვის ფეხის აწყობა და საკუთარი სილამაზისა და პირველყოფილი სიფაქიზის შენარჩუნება.

„აზერ-ილმე“, რომელიც ყოველდღიურად აფართოებს თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს აზერბაიჯანული ხალიჩის განუმეორებელი სილამაზისა და უძველესი ისტორიის დაცვის საქმეში, სრულად ისიგრძეგანებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ხალხის, სახელმწიფოს ნდობის გამართლება, ეროვნული, სულიერი, ზნეობრივი პრინციპების ერთგულება არის მთავარი პრინციპები, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში. კომპანია ამ პრინციპებზე დაყრდნობით კვლავაც იცხოვრებს და შემოქმედებითად იშრომებს აზერბაიჯანის განვითარების საშვილიშვილო საქმის კვალში ჩამდგარი.

**ბექა დათუაშვილი**

„იმ უტვინო პოლიტიკით, რომელსაც დღეს ჩვენი ხელისუფლება ატარებს, შეიძლება ისეთი პრობლემები შეგვექმნას, რომლებსაც, დიდი ალბათობით, საქართველო ვერ გაუმკლავდება. კატეგორიულად მიუღებელია, რასაც ახლა ვუყურებთ. საქართველოში მიმდინარე მოვლენების სცენარი ვაშინგტონში იწერება, რომელმაც მძიმე რეალობის წინაშე შეიძლება დაგვაყენოს“.

დისკუსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «გლობალური კვლევების ცენტრმა» საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე კონფერენცია გამართა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ 3 აპრილს სასტუმრო Radisson Blu Iveria-ში საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე კონფერენცია გამართა. ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიციის მქონე ექსპერტებმა, პოლიტოლოგებმა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ქვეყნის წინაშე არსებულ საგარეო-პოლიტიკურ გამოწვევებზე ისაუბრეს. კონფერენციაზე ერთგვარი საექსპერტო დასკვნის შექმნის იდეაც გაჩნდა, რომელიც ხელისუფლებას დაანახვებს, რა გზით უნდა წავიდეს ქვეყანა, რათა მის წინაშე არსებული გამოწვევები და საფრთხეები დაძლიოს.**



**ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

— ჩვენი ამოცანა და მიზანი იყო, ერთ მაგიდასთან სწორედ სხვადასხვა მოსაზრების მქონე ექსპერტები დამსხდარიყვნენ და საგარეო საკითხებზე თავიანთი თვალსაზრისი გამოეხატათ. ვინაიდან რაღაც საერთო აზრისა თუ პრობლემების გამოსაკვეთად სწორედ ასეთ შეხვედრებსა და ჯანსაღ დისკუსიას აქვს დიდი მნიშვნელობა. საქართველოში არიან ექსპერტები, რომლებიც ყველგან აღნიშნავენ, რომ ნატოსა თუ ევროკავშირში საქართველოს შესვლის მომხრეები არიან, მაგრამ ასეთ დისკუსიაზე რატომღაც არ მოდიან, თუმცა დღეს ასეთი დისკუსია მაინც გაიმართა — კონფერენციას განსხვავებული პოზიციის მქონე ექსპერტები ესწრებოდნენ.



ექსპერტმა **სოსო ცინცაძემ** საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხზე — ქვეყნის საზღვრების პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით, საქართველოს დღეს ზევრი წინააღმდეგობა აქვს გადასალახავი:

— საქართველოს ამოცანა მეზობელ ქვეყნებთან სასაზღვრო დავების გადაწყვეტა უნდა იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რა პრინციპებს, ღირებულებებსა და ფასეულობებს ემყარება დღეს ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი. საქართველო, ალბათ, მსოფლიოში იმ რამდენიმე ქვეყანას შორისაა, რომლებსაც თავიანთ არც ერთ მეზობელთან საზღვარი არ აქვს დადგენილი. **ჩვენ სადავო ტერიტორიები გვაქვს აზერბაიჯანთან, რუსეთთან, სომხეთთან და თურქეთთან. საქართველოს ყველა მეზობელთან სადავო ტერიტორია აქვს, თუმცა, მოლაპარაკება არც ერთ მათგანთან არ მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ არის დღეს გამორიცხული საქართველოს ნატოში გაწევრება. ნატოს ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის თანახმად, მეზობელ ქვეყნებთან სასაზღვრო დავა არ უნდა გქონდეს.**

ჩვენ უტოპიურ, აბსტრაქტულ პრინციპს ვანაცვალეთ რეალობა, მაგრამ ამ პრინციპითაა აგებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში წარმატებული არასდროს ყოფილა. **ქართული დიპლომატიისთვის რუსული ვექტორი არ არსებობს. როდესაც ქვეყანა თავის უდიდეს მეზობელს, დიპლომატიური მოღვაწეობის არეალიდან საერთოდ გამორიცხავს, ეს არ არის დიპლომატია, ეს კატასტროფისკენ მიმავალი გზაა.**



**ნინო ბურჯანაძე: „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

— ნებისმიერი ასეთი დისკუსია სწორი გზის გამოჩენასა და ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. ისიც ფაქტია, რომ ქვეყანას დღეს, როგორც არასდროს, საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე ჯანსაღი დისკუსია ძალიან სჭირდება.

ნებისმიერი გადაწყვეტილება, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თვითონ უნდა მივიღოთ. ეს კი მხოლოდ რეალური პოლიტიკის გატარების შემთხვევაშია შესაძლებელი. **იმ უტვინო პოლიტიკით, რომელსაც დღეს ჩვენი ხელისუფლება ატარებს, შეიძლება ისეთი პრობლემები შეგვექმნას, რომლებსაც, დიდი ალბათობით, საქართველო ვერ გაუმკლავდება. კატეგორიულად მიუღებელია, რასაც ახლა ვუყურებთ. საქართველოში მიმდინარე მოვლენების სცენარი ვაშინგტონში იწერება, რამაც მძიმე რეალობის წინაშე შეიძლება დაგვაყენოს.**



**მამუკა არეშიძე,** ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

— დღეს ამ კონფერენციას ხელისუფლების წარმომადგენლები რომ დასწრებოდნენ, გარკვეულ შეკითხვებს დავუსვამდი, ვინაიდან ბევრი რამ გაუგებარია. მაგალითად, **რა პრიორიტეტები გვაქვს და რისკენ მიისწრაფვის ქვეყანა? რატომ არის მიტოვებული არაბული მიმართულება, ან რატომ არის კითხვის ნიშნები ირანის მიმართულებით?!** ძალიან ორჭოფული ვითარებაა სხვა ზოგიერთი მეზობლის მიმართაც. ჩვენთან დღეს პრიორიტეტული ეკონომიკური პროექტებია, ხოლო გეოპოლიტიკურ მიმართულებას მინიმალური ყურადღება ეთმობა. განსაკუთრებით მაფიქრებს ის ცვლილებები, რომლებიც 1 აპრილს ჟენევაში გაფორმებულ ხელშეკრულებას მოჰყვება. მართალია, ეს ცვლილებები არ იქნება მყისიერი, მაგრამ ვერ ვხედავ, რომ ჩვენ მზად ვართ ამისთვის, ვინაიდან, თუ ეს ხელშეკრულება ამუშავდა, რეგიონში ძალიან ბევრი რამ შეიცვლება.



**პეტრე მამრაძე, „მართვის სტრატეგიული ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

— მინდა, შეგახსენოთ, რომ 1992 წლის შემოდგომაზე დასავლეთის ლიდერებმა კატეგორიულად გააფრთხილეს შევარდნაძე, რუსეთთან ურთიერთობა ნებისმიერი კომპრომისის ფასად მოეგვარებინა. **ერთ-ერთი ადამიანი, რომელმაც ეს პარლამენტში გააჟღერა, ჯონ მახლაზ შალიკაშვილის ძმა — ოთარ შალიკაშვილი იყო. მან პირდაპირ თქვა, რომ დაიკარგებოდა აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ და დასავლეთი აღარ დაგვეხმარებოდა, ხოლო საქართველო, როგორც სახელმწიფო, გაქრებოდა**. ასე რომ, **დსთ-ს წევრები ამერიკელებისა და ევროპის დაჟინებული რჩევით გავხდით. ისინი პირდაპირ გვეუბნებოდნენ, თუ არ შეხვალთ დსთ-ში, არ დაგეხმარებითო და დღეს რომ საუბრობენ პრორუსულობასა და პროდასავლურობაზე, გამოდის, დასავლეთის ყველა ლიდერი პრორუსული ყოფილა.**

ელემენტარული ჭეშმარიტებაა — თუ პატარა სახელმწიფო არ იღებს იმ რეალობას, რომელიც მასზე დამოკიდებული არ არის, რომლის შეცვლაც არ შეუძლია, მაშინ ის ქრება.



**თამარ კიკნაძე, პროფესორი:**

— როგორც წესი, ის ადამიანები, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირის წევრობაზე საუბრობენ, არგუმენტების გარეშე და მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით გვთავაზობენ ამ კურსს. თუმცა მეჩვენება, რომ **ნატოს თემა სპეციალურად შემოგდებული პოლიტტექნოლოგია იყო, რათა საქართველო განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო.** გაიხსენეთ, სააკაშვილი გამუდმებით ამბობდა, რომ რუსეთთან არ შეიძლება ლაპარაკი, რომ ჩვენი გზა ნატოა და ამით კარტ-ბლანშს აძლევდა რუსეთს, ჩვენი მიწების ანექსია განეხორციელებინა, ამიტომ ჩემთვის მთავარი, რიტორიკა კი არა, შედეგია; ხოლო ის საგარეო-პოლიტიკური რიტორიკა რომელსაც დღეს ვხედავთ, კრიტიკას ვერ უძლებს.



**გიორგი მდივანი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ დამფუძნებელი:**

— საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი რეალური რეფერენდუმი ან პლებისციტი, მოსახლეობას ნატოს შესახებ თავისი აზრი რომ გამოეხატა. ბოლო პლებისციტი, როგორც გვახსოვს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს მიმდინარეობდა და, არჩევნების შედეგების მსგავსად, დიდი ალბათობით, პლებისციტირის შედეგებიც გაყალბებული იყო.

ამას გარდა, **მოსახლეობა ნატოს შესახებ ინფორმირებული არ არის. ნატოს უამრავი ცენტრია საქართველოში გახსნილი, მაგრამ იქ ვერ მოიძიებთ ინფორმაციას, როგორ მოქმედებდნენ ნატოს დაჯგუფებები გასული საუკუნის 70-80-იან წლებში და რა ტერორისტულ აქტებს ახორციელებდნენ ისინი. ამაზე ბევრი დაიწერა იმავე დასავლელი ჟურნალისტების მიერ, მაგრამ საქართველოში ამ თემაზე დღეს არც ერთი ექსპერტი და ჟურნალისტი არ საუბრობს, ეს საკითხი ტაბუდადებულია.**

ჩემი აზრით, საქართველოს სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა ფინეთიზაციისა. არც ფინეთსა და საბჭოთა კავშირს არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა და ტერიტორიული დავაც ჰქონდათ, მაგრამ ფინელებს ეყოთ გამბედაობა და პოლიტიკური პრაგმატიზმი, მიეღოთ სპეციალური კანონი, რომელიც საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულ ინტერესებს უსვამდა ხაზს და ფინეთის ინტეგრაციას ნატოსა თუ სხვა სამხედრო კავშირებში გამორიცხავდა. ამან შედეგი გამოიღო და დღეს ფინეთი ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანაა. ფინეთის ტაქტიკა სამაგალითოა გეოპოლიტიკის ისტორიაში, თუმცა ამაზე საქართველოში არავინ საუბრობს.



**ირაკლი უბილავა, პოლიტოლოგი:**

— რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე როდესაც ვსაუბრობთ და ვიხსნებთ, როგორ გვანადგურებდა რუსეთი, ვფიქრობ, 21-ე საუკუნეში დღევანდელი გადმოსახედიდან მე-19 საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი სასაცილოა. ზოგიერთმა კონფერენციაზე რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე ისაუბრა. გასაგებია, რომ პოლიტიკა აგრესიისა და დაპირისპირების გარეშე არ არსებობს. მით უმეტეს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, თუ ამერიკა და რუსეთი მოწინააღმდეგეები არიან და ჩვენ აშშ-ის მოკავშირეები ვხდებით, რუსეთი ვალდებული იქნება, საქართველო მტერ სახელმწიფოდ ჩათვალოს, მით უფრო, როდესაც მისი სტრატეგიული მოწინააღმდეგე შემოგვყავს რეგიონში! რუსეთი იცავს თავის ეროვნულ ინტერესებსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ამიტომ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები და საფრთხეები უნდა გავითვალისწინოთ.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

მოკლედ

## «კაზანტიპის» დამფუძნებელმა პროექტის დახურვის შესახებ განაცხადა

**„მოდით, შევთანხმდეთ, რომ ბოლო ხანს ფესტივალი უკვე ის აღარ იყო, რაც ადრე. „კაზანტიპი“ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა საზოგადოებისათვის... შეიძლება გაზეთები ცდებოდნენ?! მართლმადიდებელი ეკლესიის ყოვლისმხედველი თვალი ჩვენში სატანის მიმდევრებს ხედავს. კამასუტრის სპეციალისტებმა კი ჩვენში არნახული გარყვნილების საფრთხე დაინახეს. საზოგადოება ჩვენს ქმედებაში უკვე გლობალურ ტერორისტულ აქტივიზმს ხედავს“, – წერს სოციალურ ქსელში „კაზანტიპის“ დამფუძნებელი ნიკიტა მარშუნოკი და დასძენს, რომ „დღეს ამ პროექტის სიკვდილისათვის კარგი დღეა“.** ბოლო „კაზანტიპი“ საქართველოში 2014 წელს ჩატარდა. ორგანიზატორებმა აღიარეს, რომ ზარალი ნახეს, რადგან ფასები მაღალი იყო, ხოლო ტურისტების რაოდენობა — არასაკმარისი.



უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გერმანიიდან სოხუმში ეშელონებით ჩაიტანეს სამი ციკლოტრონი, მძლავრი მაგნიტები, ელექტრონული მიკროსკოპები, ოსცილოგრაფები, მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორები, უზუსტესი ხელსაწყოები. გერმანელი მეცნიერების ჩამოყვანა და ატომური ბომბის დასამზადებელი მოწყობილობების ჩამოტანა კი სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამსახურება იყო, რომელსაც ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა.**

# ქართველთა როლი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაში

## ვინ ჩაიყვანა გერმანელი მეცნიერები სოხუმში



**ადამიანებმა ატომური ბომბის შექმნაზე ფიქრი დაიწყეს მას შემდეგ, რაც ფრანგმა ფიზიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ანტუან ბეკერელმა (1852-1908), რადიოაქტიურობა აღმოაჩინა. შემდეგ იყო კიურის, ფრიშისა და მეიტნერის ცდები, რომელთა მიმდინარეობისას გაირკვა, რომ ურანის ბირთვზე ნეიტრონების ზემოქმედებით იწყება ურანის დაშლის ჯაჭვური რეაქცია. 1919 წელს მეცნიერებმა — გერმანელმა ლინდემანმა და ბრიტანელმა ასტონმა — პირველად წამოაყენეს წინადადება იზოტოპების დასაშლელად ცენტრიფუგის გამოყენების შესახებ. მეცნიერებმა ცენტრიფუგით პირველად 1936 წელს გამოაცალკავეს ურანის იზოტოპები, მაგრამ ეს ტექნოლოგია ძალიან რთული იყო, მოწყობილობები კი — უზარმაზარი, ამიტომ აირდიფუზიური დაშლის ტექნოლოგია ამჯობინეს. თავდაპირველად, 100 გრ გამდიდრებული ურანის მისაღებად საჭირო იყო 2000 უზარმაზარი მოწყობილობა, ამიტომ დაიწყეს ქარხნების მშენებლობა, რომლებსაც იმდენი ენერგია სჭირდებოდა, რომ მათ გვერდით ელექტროსადგურებს აგებდნენ.**



**1945 წლის 23 ივლისს პოტსდამის კონფერენციის მიმდინარეობისას აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა სტალინს ნართაულად უთხრა, რომ აშშ-მა ატომური ბომბი შექმნა. ტრუმენი იმედოვნებდა, რომ იაპონიას მანამდე გაანადგურებდა, ვიდრე მას სსრკ ომს გამოუცხადებდა, სწორედ ტრუმენი იყო იმავე წლის აგვისტოში ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის ინიციატორი. ტრუმენმა, რომელსაც აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის შეფი, ადმირალი ჰოლენკოტერი არწმუნებდა, 1953 წლამდე სსრკ-ს ატომური ბომბი არ ექნებაო, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ სტალინს უკვე კარგა ხნის წინათ ჰქონდა დაწყებული მუშაობა ატომური ბომბის შექმნაზე**

გენიოსი ფიზიკოსების ატომური აღმოჩენების მატერიალიზებაში არა მხოლოდ კაცობრიობის უჭკვიანესი პიროვნებები მონაწილეობდნენ, არამედ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ასიათასობით ადამიანიც. ზოგი ატომური მუხტის აფეთქებისას დაიღუპა, ზოგი — პირველი ატომური დაბომბვისას (ჰიროსიმა და ნაგასაკი — 1945 წლის 6 და 9 აგვისტო), ზოგი — ელექტროსკამზე დასვეს ჯაშუშობისთვის, სხვები კი მასობრივი განადგურების იარაღის შექმნისთვის ორდენებით დააჯილდოვეს. ატომურ პროექტებთან დაკავშირებულია მსოფლიოს წამყვანი დაზვერვებიც. სსრკ-ის, აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის ატომური ქალაქები შუასაუკუნეების ციხესიმაგრეებს ჰგავდა. უსაფრთხოების სამსახურში კი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ატომური საიდუმლოებები უცხო ქვეყნის დაზვერვას ხელში არ ჩავარდნოდა...

**1945 წლის 23 ივლისს პოტსდამის კონფერენციის მიმდინარეობისას აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა სტალინს ნართაულად უთხრა, რომ აშშ-მა ატომური ბომბი შექმნა. ტრუმენი იმედოვნებდა, რომ იაპონიას მანამდე გაანადგურებდა, ვიდრე მას სსრკ ომს გამოუცხადებდა, სწორედ ტრუმენი იყო იმავე წლის აგვისტოში ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის ინიციატორი. ტრუმენმა, რომელსაც აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის შეფი, ადმირალი ჰოლენკოტერი არწმუნებდა, 1953 წლამდე სსრკ-ს ატომური ბომბი არ ექნებაო, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ სტალინს უკვე კარგა ხნის წინათ ჰქონდა დაწყებული მუშაობა ატომური ბომბის შექმნაზე.** 1949 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა პირველი ატომური ბომბი გამოსცადა.

**1941 წლის 10 მარტს ლავრენტი ბერიამ სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი რეზიდენტების ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა სტალინს:**

„რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ენერგიის ახალი წყაროების მიღების მიზნით ატომბირთვის დაშლის სამუშაოების მიმდინარეობისას დაიწყო საკითხის შესწავლა, როგორ გამოიყენონ ატომური ენერგია სამხედრო მიზნებისთვის.

1939 წელს საფრანგეთში, ინგლისში, აშშ-სა და გერმანიაში დაიწყო ინტენსიური სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები ასაფეთქებელ საშუალებად ურანის გამოსაყენებლად. ეს სამუშაოები მკაცრად არის გასაიდუმლოებული...

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ აგენტურული გზებით მოპოვებულ მასალებში ინგლისის ატომური ენერგიის ურანის კომიტეტის მოღვაწეობა ხასიათდება ასე:

**ა)** ინგლისის სამხედრო კაბინეტი, ითვალისწინებს რა გერმანიის მიერ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, დიდ ყურადღებას უთმობს ატომური ენერგიის გამოყენებას სამხედრო მიზნებისთვის;

**ბ)** სამხედრო კაბინეტის ურანის კომიტეტი, ცნობილი ფიზიკოსის დ. ტომპსონის ხელმძღვანელობით, კოორდინაციას უწევს იმ ინგლისელი მეცნიერების მუშაობას, რომლებიც დაკავებულნი არიან უდიდესი დამანგრეველი ძალის მქონე ურანის ბომბების დამზადებით;

**გ)** ეს ყველაფერი მიმართულია ურანის ერთ-ერთი იზოტოპის (ურან-235) გამოყენებისკენ;

**დ)** ფრანგმა მეცნიერებმა — ჰალბანმა და კოვარსკიმ, რომლებიც ინგლისში გადაბარგდნენ, ურან-235-ის იზოტოპის მძიმე წყლით გამოყოფის ახალი მეთოდი შეიმუშავეს.

პროფესორმა ტეილორმა გამოიანგარიშა, რომ 10 კგ ურან-235-ის დამანგრეველი მოქმედება ტოლი იქნება 1600 ტ ტრინიტროტოლუოლისა. ურანის ბომბის ყველაზე დიდი სირთულე არის ურან-235-ის აქტიური ნაწილის გამოყოფა, ბომბის გარსის დამზადება და მასების გადაადგილებისთვის აუცილებელი სიჩქარის მიღება.

კონცერნ „იმპერიალ ქემიკალ ინდასტრიეს“-ის მონაცემებით, ურან-235-ის იზოტოპების გამოსაყოფად საჭიროა 1900 აპარატი.

სსრკ-ისთვის ბირთვული ენერგიის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების აქტუალურობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია:

1) შემუშავდეს საკითხი სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან სამეცნიერო-სათათბირო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ყველა მეცნიერისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციის მუშაობას;

2) უზრუნველყოფა ურანის შესახებ შს სახალხო კომისარიატის მიერ მოპოვებული საიდუმლო მასალების გაცნობისა სპეციალისტებისთვის.

**ლ. ბერია“.**

**1942 წლის 28 სექტემბერს თავდაცვის სახელმწიფო კომისრის — იოსებ სტალინის №2352СС- ის განკარგულებით, საბჭოთა კავშირში დაიწყო პრაქტიკული სამუშაოები ატომური ბომბის დასამზადებლად.**

### გერმანელი ფიზიკოსები სოხუმში

ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობა პირველად გერმანიაში დაიწყეს. მას უწოდებდნენ „ურანის პროექტს“, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ **ვერნერ ჰაიზენბერგი, კარლ-ფრიდრიხ ფონ ვაიცზეკერი და კურტ დიბნერი.** ჰაიზენბერგი XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიზიკოსია; ფონ ვაიცზეკერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტის — რიჰარდ ფონ ვაიცზეკერის ძმა, აგრეთვე, დიდ ფიზიკოსად ითვლება. ომის შემდეგ ის მაქს პლანკის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

ზოგი ექსპერტის აზრით, გერმანელებმა ატომური ბომბი იმიტომ კი ვერ შექმნეს, რომ ფიზიკოსებმა დაუშვეს შეცდომები, არამედ იმიტომ, რომ პროექტის ხელმძღვანელები შეუმჩნევლად ეწეოდნენ საბოტაჟს. ეს ვერსია ნაკლებად სარწმუნოა, რადგან ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობას ფაშისტები მკაცრად აკონტროლებდნენ, თუმცა ცნობილია, რომ ომის დასაწყისში ჰაიზენბერგი კოპენჰაგენში შეხვდა თავის მასწავლებელ **ნილს ბორს** და შეეცადა, მიეღწია შეთანხმებისთვის, რომ ორივე მხარეს მომუშავე ფიზიკოსებს ატომური ბომბი არ დაემზადებინათ, მაგრამ ბორი მის წინადადებას უნდობლად მოეკიდა და შეთანხმება არ შედგა.

აშშ-მა ატომურ ბომბზე მუშაობა დაიწყო **ალბერტ აინშტაინის** ცნობილი წერილის შემდეგ, რომელიც მან აშშ-ის პრეზიდენტს გაუგზავნა 1940 წელს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც გერმანიაში აღმოსავლეთიდან — სსრკ-ის, ხოლო დასავლეთიდან — ბრიტანეთისა და აშშ-ის ჯარები შევიდნენ, დაიწყო ნადირობა გერმანელ სპეციალისტებზე. ამერიკელებმა გადაიბირეს **ფონ ბრაუნი,** რომელიც შემდეგ აშშ-ში სარაკეტო ტექნიკის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, ჰაიზენბერგი და ფონ ვაიცზეკერი. საბჭოთა არმიამ კი ხელში ჩაიგდო გერმანული რაკეტები „ფაუ-2“, აგრეთვე, გადაიბირა რამდენიმე ასეული მეცნიერი.

აკადემიკოსი **იგორ კურჩატოვი,** რომელიც ხელმძღვანელობდა საბჭოთა ატომური ბომბის შექმნას, აღნიშნავდა:

**„პირველი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა 50 პროცენტით საბჭოთა დაზვერვის დამსახურებაა, 50 პროცენტით — მეცნიერების“.** მასვე ეკუთვნის აღიარება: **„ბერია კურატორობდა ყველა სამუშაოსა და კვლევას, რომლებიც დაკავშირებული იყო ატომური იარაღის შექმნასთან. მან უზადო ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა... ბერია რომ არა, ატომური ბომბი არ იქნებოდა“.**

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე „ურანის პროექტზე“ მომუშავე ასობით გერმანელი მეცნიერი სსრკ-ში ჩამოიყვანეს, მათ გარდა, გამოამგზავრეს ინჟინრები, მექანიკოსები, ელექტროტექნიკოსები და სხვ. სულ, ზოგიერთი მონაცემით, სსრკ-ში ატომური ბომბის შესაქმნელად 7 ათასი გერმანელი სპეციალისტი იყო დაკავებული,** ▶

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე „ურანის პროექტზე“ მომუშავე ასობით გერმანელი მეცნიერი სსრკ-ში ჩამოიყვანეს, მათ გარდა, გამოამგზავრეს ინჟინრები, მექანიკოსები, ელექტროტექნიკოსები და სხვ. სულ, ზოგიერთი მონაცემით, სსრკ-ში ატომური ბომბის შესაქმნელად 7 ათასი გერმანელი სპეციალისტი იყო დაკავებული, მათგან 300 სოხუმში მუშაობდა.**

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







სანატორიუმი „აგუძერა“

**აკადემიკოსი იგორ კურჩატოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა საბჭოთა ატომური ბომბის შექმნას, აღნიშნავდა: «პირველი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა 50 პროცენტით საბჭოთა დაზვერვის დამსახურებაა, 50 პროცენტით — მეცნიერების». მასვე ეკუთვნის აღიარება: «ბერია კურატორობდა ყველა სამუშაოსა და კვლევას, რომლებიც დაკავშირებული იყო ატომური იარაღის შექმნასთან. მან უზადო ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა... ბერია რომ არა, ატომური ბომბი არ იქნებოდა»**

**ბირთვული (ატომური) იარაღი**

ეს არის ატომური საომარი მასალების მიზნამდე მიტანისა და მართვის საშუალებების ერთობლიობა. მას საფუძვლად უდევს მძიმე იზოტოპების, ძირითადად, ურანისა და პლუტონიუმის დაშლის ჯაჭვური რეაქცია. თერმობირთვულ იარაღში მონაცვლეობით მიმდინარეობს დაყოფისა და სინთეზის სტადიები (საფეხურები), რომელთა რაოდენობა განსაზღვრავს ბომბის საბოლოო სიმძლავრეს. გამოიყოფა გრანდიოზული რაოდენობის ენერგია და უამრავი გამანადგურებელი ფაქტორი. საშუალო სიმძლავრის ატომურ ბომბს შეუძლია, რამდენიმე წამში ფერფლად აქციოს ათეულ ათასობით ადამიანი და პირისაგან მიწისა აღგავოს საშუალო სიდიდის ქალაქი.


იგორ კურჩატოვი


მანფრედ ფონ არდენე


გუსტავ ჰერცი


მაქს შტეენბეკი

**◀ მათგან 300 სოხუმში მუშაობდა.**

1945 წელს გერმანელ ფიზიკოსებს გადაეცათ სანატორიუმები — „სინოპი“ და „აგუძერა“. ასე ჩაეყარა საფუძველი სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, რომელიც სსრკ-ის ზესაიდუმლო ობიექტების სიაში იყო შეყვანილი.

დოკუმენტებში **„სინოპს“ უწოდებდნენ ობიექტ „A“-ს.** მას ხელმძღვანელობდა **ბარონი მანფრედ ფონ არდენე** (1907-1997), მსოფლიოს მეცნიერებაში ლეგენდარული პიროვნება — ფიურერის საყვარელი ფიზიკოსი, ტელევიზიის ერთ-ერთი შექმნილი, ელექტრომიკროსკოპისა და სხვა ხელსაწყოების ავტორი. მას 1956 წელს უფლება მისცეს, დაბრუნებულიყო გერმანიაში, სადაც დააარსა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (დრეზდენში).

**სანატორიუმ „აგუძერას“ მიანიჭეს პირობითი სახელწოდება — ობიექტი „გ“,** მას ხელმძღვანელობდა ნობელის პრემიის ლაურეატი (1925 წ), რაკეტა „ფაუ-3“-ის შემქმნელი **გუსტავ ჰერცი** (1887-1975), სახელგანთქმული ფიზიკოსის — ჰენრიხ ჰერცის ძმისშვილი. წლების შემდეგ გუსტავ ჰერცი ისევე, როგორც ფონ არდენე, გერმანიაში დაბრუნდა.

ფონ არდენესა და გუსტავ ჰერცის მთავარი ამოცანა ურანის იზოტოპების განცალკევების სხვადასხვა მეთოდის შემუშავება იყო.

სოხუმში ჩაიყვანეს სხვა გამოჩენილი გერმანელი მეცნიერებიც, ფიზიკოსი და რადიოქიმიკოსი **ნიკოლაუს რილი** (1901-1991). მეცნიერმა, რომელიც ფაშისტურ გერმანიაში ურანის გამდიდრების ექსპერტად ითვლებოდა, საბჭოელ ემისრებს აჩვენა ადგილი, სადაც ინახებოდა ურანის გასამდიდრებელი მოწყობილობები, რომლებიც შემდეგ სსრკ-ში ჩამოიტანეს. იქიდანვე წამოიღეს 300 ტ ურანის შენაერთი;

**მაქს ფოლმერი** (1885-1965), ომამდე ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, მოგვიანებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ურანის იზოტოპების განცალკევების ცენტრიფუგის შემქმნელი **მაქს შტეენბეკი** — მომავალში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, მასთან ერთად სოხუმში მუშაობდა, ვენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მოგვიანებით აირის ცენტრიფუგის პირველი პატენტის (1958 წ.) მფლობელი **გერნოტ ციპე**; აგრეთვე, — მეცნიერები: **ვერნერ ცულიუსი; გიუნტერ ვირტი; კარლ ციმერი; რობერტ დოპელი; პეტერ ტისენი; ჰაინც პოზე და სხვ.**

გერმანიიდან სოხუმში ეშელონებით ჩაიტანეს სამი ციკლოტრონი, მძლავრი მაგნიტები, ელექტრონული მიკროსკოპები, ოსცილოგრაფები, მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორები, უზუსტესი ხელსაწყოები. გერმანელი მეცნიერების ჩამოყვანა და ატომური ბომბის დასამზადებელი მოწყობილობების ჩამოტანა კი სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამსახურება იყო, რომელსაც ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა.

გერმანელმა მეცნიერებმა დიდი როლი ითამაშეს მათთან ერთად მომუშავე ქართველი ფიზიკოსების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ამ ორი ზესაიდუმლო ობიექტის შერწყმის შედეგად, 1950 წელს შეიქმნა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, რომელსაც ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის დამაარსებლის, ილია ვეკუას, სახელი ეწოდა.

დასასრულ, 1942 წლის 29 აგვისტოს პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდას სემიპალატინსკში ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა.



**ატომური ცენტრიფუგა**




# როგორ არის მოწყობილი ცენტრიფუგა?

ცენტრიფუგა ელემენტარული მოწყობილობაა და ძველ სარეცხ მანქანას ჰგავს, რომელიც მუშაობს რეჟიმში: „გაწურვა-გაშრობა“. ჰერმეტულ კარკასში მოთავსებულია მბრუნავი როტორი. მას მიეწოდება აირი (UF6) ცენტრიდანული ძალით, რომელიც ასი ათასჯერ აღემატება დედამიწის მიზიდულობის ძალას. აირი იწყებს დაყოფას „მძიმე“ და „მსუბუქ“ ფრაქციებად. მსუბუქი და მძიმე მოლეკულები როტორის სხვადასხვა ზონაში ჯგუფდება, მაგრამ არა ცენტრში ან პერიმეტრზე, არამედ ზევით და ქვევით. როტორის თავსახურავი თბება და წარმოიქმნება აირის საწინააღმდეგო ნაკადი. ცილინდრის ზევით და ქვევით დამაგრებულია ორი მილაკი. ქვედა მილაკში გროვდება გაღარიბებული ნაერთი, ზევით — ნაერთი ურან-235-ის ატომების დიდი კონცენტრაციით. ეს ნაერთი გადადის კიდევ ერთ ცენტრიფუგაში და ა. შ., ვიდრე ურან-235-ის კონცენტრაცია საჭირო ნიშნულს არ მიაღწევს.

**ცენტრიფუგის ტექნიკური თავისებურებები**

პირველ რიგში, ეს არის ბრუნვის სიჩქარე. თანამედროვე ცენტრიფუგებში ბრუნვის სიჩქარე წამში 2000 ბრუნია. და ასე მუშაობს გაუჩერებლად დაახლოებით 30 წლის განმავლობაში. თვითონ როტორი კი წარმოადგენს ჩვეულებრივ ბზრიალას, ნემსივით წვერით, რომელიც კორუნდის სადგამს ეყრდნობა, ზედა ნაწილი კი ვაკუუმშია და ელექტრომაგნიტური ველი იჭერს.

ამჟამად რუსეთში 3 გამამდიდრებელი ქარხანაა, ცენტრიფუგა — ასიათასობით.

**ვინ გამოიგონა?**

ეს არის გამოცანა, რომელიც იდუმალების ბურუსშია გახვეული. ამ საქმეში მონაწილეობდნენ: ტყვე გერმანელი ფიზიკოსები; საბჭოთა კონტრდაზვერვითი ორგანიზაცია „სმერშის“ ოფიცრები შინაგან საქმეთა კომისრის ლავრენტი ბერიას მეთაურობით; აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და თვით ამერიკელი მფრინავი — ჯაშუში ფრენსის პაუერსი, რომლის თვითმფრინავი U-2 1960 წლის 1 მაისს ჩამოაგდეს სვერდლოვსკში საბჭოთა ატომური ობიექტის ფოტოგადაღებისას.

საბჭოთა კავშირში აირის ცენტრიფუგაზე მუშაობისთვის 1945 წელს სოხუმში დაარსდა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი-5, რომელშიც სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა მიერ დატყვევებული გერმანელი ფიზიკოსები საბჭოელ კოლეგებთან ერთად მუშაობდნენ. 1952 წელს გერმანელ მეცნიერთა ჯგუფი სოხუმიდან ლენინგრადში გადაიყვანეს. 1953 წელს კი სიმინდის მოყვარულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ჯგუფი დაშალა, რის შემდეგაც გერმანელი მეცნიერები სამშობლოში დაბრუნდნენ.

**ამჟამად**

ცოტა ხნის წინათ აშშ-ში დაიხურა რუსი დამკვირვებლების ოფისი, რომელიც რუსეთსა და აშშ-ს შორის გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე მუშაობდა. ეს გარიგება (მაღალგამდიდრებული ურანი — დაბალგამდიდრებული ურანი) რუსეთსა და აშშ-ს შორის უდიდესია ატომური ენერგეტიკის ფარგლებში. კონტრაქტის მიხედვით, რუსმა ფიზიკოსებმა 500 ტონა საიარაღო ურანი საწვავად აქციეს ამერიკული ატომური ელექტროსადგურებისთვის. ამ კონტრაქტიდან შემოსავალი კი მხოლოდ 1993-2009 წლებში 8,8 მილიარდი დოლარი იყო.

შესანიშნავი ცენტრიფუგების წყალობით ატომური დარგი ერთ-ერთია კოსმოსსა და სამხედრო ავიაციასთან ერთად, სადაც რუსეთი კვლავ ინარჩუნებს პირველობას. „როსატომს“ 2013 წლიდან წინასწარ აქვს მიღებული შეკვეთები 2022 წლამდე, რომელთა ღირებულებაც 69,3 მილიარდს შეადგენს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამ ტექსტში ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძის არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება, ის მხოლოდ შურისძიებით არის გაძეძგილი და მზადაა, გადმოანთხიოს გესლი და შხამი, თუ რამ ადამიანის ორგანიზმს შეუძლია გამოიმუშაოს და დააგროვოს სხვის დასაგესლად, ამის პოტენციალი ხომ ზოგიერთ ადამიანში განუსაზღვრელად დიდია. იმის დასამტკიცებლად, რომ მეცნიერი სისულელეს ამბობს, წარმოგიდგენთ მიუკერძოებელი მკვლევარის — ნინო მამარდაშვილის მიერ მოპოვებულ და გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც ეწინააღმდეგება „დიდი“ მეცნიერის მონაჩმახს.**

# სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

## წერილი მეშვიდე

ღრმად მოხუცებულ ექვთიმე თაყაიშვილს არათუ პედაგოგიური მუშაობა (იგი 90 წელს იყო მიღწეული), გადაადგილებაც უჭირდა, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ პროფესორად მუშაობა შეუჩერა და საათობრივ ანაზღაურებაზე გადაიყვანა, ეს იყო 1952 წლის აპრილში, თუმცა **ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თვიურ განაკვეთს (ხელფასს) — 3500 მანეთს უკლებლივ იღებდა გარდაცვალების დღემდე, თუ ამ 3500 მანეთს დავუმატებთ იმ თანხასაც, რომელიც მან უნივერსიტეტში მუშაობის 7 წლის განმავლობაში აიღო ხელფასის სახით — 404 850 მანეთს, ესე იგი, თვეში 5 000 მანეთს, ღვაწლმოსილ პროფესორსა და აკადემიკოსს გაჭირვებასა და სიღარიბეში არ უნდა ეცხოვრა, თუ, რა თქმა უნდა, თავისი ახლობლები და შინაურები ფარულად თუ ხილულად ფულს არ სძალავდნენ.**

**სრულიად გასაგებია, რა ბედნიერ დღესაა მოსწრებული საფრანგეთში ულუკმაპუროდ მიტოვებული მოხუცი, რომელსაც წელზე თურმე ძონძები ჰქონდა შემოხვეული შიშველი ტანის დასაფარავად, ხოლო თავი იმ თხის რძით გაჰქონდა, რომელიც ასე ამაყად არის წარმოდგენილი ლევილის მამულში ექვთიმე თაყაიშვილთან გადაღებულ ფოტოსურათში. მტკნარი სიცრუეა თვალსაზრისი, რომ ექვთიმე თაყაიშვილს, ერთი ნივთიც რომ გაეყიდა, საფრანგეთშიც შეეძლო ბედნიერად ეცხოვრა. ექვთიმეს იმ განძზე, რომელიც მართლაც ძვირად გაიყიდებოდა, ხელი არ მიუწვდებოდა, ხოლო მენშევიკურ მთავრობას რომელზედაც ხელი მიუწვდა, გაყიდა კიდეც. რაც არ გაიყიდა (მაკულატურა და ჯართი) დღესაც ლევილში მდებარე დანგრეული ორსართულიანი სახლის დერეფნებსა და ოთახებში ყრია, რომლებიც რამდენიმე ხნის წინათ თვითონ დავათვალიერე.**

საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრების ურთიერთმტრობა და სიძულვილი ამჩნევია დღესაც ლევილის მამულს, რომელიც ათეულობით ჰექტარ პირველხარისხოვან მიწას მოიცავდა. მენშევიკების მიერ ნაკუწ-ნაკუწ გაყიდული ლევილის მიწების უდიდესი ნაწილი ყვავის და ბაღნარად არის ქცეული, ხოლო საქართველოს კუთვნილი 5 ჰექტარი მიწა, რომელიც 4-მეტრიან ქვის გალავანშია მოქცეული, ერთხანს რომ ბრწყინავდა და აუზებში „ოქროს თევზები“ ლაპლაპებდნენ, მენშევიკების ხელში ნაგვის ბუდედ იქცა და დღესაც ასეა შემორჩენილი უახლეს ისტორიას, როგორც მისი პატრონი — უნიათო მენშევიკური მთავრობა.

კომუნისტების ეპოქაში ყველა წოდების, ღირსების, დიდებისა და ორდენის კავალერი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ქალბატონი **მარიამ ლორთქიფანიძე** თავის ავტორიტეტულ აზრს გამოთქვამს ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ:

„ერთხელ მითხრა სესილია თაყაიშვილმა: „როდესაც ნათესავებმა გავიგეთ, რომ ექვთიმეს მიესაჯა შინაური პატიმრობა, შევიკრიბეთ და გავინაწილეთ — ვის კვირის რომელ დღეს უნდა მიგვეტანა საჭმელი, აბა, მთლიანად შინსახკომის საჭმელზე ხომ არ გვეყოლებოდა?! ერთ მშვენიერ დღეს მე და დედაჩემი მივედით, დავრეკეთ ზარი, გამოვიდა უცხო მამაკაცი, გამოგვართვა სავსე ჩანთები და თხოვნაზე „შემიშვიო“, მიიკეტა კარი. ჩვენ ვიდექით და ველოდით, გამოვიდა, გამოგვიტანა ცარიელი ჩანთები და ქვაბები. დედამ სთხოვა, შემიშვით ერთ-ორ წინადადებას ვეტყვი, ვაკოცებ და გამოვალო. არ შეიძლებაო, — უპასუხეს, მაშინ დედამ უთხრა: არაფერს ვეტყვი, მარტო ვაკოცებო. „არც ეგ შეიძლებაო!“; მაშინ დედა ცუდად გახდა, აუვარდა ტირილი და ძლივს მივიყვანე სახლში“.

„გარდაცვალების დღეებში გამოვიდა ხმა, რომ ბ-ნი ექვთიმე უკვე ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი, საკაცით ღამით წაიყვანეს „ჩეკაში“ და იქ ხელითაც კი შეეხნენ. შევიდა ოთახში მინისტრი და მიხვდა რა, რომ ექვთიმეს სასიცოცხლო პირი აღარ ჰქონდა, თქვა, წაიყვანეთო. Mმას არ უნდოდა, რომ „ჩეკას“ შენობაში დაელია სული. აღარ მახსოვს როდის — ან მეორე, ან მესამე ღამეს, მაგრამ მე უფრო მეორე ღამე მახსოვს — ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა...“ („დიდი ექვთიმე“, 2014 წელი. გვ. 666).

**ამ ტექსტში ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძის არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება, ის მხოლოდ შურისძიებით არის გაძეძგილი და მზადაა, გადმოანთხიოს გესლი და შხამი, თუ რამ ადამიანის ორგანიზმს შეუძლია გამოიმუშაოს და დააგროვოს სხვის დასაგესლად, ამის პოტენციალი ხომ ზოგიერთ ადამიანში განუსაზღვრელად დიდია. იმის დასამტკიცებლად, რომ მეცნიერი სისულელეს ამბობს, წარმოგიდგენთ მიუკერძოებელი მკვლევარის — ნინო მამარდაშვილის მიერ მოპოვებულ და გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც ეწინააღმდეგება „დიდი“ მეცნიერის მონაჩმახს.**



ექვთიმე თაყაიშვილი

„წარმოგიდგენთ ექვთიმე თაყაიშვილის დაკითხვის ოქმს, რომელიც დათარიღებულია 1952 წლის 24 თებერვლით. ვფიქრობთ, აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის. დაკითხვა შედგა საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. დაკითხვას აწარმოებდნენ საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ნ. რუხაძე. საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების მეორე განყოფილების თანამშრომელი პოდპოლკოვნიკი სირაძე, სტენოგრაფისტი უმცროსი სერჟანტი აირაპეტოვა. ექვთიმე დაიკითხა მოწმის სტატუსით. დაკითხვა დაიწყო 13 სთ-სა და 10 წთ-ზე და დასრულდა 15 სთ-სა და 30 წუთზე. დაკითხვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. დაკითხვის დროს დაცულია თავაზიანი ტონი და კორექტულობა.

**კითხვა: — ჩვენ თქვენთან გვაქვს რამდენიმე შეკითხვა.**

**პასუხი:** — მზად ვართ, მოგისმინოთ და გიპასუხოთ თქვენს კითხვებზე.

**კითხვა: — ჩვენ გვაინტერესებს საფრანგეთიდან საქართველოში სამუზეუმო განძის ჩამოტანის ისტორია.**

**პასუხი:** — როგორც ცნობილია, საქართველოს სამუზეუმო განძი საფრანგეთში იქნა გატანილი 1921 წელს, გადაეცა საფრანგეთის მთავრობას შესანახად და დასაცავად. საფრანგეთში ჩემი ყოფნის დროს მე ვმუშაობდი, განძი არ გაბნეულიყო და ვიღებდი ზომებს საქართველოში მისი დაბრუნებისათვის. როგორც მახსოვს, ჯერ კიდევ 1935 წელს წერილით მივმართე პროფესორ ვუკოლ ბერიძეს, რათა გამოეგზავნათ დეპუტაცია საფრანგეთში და დაეყენებინათ საკითხი საფრანგეთის მთავრობასთან საქართველოს კუთვნილი განძის დაბრუნებასთან დაკავშირებით. როგორც ვფიქრობ, ჩემი წერილის დასტურად, იმავე 1935

**ექვთიმე თაყაიშვილი: «განძეულობის დაბრუნების საკითხი გადასწყვიტა ამხ. სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ, რის შემდეგ გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმა სული მოითქვეს, ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინს საფრანგეთში. ფრანგები მასზე ლოცულობდნენ და ამბობდნენ, ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგამთო. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ქართველია ტომით, მაგრამ ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ: საქართველო პატარაა და ასეთ გენიოსს ვერ წარმოშობდაო» (გ. ჟორდანია «დაბრუნებული საუნჯე», გვ. 134)**




ლევილი

წელს საქართველოდან წარმოგზავნეს ვიქტორ კვიტაშვილი, რომელსაც შევხვდი რამდენიმეჯერ, შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში.

**კითხვა: — ვისი სახელით ჩამოვიდა ვიქტორ კვიტაშვილი?**

**პასუხი:** — ვფიქრობ, რომ კვიტაშვილი გამოგზავნილი იყო საფრანგეთში მთავრობის მიერ, იმ დეპუტაციის სანაცვლოდ, რომელსაც მე ვითხოვდი. როგორც მაგონდება, კვიტაშვილი მოდიოდა ჩემთან საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ის ცუდად ერკვეოდა სამუზეუმო ღირებულებებში და მეც არ მქონდა იმედი იმისა, რომ ამ ვიზიტს შედეგი მოჰყვებოდა. მართლაც, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვიტაშვილი აღარ გამომხმაურებია და საკითხი განძის დაბრუნე- ►

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სიმონ ჯანაშია: „ვერც ერთი პიროვნების კეთილი განზრახვა და ვერც მის განკარგულებაში არსებული ძალა ამ ძეგლებს საქართველოს ვერ დაუბრუნებდა, თუ არა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მისი ძლევამოსილი წითელი არმიის გამარჯვებული პოლიტიკა“ („დიდი ექვთიმე“. 2014 წელი. გვ. 519).

◀ ბის შესახებ ამით დასრულდა.

**კითხვა: — გააგრძელეთ.**

**პასუხი:** — შემდეგ, როდესაც გერმანელები განდევნეს საფრანგეთიდან და საბჭოთა საელჩო დაბრუნდა საფრანგეთში, სავარაუდოდ, 1944 წელს, კვლავ მივმართე ელჩ ბოგომოლოვს იმავე საკითხზე — სამუზეუმო განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ჩემი მიმართვა დაემთხვა ბოგომოლოვის ვიზიტს მოსკოვში საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელ დე გოლთან ერთად, ჩემთან, სახლში ინახება ზოგიერთი დოკუმენტი ამ საკითხთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში ასლებს წარმოგიდგენთ.

**კითხვა: — გთხოვთ გამოგზავნოთ.**

**პასუხი:** — კეთილი. ცხადია, ჩემი განცხადების პასუხად 1945 წელს პარიზში ჩამოვიდნენ შარია და ამირანაშვილი, უნდა ვთქვა, რომ მათ ჩამოსვლამდე საფრანგეთის მთავრობის მიერ მიღებული იყო ნებართვა სამუზეუმო განძის რუსეთის საელჩოში გადატანის შესახებ. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კონსული საფრანგეთში — გუზოვსკი, ემიგრანტი გეგელია და საბჭოთა არმიის ყოფილი ტყვეები — ნიჟარაძე და მელაძე.

**კითხვა: — რამდენი წერილი მისწერეთ ვუკოლ ბერიძეს?**

**პასუხი:** — პირველი წერილი ვუკოლ ბერიძეს 1935 წლის 26 მაისს მივწერე, საქართველოს მთავრობის მიერ საფრანგეთის მთავრობასთან დეპუტაციის გამოგზავნის საკითხზე, რომლის შედეგადაც, ჩემის აზრით, ჩამოვიდა კიდეც კვიტაშვილი, რომელიც აღმოჩნდა ნაკლებად გაცნობიერებული სამუზეუმო საქმეში და, რასაკვირველია, მოლაპარაკების საწარმოებლად საფრანგეთის მთავრობასთან შეუფერებელი აღმოჩნდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ვიქტორ კვიტაშვილი ელჩ პოტიომკინის მდივანთან ერთად (მდივნის გვარი არ მახსოვს) თითქმის ყოველდღე მაკითხავდა პარიზში, მაგრამ მისი ძალისხმევა უშედეგოდ დასრულდა.

**კითხვა: — როგორ შეხვდა ემიგრაციის ხელმძღვანელობა, კერძოდ, ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი განძის საქართველოში დაბრუნებას?**

**პასუხი:** — გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ამ ამბავმა ისინი გაახარა, მათ მიეცათ შესაძლებლობა, განძის დაბრუნებით საქართველოსთვის ერთგვარად სუფთად გამოჩენილიყვნენ ქართველი ხალხის თვალში. იყო დრო, როცა ისინი გაემიჯნენ და ხელი დაიბანეს, დაწერეს ოფიციალურად, რომ მათ არაფერი იცოდნენ განძის თაობაზე და მთელი პასუხისმგებლობა მე დამაკისრეს, როგორც საქართველოს მუზეუმების წარმომადგენელს, უფლებამოსილს დამეცვა განძი. ამ საკითხთან დაკავშირებით 1935 წელს მოწვეულ იქნა მენშევიკების უცხოეთის ბიუროს სპეციალური სხდომა, რომელზეც გამოიტანეს დადგენილება, რომ მე ვიყავი ერთადერთი წარმომადგენელი საქარველოს მუზეუმებისა და მეკისრება მოვალეობა განძის დაცვისა. **ამ სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, გეგეჭკორი, ზურაბიშვილი, ჩხენკელი, კანდელაკი.** ეს დოკუმენტი მე მაქვს და შემიძლია, ასლი წარმოგიდგინოთ.

**კითხვა: — პირადად, თქვენ ამ საკითხზე საუბრობდით ნოე ჟორდანიასა და გეგეჭკორთან 1945 წელს?**

**პასუხი:** — დიახ, ამ საკითხზე მე მესაუბრა ნოე ჟორდანია და მომილოცა, რომ მივიღე უფლება განძის საქართველოში დაბრუნებისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ ამის სურვილი გაუჩნდათ დიდ სამამულო ომში სსრკ-ის ისტორიული გამარჯვების შემდეგ. გეგეჭკორიც მესაუბრა ამ საკითხზე და, როგორც ჟორდანია, ისიც მოხარული იყო განძის დაბრუნების გამო.

**კითხვა:** — გქონდათ მიწერ-მოწერა შალვა ამირანაშვილთან?

**პასუხი:** — შალვა ამირანაშვილთან, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოწაფეა, მიწერ-მოწერა არ მქონია და 1921 წლიდან საქართველოში დაბრუნებამდე არ მინახავს. დაბრუნებისას, 1945 წლის აპრილში, რა თქმა უნდა, შევხვდით.

**კითხვა: — ვისგან მოდიოდა ინიციატივა საფრანგეთში განძის საკითხზე პეტრე შარიასა და შალვა ამირანაშვილის წარმოგზავნასთან დაკავშირებით?**

**პასუხი:** — ეს ჩემთვის უცნობია. ვვარაუდობ, რომ ისინი საბჭოთა მთავრობამ გამოგზავნა.

**კითხვა: — ხომ არ მოდიოდა ინიციატივა პარიზის ემიგრანტთა წრიდან და ნაწილობრივ — ნოე ჟორდანიასა და გეგეჭკორისგან?**

**პასუხი:** — არ ვიცი, ვფიქრობ, არა. ვიცი, რომ ამერიკელები ძალიან დაინტერესებული იყვნენ სამუზეუმო განძის შეძენით და სოლიდურ თანხასაც სთავაზობდნენ, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

**კითხვა: — საიდან ჰქონდათ ცნობა ამერიკელებს საქართველოს სამუზეუმო განძის შესახებ?**

**პასუხი:** — საქართველოს სამუზეუმო განძის შესახებ იცოდნენ არა მხოლოდ ამერიკელებმა, არამედ ინგლისელებმაც. მე არ ვიცი, საიდან იცოდნენ.

**კითხვა: — ხშირად ხვდებოდით შარიასა და ამირანაშვილს?**

## მტკნარი სიცრუეა თვალსაზრისი, რომ ექვთიმე თაყაიშვილს, ერთი ნივთიც რომ გაეყიდა, საფრანგეთშიც შეეძლო, ბედნიერად ეცხოვრა. მაგრამ ექვთიმეს იმ განძზე, რომელიც მართლაც ძვირად გაიყიდებოდა, ხელი არ მიუწვდებოდა, მენშევიკურმა მთავრობამ კი, რაც შეეძლო, გაყიდა კიდეც; რაც არ გაიყიდა (მაკულატურა და ჯართი), დღესაც ლევილში მდებარე დანგრეული ორსართულიანი სახლის დერეფნებსა და ოთახებში ყრია, რომლებიც რამდენიმე ხნის წინათ თვითონ დავათვალიერე



მარიამ ლორთქიფანიძე

**პასუხი:** — შალვა ამირანაშვილი ჩემთან ხშირად დადიოდა, შარია ერთხელ იყო და თვლიდა, რომ მისთვის დამამცირებელი იყო ჩემისთანა უბრალო ადამიანებთან შეხვედრა. როდესაც მჭირდებოდა, მე თავად დავდიოდი შარიასთან. რამდენადაც ვიცი, შარია ხვდებოდა ევგენი გეგეჭკორსა და სხვებს.

**კითხვა: — საქმის კურსში ხართ შარიასა და ემიგრაციის ხელმძღვანელების შეხვედრებზე?**

**პასუხი:** — ვიცი, რომ შარია აწარმოებდა მოლაპარაკებას ემიგრაციის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ რა ხასიათის მოლაპარაკება იყო, არ ვიცი. ერთი კი ცნობილია, რომ იმ პერიოდში ემიგრანტთა შორის იყო მასობრივი სურვილი საქართველოში დაბრუნებისა და თავიანთ ყოფნას ემიგრაციაში უსაგნოდ მიიჩნევდნენ. ამას დიდწილად ხელს უწყობდა სსრკ-ის გამარჯვება გერმანიაზე.

**დაკითხვის ოქმს ეთანხმება და ხელს აწერს ექვთიმე თაყაიშვილი. („დიდი ექვთიმე“, გვ. 652, 653, 654, 655).**

როგორც ირკვევა, ექვთიმე თაყაიშვილი დაჰკითხეს 1952 წლის 24 თებერვალს, ყოველგვარი ინციდენტისა და გაუგებრობის გარეშე. რა საკითხებზეც კითხვებს უსვამდნენ ღრმად მოხუცებულ მეცნიერს და რასაც ის პასუხობდა, გაცილებით ზუსტად იცოდა „ჩეკამ“, მით უმეტეს — სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა, რომელიც დამუშავებულ და შემოწმებულ ინფორმაციას იღებდა დაზვერვის პარიზის რეზიდენტურიდან და პირადად მისი ხელმძღვანელისგან — გუზოვსკისგან, რომელთანაც თვეების განმავლობაში ცხოვრობდა და მკურნალობდა ავადმყოფი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც გადარჩენისათვის ულრმეს მადლობას უხდის გუზოვსკის მეუღლეს — რეზიდენტურის თანამშრომელს. ასე რომ, **ქალბატონო მარიამ, ამ კითხვა-პასუხში საჩხუბარი და ფეხქვეშ გასაგები არაფერი იყო, გარდა თქვენი ახირებული მოსაზრებებისა. რაც შეეხება ექვთიმე თაყაიშვილის შინაპატიმრობას, ესეც თქვენი და თქვენნაირების მონაჭორია, თორემ თვითონ ექვთიმე თაყაიშვილი დიდ აღშფოთებას და გულისტკივილს გამოთქვამდა იმ ჭორებისა და ხმების დაყრაზე, თითქოს მას შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი.**

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან **აკაკი მგელაძის სახელზე გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ**

„ხმა დამიყარეს, რომ მე მაქვს შინაპატიმრობა და ისე დააშინა მეცნიერები, რომ მათ შეწყვიტეს ჩემთან სიარული“.

რაც შეეხება ექვთიმეს სახლიდან საკაცით წაყვანას „ჩეკა“-ში და ნაცემ-ნაწამები მოხუცის მეორე თუ მესამე დღეს გარდაცვალებას, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს **იოსებ მეგრელიძის** მოგონება:

**(1953 წლის 1 იანვარი) — „ივანე ნიჟარაძე და მე ვიყავით ექვთიმესთან, მხოლოდ ოდნავ მოძრაობს, გონება ნათელი აქვს, — არ მიმატოვოთო, — იხვეწება“.**

ქალბატონ მარიამ ლრთქიფანიძეს თუ დავუჯერებთ, ექვთიმე თაყაიშვილი უნდა გარდაცვლილიყო დაკითხვიდან პირველ თუ მეორე ღამეს, ანუ 1952 წლის 24 ან 25 თებერვლის ღამეს. მაგრამ არის თვითმხილველი და ექვთიმე თაყაიშვილის ყველაზე პატივისმცემელი და მასზე გადაყოლილი კაცი იოსებ მეგრელიძე, რომელიც ამტკიცებს, რომ მან და ივანე ნიჟარაძემ 1953 წლის 1 იანვარს მოინახულეს ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ძლივს მოძრაობდა. ამასვე ადასტურებს გაზეთ „კომუნისტში“ გამოცხადებული ნეკროლოგიც, რომელიც იუწყება, რომ 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი. ასე რომ, **მტკიცება, თითქოს ექვთიმე თაყაიშვილი შინაპატიმრობაში იყო და მერე წაიყვანეს „ჩეკა“-ში, სადაც ცემით ამოჰხადეს სული, მხოლოდ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ფანტაზიის ნაყოფია. ასეთი შურისძიება მხოლოდ გაბოროტებულ ქალს შეუძლია — მედეას მოდგმას, რომელიც თავისი სურვილის შესასრულებლად მზად არის, გაწიროს ყველა და ყველაფერი.** ადამიანისათვის რთულია სინდისის ფეხქვეშ გათელვა ადამიანური სისუსტის დასაძლევად. შეიძლება, ეს სისუსტე მიეტევოს ყველას, მაგრამ არამც და არამც ჟამთააღმწერელს! **როგორ დავუჯერო აკადემიკოსს „სუმბატ დავითის ძის ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, როდესაც უახლესი ისტორიის გაყალბების ისეთი ფაქტების წინაშე გვაყენებს მკითხველს, რომ თმა ყალყზე გვიდგება?!**

მაშ, სწორი არ იყვნენ რომაელები! როდესაც ისტორიის გამყალბებლებს ისევე სწვავდნენ ცეცხლზე, როგორც ყალბი ფულის მჭრელებს და გამყალბებლებს!

ვამთავრებ რა ჩემი არაპროფესიული საქმიანობის ერთ თემას, რომელსაც „ქართული ეროვნული საგანძურის გატაცება-დაბრუნების ქრონიკები“, ანუ „სტალინის როლი საქართველოსთვის ქართული საგანძურის დაბრუნებაში“ დავარქვი, მინდა, შემოგთავაზოთ ზოგიერთი ცნობილი ადამიანის გამონათქვამი ამ თემაზე:

**სიმონ ჯანაშია:** „ვერც ერთი პიროვნების კეთილი განზრახვა და ვერც მის განკარგულებაში არსებული ძალა ამ ძეგლებს საქართველოს ვერ დაუბრუნებდა, თუ არა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მისი ძლევამოსილი წითელი არმიის გამარჯვებული პოლიტიკა“ („დიდი ექვთიმე“, 2014 წელი. გვ. 519).

**ექვთიმე თაყაიშვილი:** „განძეულობის დაბრუნების საკითხი გადასწყვიტა ამხ. სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ, რის შემდეგ გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმა სული მოითქვეს, ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინს საფრანგეთში. ფრანგები მასზე ლოცულობდნენ და ამბობდნენ, ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგამთო. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ქართველია ტომით, მაგრამ ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ: საქართველო პატარაა და ასეთ გენიოსს ვერ წარმოშობდაო“ (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 134).

**ნინო მამარდაშვილი:** „ეს იყო შედეგი წითელი არმიის იგავმიუწვდომელი გამარჯვებისა ფაშისტურ გერმანიაზე და სტალინის უდავო როლზე ამ საქმეში. სტალინი აღმოჩნდა გენიალური მოღვაწე, რომელმაც გაათავისუფლა ევროპა და იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია. სკეპტიკურად მოაზროვნე ფრანგებმაც კი აღიარეს სტალინის სიდიადე, ოღონდ უკვირდათ ასეთმა მცირერიცხოვანმა ერმა როგორ შეძლო, ეშვა ამგვარი ბუმბერაზი“.

**მეცნიერი, ისტორიკოსი (გვარს არ დავასახელებ):** „მენშევიკურმა მთავრობამ 1921 წელს განძი ექვთიმეს ხელშეწყობით გაიტაცა. 1921-1932 წლებში ექვთიმეს მხოლოდ მორალური უფლება ჰქონდა განძის პატრონობის. 1932 წლიდან ექვთიმეს განძთან არაფერი ესაქმებოდა, განძი საქართველოს სტალინმა დაუბრუნა“.

**მეცნიერი, ისტორიკოსი (გვარს არ დავასახელებ):** „ექვთიმე საფრანგეთიდან არა თუ განძს, თავის ავტოკალამსაც ვერ ჩამოიტანდა, განძის დაბრუნება ერთპიროვნულად სტალინს მიეწერება“.

## მტკიცება, თითქოს ექვთიმე თაყაიშვილი შინაპატიმრობაში იყო და მერე წაიყვანეს «ჩეკა»-ში, სადაც ცემით ამოჰხადეს სული, მხოლოდ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ფანტაზიის ნაყოფია

**P.S. აქ ვასრულებ თემას და ბოდიშს ვუხდი ყველა მკითხველს საკითხისადმი არაპროფესიონალური მიდგომისთვის, მაგრამ სათქმელი უნდა მეთქვა და ვთქვი კიდეც. თუ ვინმეს სურვილი გაგიჩნდებათ ამ საკითხზე ჩემთან პოლემიკისა, მზად ვარ, შეგხვდეთ, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაში. იმედია, დაინტერესებულები ჩემს საკონტაქტო ტელეფონის ნომერს ადვილად დაადგენთ.**

ჩემპიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვიკითხე — მაქსიმალური ქულები დავაგროვე და რა მოხდა, რა შეცდომა მქონდა და რა მიზეზით ვერ გავიარე კონკურსი-მეთქი? საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია ნახევარი საათის განმავლობაში მიხსნიდა, რომ „უკონკურენტო არავინ არის".**

თამარ ინჯგია:

# საკრებულოში გამოცხადებულ ვაკანსიაზე რომ მიგიღონ, ან «ქოცი» უნდა იყო, ან «ნაცი»

**საქართველოში, დიდი ხანია, დაიწყო კარგი იდეის განხორციელება — კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ საჯარო სამსახურში თანამშრომლად მიღება. იდეა კარგია, მაგრამ კონკურსგავლილ უამრავ ადამიანს შეხვდებით, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი შეფასება დაიმსახურეს, მაინც უმუშევარი დარჩნენ. ასე იყო 2012 წლამდე და ასეა დღესაც.**



**«მარტვილში არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ადამიანებს ისე აღარ იჭერენ, როგორც «ნაცების» პერიოდში, სხვა არაფერი განსხვავება არ არის წინა და ახალ ხელისუფლებებს შორის. მარტვილში ისევ ნაცნობობითა და პარტიული ნიშნით იღებენ ადამიანებს. ადგილობრივებს, რომლებსაც «ნაცები» არ სწყალობდნენ, არც «ქართული ოცნება» სწყალობს»**

თუ ვინმე იტყვის, რომ ვცდებით და მიკერძოებულები ვართ, „ოცნებისთვის" ყველაზე სანდო ადამიანის თვალსაზრისს, უფრო ზუსტად, განცხადებას შემოგთავზებთ:

„როგორც წესი, ადამიანები უკვე დანიშნულები არიან სამსახურებში და ამ კონკურსებით, მაპატიეთ, მაგრამ მათი „გაპრავება" ხდება. თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში ასეა — დიახ, კადრების შესარჩევად კონკურსები ტარდება, მაგრამ უმეტესად ეს კონკურსები ფორმალობაა.

ყველა ადამინის ბუნებაშია ნეპოტიზმის ელემენტები — ცუდი ან საშუალო დონის თავისიანი ურჩევნია კარგ უცხოს. თუ, პირობითად, ჩემი ბიძაშვილი ან ახლობელი, რომელიც დროებით, მოვალეობის შემსრულებლად მყავს დანიშნული, მინდა, რომ კონკურსით „გავაპრავო", გამოვაცხადებ კონკურსს, სადაც 150 კაცი მოვა, მაგრამ კონკურსის ერთ-ერთ პირობაში რომელიმე, უნიკალური კომპიუტერული პროგრამის ცოდნის აუცილებლობას ჩავდებ... კომისიის ხუთი პატიოსანი წევრი გადახედავს კონკურსანტთა შედეგებს და, კანონის სრული დაცვით, სამსახურში ჩემს ბიძაშვილს დატოვებს," — ამბობს „ქართუ ბანკის" ყოფილი ხელმძღვანელი და ახლა უკვე რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე **ნოდარ ჯავახიშვილი**.

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" მარტვილის რაიონში მცხოვრები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ვაკანსიაზე ატესტაციაგავლილი თამარ ინჯგია დაუკავშირდა:**

— მარტვილის საკრებულოში 42 ვაკანტურ ადგილზე კონკურსი გამოცხადდა. გადავწყვიტე, გამევლო ტესტირების ყველა საფეხური, რომლებიც სამსახურის დასაწყებად იყო საჭირო. ტესტებში 55 ქულა ავიღე, არადა, საჭირო ქულათა რაოდენობა, რომელიც იქვე, ადგილზევე დაადგინეს, 31 იყო. შემდგომი საფეხური გასაუბრებაა, რომელიც ასევე წარმატებით გავიარე. **კომისიაში მოწვეული ჰყავდათ ვინმე ნატალია პაპასკირი, რომელმაც მითხრა, შენ მიმართ პრეტენზიები არ გვაქვს და ყველაფერი წარმატებით გაიარეო. თან დაამატა, თუ რამე მოხდება, ვიდეოთვალიც არის ჩართული და ყველაფერი იწერებაო.**

კონკურსის პასუხები სამი თვის ვადაში უნდა გამოქვეყნებულიყო. ჩემს პირად ფოსტაზე მომივიდა პასუხი, რომ კონკურსი ვერ გავიარე. ეს იყო პარასკევი საღამო, ველარაფერს მოვასწრებდი, ამიტომ საკრებულოში ორშაბათს მივედი და შევხვდი საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გაბისონიას**, რომელიც, ამასთანავე, საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეც ბრძანდებოდა. ბუნებრივია, ვიკითხე — მაქსიმალური ქულები დავაგროვე და რა მოხდა, რა შეცდომა მქონდა და რა მიზეზით ვერ გავიარე კონკურსი? ალექსი გაბისონია ნახევარი საათის განმავლობაში მიხსნიდა, რომ „უკონკურენტო არავინ არის". ვუპასუხე, — თავი უკონკურენტოდ რომ ჩამეთვალა, კონკურსს არ გავივლიდი-მეთქი.

კატეგორიულად ვითხოვდი, აეხსნათ მიზეზი, რატომ ვერ გავიარე კონკურსი 55 ქულით. პასუხი რომ ვერ მივიღე, თვითონვე გავარკვიე, რომ არსებობდა საპრეტენზიო კომისია, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, დამედგინა, რაში იყო საქმე, თვითონ საკრებულოს თანამშრომლებს კი საპრეტენზიო კომისიის არსებობის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის ძმას დავურეკე და ვთხოვე, გაერკვია, სად და ვისთან უნდა მივსულიყავი; მან მითხრა, ახლახან შევიტყვე, ჩემი ძმა ამ კომისიის თავმჯდომარედ რომ დაუნიშნავთო. განცხადება დავწერე კომისიის თავმჯდომარის სახელზე და დავტოვე. ოთხი დღე არავინ დამკავშირებია, ბოლოს კი მითხრეს, რომ არადამაჯერებელი იყავი და ტესტირება ვერ გაიარეო.

საპრეტენზიო კომიისგან ასეთი პასუხი რომ მივიღე, ისევ საკრებულოს თავმჯდომარეს მივმართე თხოვნით, ჩემთვის მოეცათ ის დოკუმენტები, რომლებიც კანონით მეკუთვნის – პირადი მონაცემები, სადაც აუცილებლად უნდა იყოს თანდართული კომისიის წევრების მოსაზრებები ჩემ მიერ გავლილი ატესტაციის შედეგზე, მაგრამ დღემდე ვერ მივაღწიე, რომ პირადი მონაცემები მომცენ.

**— როგორ ფიქრობთ, რა მოხდა, რაზე გაქვთ ეჭვი?**

— მხოლოდ ოთხ ადამიანს გვქონდა 55 ქულა. ასეთი შედეგი არ ჰქონია არც ერთს, ვინც სამსახურში აიყვანეს. რაც შეეხება ეჭვს, ზუსტად ვიცი, **საკრებულოში გამოცხადებულ ვაკანსიაზე რომ მიგიღონ, ან „ქოცი" უნდა იყო, ან „ნაცი"**. საკრებულოში არავის უნდა ისეთი ადამიანი, რომელიც მოახლოებულ არჩევნებში მათ დაკვეთას არ შეასრულებს. აი, რასთან გვაქვს საქმე.

**— ქალბატონო თამარ, თუ მარტვილში სხვა ყველაფერი კარგად არის, ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდება, მიხვდებიან, რომ შეცდომა დაუშვეს და აუცილებლად დაგიკავშირდებიან.**

— მარტვილში არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ადამიანებს ისე აღარ იჭერენ, როგორც „ნაცების" პერიოდში, სხვა არაფერი განსხვავება არ არის წინა და ახალ ხელისუფლებებს შორის. **მარტვილში ისევ ნაცნობობითა და პარტიული ნიშნით იღებენ ადამიანებს. ადგილობრივებს, რომლებსაც „ნაცები" არ სწყალობდნენ, არც „ქართული ოცნება" სწყალობს, ერთ-ერთი ასეთი მეც ვარ.**

გაგახსენებთ, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ ძალიან მალე მარტვილის რაიონი მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა — ადგილობრივები რესპუბლიკურ პარტიაში „პორტირებულ „ნაცებზე" საუბრობდნენ: „ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ახალაიებს, ქარდავებს, გოროზიებს ვებრძოდით, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ხოლო ადამიანები, რომლებმაც შეიცვალეს მხოლოდ მაისურები და ნომერი 5-ის ნაცვლად ნომერი 41 ჩაიცვეს, კვლავ დააწინაურეს.

2013 წლის ივლისში მარტვილის რაიონში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, „ოცნების" მხარდამჭერებმა „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს მდივანს, ამჟამად უფლებაშეჩერებულ არმაზ ახვლედიანს მარტვილში ჩასვლა სთხოვეს, მაგრამ ქუთაისში მყოფი ახვლედიანი სასწრაფოდ დედაქალაქში დაბრუნდა... მარტვილელებმა განაცხადეს, რომ: „ახვლედიანი მოდიოდა მარტვილში, მაგრამ გაიგო, რომ აქ ძალიან გაბრაზებული ხალხი ელოდებოდა და აღარ ჩამოვიდა". მოიგვიანებით, ახვლედიანი მარტვილს მაინც ესტუმრა, ოღონდ დილით, ისეთ დროს, ხალხს რომ ეძინა. რამდენიმე ადამიანმა, რომლებმაც მისი ვიზიტის შესახებ შეიტყვეს და გაღვიძება მოახერხეს, თქვეს: „ჩვენ მიერ დასმულ არც ერთ შეკითვაზე მას პასუხი არ ჰქონდა, გაუგებრად საუბრობდა და იმეორებდა, რომ მიზეზებზე ღიად საუბარი არ შეუძლია და რომ ჩვენთან ყველაფერს ვერ იტყვის".

თამარ ინჯგიას პრეტენზიაზე კომენტარისთვის არმაზ ახვლედიანს — ვერა, მაგრამ **მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონიას** კი დავუკავშირდით.

**— ბატონო ალექსი, მარტვილელ თამარ ინჯგიას პრეტენზია აქვს, რომ ატესტაცია წარმატებით გაიარა, მაგრამ უმუშევარი დარჩა. მან ვერ გაიგო, რატომ უთხრეს უარი. თამარ ინჯგიას სურს თავისი პირადი მონაცემების აღება, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, არ აძლევთ.**

— საინტერესოა, არ ვიცი, რა დავუკავე? რა არ გავუკეთე? გასაუბრება ძალიან ბევრმა გაიარა წარმატებით. უბრალოდ, კომისიამ უკეთესზე უკეთესი შეარჩია.

**— ეს ქალბატონი ამბობს, რომ ისეთი მაღალი ქულები, როგორიც მან მოიპოვა, არავის ჰქონია და ვაკანტურ ადგილებზე დაბალქულიანები მიიღეთ.**

— შესაძლოა, მან მაღალი ქულები მიიღო, მაგრამ გასაუბრება ვერ გაიარა, გასაუბრება იმისთვის არის, რომ ცოდნა, გამოცდილება და კომუნიკაციის უნარი გამოააშკარავოს ადამიანმა.

პირადი მონაცემების მიღებას დრო სჭირდება. ის ითხოვს აუდიოჩანაწერს, მაგრამ საქმე ის არის, რომ კომისიას არ აქვს ვალდებულება და ოფიციალურად არ ითხოვს არავინ, რომ ატესტაციაზე ვიდეოთვალი აუცილებლად უნდა იყოს. ქალბატონ თამარს შეუძლია, სასამართლოში დაამტკიცოს თავისი სიმართლე. ჩვენ ხელთ არსებული ყველა საბუთი გადავეცით, ვიდეო და აუდიოჩანაწერი კი არ გვაქვს.

**— ის ამბობს, რომ პარტიული ნიშნით შეირჩა კანდიდატურები.**

— მერე რა, მით უმეტეს, რა პრეტენზია აქვს? ატესტაციის პროცესს ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ესწრება, მარტვილში პროცესი გამჭირვალეა, შეგიძლიათ, თავადაც დაესწროთ...

**ქალბატონი თამარი ძალიან კარგი ადამიანია, ის მომზადებულიც იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად უნდა დანიშნულიყო.**

**— ბატონო ალექს, ქალბატონი თამარი არ გახლავთ ერთადერთი ადამიანი, რომელიც გსაყვედურობთ, რომ მარტვილში მცხოვრებ უპარტიო კონკურსანტებთან შედარებით „ნაციონალებსაც" კი უპირატესობას ანიჭებთ...**

— ვინ ამბობს, რომ ვინმე დავჩაგრეთ? ვიცი, ახლა ჩემს ყოველ სიტყვას იწერთ და ამიტომ გეტყვით პრეტენზიის მქონეთა გასაგონად: ყველა კონკურსანტმა უკვე მიმართა საპრეტენზიო კომისიას და ხელთ აქვთ ინფორმაცია გადაწყვეტილების თაობაზე. ამის შემდეგ ყველას შეუძლია, ერთი თვის ვადაში სასამართლოს მიმართოს.

კონკურსი გამოცხადებული იყო 41 ვაკანტურ ადგილზე, შემოვიდა 141 განაცხადი, ბუნებრივია, ვიღაც გარეთ დარჩებოდა.

**— გასაგებია, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბარიერი 31 ქულა იყო, ხოლო ადამიანებმა, რომლებიც გარეთ დარჩნენ, 55 ქულა დააგროვეს.**

— დიახ, ბატონო, ხდება. **დარწმუნებული ხართ, რომ მითითებული ოთხი სავარაუდო პასუხიდან მან ზუსტად იცოდა, რომელი იყო სწორი? იქნებ ვარაუდით შემოხაზა ან გამორიცხვის მეთოდით? იქნებ გაუმართლა და პასუხი „გაარტყა?"**

**— თქვენ როგორღა დაადგინეთ კონკურსანტმა პასუხი „გაარტყა" თუ მართლა იცოდა?**

— თქვენთან დებატებს არ ვაპირებ. გმადლობთ, პასუხის გაცემის საშუალება რომ მომეცით.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**როგორც ჩანს, ირანი მზადაა, 15 წლით შეაჩეროს სამუშაოები სადავო ატომურ საწარმო ფორდოში და ის ატომური ფიზიკის კვლევით ცენტრად აქციოს. ირანი ასევე გარანტიას იძლევა, რომ არაკაში მძიმე წყლის რეაქტორი არ აწარმოებს იარაღისთვის საჭირო პლუტონიუმს. შემოღებულ იქნება საერთაშორისო ინსპექციის ძალზე მკაცრი რეჟიმი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# აშშ სამხედრო ჩარევებისთვის მიზეზს ცვლის



**ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაწყვიტეს, შეცვალონ იდეოლოგიური მიზეზი, რომლითაც გაამართლებენ სამხედრო ინტერვენციებს. ყოველ შემთხვევაში ასე მიიჩნევს ანალიტიკური ჟურნალის — Strategic Culture Foundation-ის კოლუმნისტი, მწერალი და ჟურნალისტი ფინიან კანინგემი.**

კანინგემი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო კოალიციისკენ მოწოდებები, სამხედრო ძალებით შეაჩერონ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების მიერ უძველესი კულტურული ობიექტების განადგურება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სირიამ და ერაყმა რუსეთისა და ირანის მხარდაჭერით ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, სხვა არაფერია, თუ არა გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში დასავლური ინტერვენციის აუცილებლობის გამართლების განზრახვა.

მისი თქმით, დასავლეთი ემზადება, ეს იდეა გამოიყენოს, როგორც ახალი საბაბი თავისი სამხედრო ინტერვენციებისთვის.

**„როგორც ჩანს, ასეც არის, რადგან საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების პოლიტიკური ბერკეტის სახით ისეთი წინამორბედი მიზეზების გამოყენებამ, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა“,** — ირწმუნება ექსპერტი.

**„ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ლიბიის განადგურება ვაშინგტონისა და მისი ევროპელი მოკავშირეების თაღლითური მიდრეკილებების ილუსტრაციაა“,** — ირწმუნება ჟურნალისტი.

დასავლეთი დიდი ხანია, „დაცვის ინიციატივას“ იყენებს გამოგონილი საბაბის სახით თავისი სამხედრო ინტერვენციების განსახორციელებლად, მაგრამ უკანასკნელი ოციოდე წლის მანძილზე ადამიანის უფლებებზე აპელირება აუცილებელი იყო არა მხოლოდ საზოგადოებრივ განწყობაზე ზემოქმედების, არამედ იმ საბაბის შეცვლისთვისაც, რომელსაც ამერიკა ჯერ კიდევ ცივი ომის დროს იყენებდა.

**„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ და ნატოს წევრი ქვეყნები საჭიროებდნენ ახალ იდეოლოგიურ საფარველს იმპერიალისტური ომების წარმოებისთვის. მათ წარმატებით გამოიყენეს სხვადასხვა ვარიანტი, მათ შორის ტერორიზმთან ომი, მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობა და ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება“,** — წერს კანინგემი.

მსგავსი იდეოლოგიური საბაბის პრობლემა ისაა, რომ რაღაც მომენტში იწურება მათდამი ნდობა.

ანალიტიკოსის თქმით, ნაწილობრივ სწორედ ამით აიხსნება ცივი ომის რიტორიკის გაცოცხლება რუსეთის, როგორც გლობალური უსაფრთხოების ექსპანსიონისტური მტრის სახით, წარმოჩენის მცდელობისას.

**„მაგრამ რუსეთის დემონიზაციის ცივი ომის ახალი კლიშე ახლოსაც არ დგას ძველ რიტორიკასთან და, უბრალოდ, ვერ იმსახურებს ნდობას“,** — მიიჩნევს ექსპერტი.

მისი აზრით, ამ ეტაპზე აშშ-ს ესაჭიროება ახალი ემოციური მოწოდება სამხედრო ინტერვენციისაკენ და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მოწოდება ზედაპირულად მაინც უპასუხებს ყველა მოთხოვნას.

**ხაზს უსვამს რა, რომ ამერიკული იდეოლოგიური არსენალი „გაცვეთილი, გადამეტებული, გახარჯული ან შერცხვენილია“, კანინგემი ასკვნის, რომ მსოფლიო მემკვიდრეობისა და უძველესი არტეფაქტების დაცვის მოწოდება, შესაძლოა, იქცეს აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ახალ საბაბად ყველა სამხედრო ინტერვენციისთვის, რომელთაც ისინი მომავალში განახორციელებენ.** თებერვლის ბოლოს ინტერნეტში გაჩნდა ვიდეო, რომელზეც ბოევიკები ანადგურებენ ქალაქ მოსულისა და ერაყის ჩრდილოეთის მუზეუმებში დაცულ ისლამამდე ეპოქის სკულპტურებს. ამ ვიდეოს გავრცელებიდან ცოტა ხანში იუნესკომ გაეროს უშიშროების საბჭოს მოუწოდა ექსტრემალური სხდომის ჩატარებისაკენ ერაყის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბაბით. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა ამ საერთო კულტურული ღირებულების განადგურებას „სამხედრო დანაშაული და მთელი კაცობრიობისათვის დარტყმა უწოდა“.

warandpeace.ru

# «ექვსიანის» ირანთან შეთანხმების ნამდვილი არსი

**დახურულ კარს მიღმა დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად ირანელმა დიპლომატებმა და მათმა კოლეგებმა, რომლებიც ექვს სახელმწიფოს წარმოადგენდნენ, მოამზადეს „მოქმედების ერთობლივი ყოვლისმომცველი გეგმა“, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას ეხება. დოკუმენტმა გააოცა ანალიტიკოსები და გააჩინა იმედი, რომ ზაფხულში მოხერხდება რეალური, საბოლოო შეთანხმების მიღწევა.**



საკვანძო მაჩვენებელია დრო, რომელშიც ირანს შეუძლია, შექმნას „შიგთავსი“ ერთი ბირთვული ჭურვისთვის. აშშ-ის მოწონებული შეთანხმების ყველა ვარიანტში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ამ პერიოდის 2-3 თვიდან მინიმუმ ერთ წლამდე გაზრდაა. ეს საერთაშორისო საზოგადოებას საშუალებას მისცემს, მოიგოს დრო საპასუხო ზომებისთვის და ირანთან უფრო მკაცრი მოქმედებებისთვის.

აშშ-ის და მისი პარტნიორების აზრით, ზომებმა, რომელთა შესახებაც გამოცხადდა რამდენიმე დღის წინ, უნდა გაართულოს ირანში გამდიდრებული ურანის წარმოება და შენახვა. ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა, შეიზღუდოს ცენტრიფუგების რაოდენობა. გამოქვეყნებული პირობების თანახმად, ირანი დათანხმდება 19 ათასიდან 6104-მდე შემცირებას. აშშ-ის წარმომადგენლების მიერ გავრცელებული მემორანდუმის თანახმად, ირანი დათანხმდა, 10 წლის განმავლობაში ურანი მხოლოდ ერთ ქარხანაში გაამდიდროს და 15 წლის მანძილზე არ გადააჭარბოს გამდიდრების 3,67%-იან დონეს.

**როგორც ჩანს, ირანი მზადაა, 15 წლით შეაჩეროს სამუშაოები სადავო ატომურ საწარმო ფორდოში და ის ატომური ფიზიკის კვლევით ცენტრად აქციოს. ირანი ასევე გარანტიას იძლევა, რომ არაკაში მძიმე წყლის რეაქტორი არ აწარმოებს იარაღისთვის საჭირო პლუტონიუმს. შემოღებულ იქნება საერთაშორისო ინსპექციის ძალზე მკაცრი რეჟიმი.** სანაცვლოდ შესუსტებული იქნება ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, თუმცა ირანის მხრიდან შეთანხმების ჯერჯერობით არარსებული ბოლო ვარიანტის მოთხოვნების შესრულების გათვალისწინებით.

სხვა საკითხები (მაგალითად, თუ რა დოზით შეეძლება ირანს უფრო თანამედროვე ცენტრიფუგების გამოყენება და მოდერნიზება, ბირთვული პროგრამის სხვა სამხედრო ასპექტების ბედი) ჯერ კიდევ უნდა დარეგულირდეს მომავალი თვეების განმავლობაში.

აშშ-ში, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებში „ქორები“ არ იზიარებენ ოპტიმიზმს, მაგრამ ობამას ადმინისტრაციამ შეიძლება მოიშველიოს ის, რომ შეთანხმება აფერხებს ირანის ბირთვულ ამბიციებს და ითვალისწინებს საშუალებებს საერთაშორისო საზოგადოებისთვის, არ მისცენ ამ ამბიციებს გასაქანი.

washingtonpost.com



# მარტში ამერიკელმა პოლიციელებმა 111 ადამიანი მოკლეს

**2015 წლის მარტის განმავლობაში ამერიკელმა პოლიციელებმა 111 ადამიანი მოკლეს, 1900 წლიდან ამ დრომდე კი ბრიტანეთის მთელმა პოლიციამ — 52.**

**არ არის საჭირო შესწორებების შეტანის მცდელობა მოსახლეობის რაოდენობის, სიღატაკის, ფსიქიური აშლილობების გავრცელებისა და სხვათა გამო. არანორმალური, აბსურდული და საშიშია ის ფაქტი, რომ ამერიკაში პოლიციელები ერთი თვის განმავლობაში კლავენ ორჯერ უფრო მეტ ადამიანს, ვიდრე მთელი უახლესი ისტორიის განმავლობაში ბრიტანელები.** მარტში ნიუჯერსის პოლიციამ სასიკვდილოდ სცემა ფილიპ უაიტს, რომელიც არ იყო შეიარაღებული. პოლიციამ ესროლა და მოკლა სამი შვილის დედა, 26 წლის მეგან ხოკედეი. ატლანტას გარეუბანში პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა უიარაღო ნიკოლას ტომასი. იმავე ატლანტას სხვა გარეუბანში პოლიციამ სიცოცხლეს გამოასალმა ენტონი ჰილი — ერაყის ომის ვეტერანი, რომელიც არ იყო შეიარაღებული და რომელიც სულიერად ავადმყოფი იყო.

კიდევ 107 ასეთი ისტორიის მოყოლა შეგვიძლია...

ეს უნდა შეწყდეს.

AlterNet

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასული წლის 23 ოქტომბერს ისლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. ეს რეფერენდუმი არის დამასრულებელი აკორდი ბრძოლაში, რომელსაც ისლანდიის ხალხი 2008 წლიდან მოყოლებული აწარმოებდა. სწორედ მაშინ შეიტყვეს ისლანდიელებმა მოულოდნელად, რომ ფინანსური კრიზისის შედეგად მათი ქვეყანა — სხვათა შორის, ევროკავშირის წევრი — გაკოტრდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.**

# ისლანდიის ჩუმი რევოლუცია

**გსმენიათ რაიმე იმის თაობაზე, რაც შარშან, 23 ოქტომბერს, ისლანდიაში მოხდა? ალბათ, — არა. იცით, რატომ არ გსმენიათ? იმიტომ, რომ 23 ოქტომბერს ისლანდიაში მოხდა რევოლუცია, აბსოლუტურად მშვიდობიანი, მაგრამ ამის გამო სხვა რევოლუციებზე არანაკლებ „რევოლუციური“. მან ერთდროულად აჩვენა, თუ რაოდენ „სახიფათოა“, როდესაც „დემოკრატიული პროცედურები“, რომლებზეც ასე უყვართ საუბარი ლიბერალებს, კონტროლდება უმრავლესობის და არა უმცირესობის მიერ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.**

სწორედ ამის გამოა ისლანდიის ნიშანდობლივი მაგალითი მიჩუმათებული და პრაქტიკულად დამალული მსოფლიო მედიის მიერ. უკანასკნელი, რაც მსოფლიო ძალაუფლების მფლობელებს სურთ, არის ის, რომ ისლანდიის მაგალითი მისაბაძი გახდეს სხვა ქვეყნებისთვის, თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით.

**გასული წლის 23 ოქტომბერს ისლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. ეს რეფერენდუმი არის დამასრულებელი აკორდი ბრძოლაში, რომელსაც ისლანდიის ხალხი 2008 წლიდან მოყოლებული აწარმოებდა. სწორედ მაშინ შეიტყვეს ისლანდიელებმა მოულოდნელად, რომ ფინანსური კრიზისის შედეგად მათი ქვეყანა — სხვათა შორის, ევროკავშირის წევრი — გაკოტრდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.**

ეს მოულოდნელი იყო იმიტომ, რომ გაკოტრება მოჰყვა აყვავების ხუთ წელიწადს, რომელიც „ყველაზე ეფექტიანმა“ ნეოლიბერალურმა ეკონომიკამ მოიტანა. ნეოლიბერალური ეკონომიკა ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ 2003 წლიდან ქვეყნის ყველა ბანკი პრივატიზირებულ იქნა და უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მიზნით აწარმოებდა ონლაინ-ბანკინგს, რომელიც მინიმალური ხარჯებით შედარებით მაღალ შემოსავალს იძლევა.

მართლაც, ისლანდიურმა ბანკებმა მიიზიდეს უამრავი წვრილი ინვესტორი ბრიტანეთიდან და ჰოლანდიიდან და ყველაფერი საუკეთესოდ იყო — ეკონომიკაც (ნეოლიბერალური თვალსაზრისით) იზრდებოდა და ყვაოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა ერთ ნიუანსს: რაც მეტ ინვესტიციას მიიზიდავდნენ, მით უფრო სწრაფად იზრდებოდა ბანკების საგარეო ვალიც. 2003 წელს ისლანდიის ვალი საერთო შიგა პროდუქტის 200%-ს შეადგენდა, 2007 წელს კი — უკვე 900%-ს.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა 2008-ში სასიკვდილო დარტყმა მიაყენა ისლანდიის „მოყვავილე“ ეკონომიკას. სამი მთავარი ბანკი Landbanki, Kapthing და Glitnir გასკდა და ნაციონალიზებულ იქნა, კრონამ კი ღირებულების 85% დაკარგა ევროსთან მიმართებაში. და წლის ბოლოსთვის ისლანდიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

სწორედ მაშინ დადგა დრო, გაეხსენებინათ, რომ ისლანდია დემოკრატიული ქვეყანაა. თავდაპირველად ისლანდიელებმა გადაწყვიტეს, დაყრდნობოდნენ „ჩვეულებრივ“ წარმომადგენლობით დემოკრატიას. ბანკების კრახიდან რამდენიმე თვის შემდეგ ისლანდიელები გამოვიდნენ ქუჩაში და პროტესტი გამოხატეს იმ ბანკირების მიმართ, რომლებიც კრიზისის მიზეზად იქცნენ. ასევე პროტესტი ეხებოდა უმეცარ პოლიტიკოსებსაც, რომლებმაც კრიზისის განვითარება დაუშვეს.

პროტესტმა და არეულობებმა, ბოლოს და ბოლოს, აიძულა ხელისუფლება, გადამდგარიყო. არჩევნები 2009 წლის აპრილში გაიმართა, შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა მემარცხენე კოალიცია, რომელმაც, ერთის მხრივ, უმალვე გააკრიტიკა ნეოლიბერალური ეკონომიკა, მაგრამ, მეორე მხრივ, უმალვე დანებდა მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნებს, გადაეხადა ისლანდიის ბანკების ვალი, რომლის საერთო მოცულობამაც სამ-ნახევარი მილიარდი შეადგინა.

**ეს იმას ნიშნავდა, რომ ისლანდიის ყოველ მოსახლეს 15 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ევროს გადახდა მოუწევდა, რათა მხოლოდ კერძო პირების ვალები აენაზღაურებინა სხვა კერძო პირების მიმართ.**

ეს მშვიდი ისლანდიელებისთვისაც კი მეტისმეტი იყო და განაპირობა მოვლენათა აბსოლუტურად ექსტრაორდინალური განვითარება. იდეა, რომ მოქალაქეებს უნდა გადაეხადათ ფული კერძო ფინანსისტების შეცდომების ასანაზღაურებლად, რომ მთელი ქვეყანა უნდა დამძიმებულიყო კერძო ვალების ანაზღაურებით, იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ მასობრივი პროტესტების ახალ ტალღას დაუდო სათავე.



**უმრავლესობა მდგომარეობის ბატონ-პატრონად იქცა საკონსტიტუციო საბჭოშიც, კონსტიტუციის შემუშავებაშიც, რეფერენდუმზე ხმის მიცემაშიც. შედეგმა იმდენად გადააჭარბა ყველანაირ მოლოდინს, რომ მსოფლიო მასმედია, უკვე ამდენი ხანია, დუმს ირლანდიის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებზე**






ამ გამოსვლებმა ისლანდიის ხელისუფლება აიძულა, მოსახლეობის უმრავლესობის მხარეს დამდგარიყო. შედეგად პრეზიდენტმა **ოლაფურ რაგნარ გრიმსონმა** უარი განაცხადა პარლამენტში უკვე მიღებული კანონის რატიფიცირებაზე, კანონისა, რომელიც ისლანდიის მოსახლეობას ისლანდიელი ბანკირების ვალებზე პასუხისმგებლობს აკისრებდა და რეფერენდუმის ჩატარებას დათანხმდა.

**ამ ყველაფერს მოჰყვა „თავისუფალი მსოფლიოსთვის“ დამახასიათებელი „საერთაშორისო საზოგადოების“ რეაქცია — ისლანდიაზე უპრეცენდენტო ზეწოლა განხორციელდა.** დიდი ბრიტანეთი და ჰოლანდია იმუქრებოდნენ, რომ ისლანდიური ბანკების ვალების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში დააწესებდნენ უმკაცრეს სანქციებს ისლანდიის სრულ იზოლაციამდე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი იმუქრებოდა, რომ ქვეყანას აღუკვეთავდა ყველანაირ დახმარებას. ბრიტანეთის ხელისუფლება იმუქრებოდა, რომ გაყინავდა ისლანდიის მოქალაქეთა დანაზოგებსა და მიმდინარე ანგარიშებს. მაგრამ ისლანდიელები არ დანებდნენ ზეწოლას, პრეზიდენტმა კი განაცხადა: „ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ, თუ არ მივიღებთ საერთაშორისო საზოგადოების პირობებს, ჩრდილოეთ კუბად ვიქცევით, მაგრამ, თუ ამ პირობებს მივიღებთ, მაშინ ჩრდილოეთ ჰაიტად ვიქცევით“.

**რეფერენდუმი 2010 წლის მარტში ჩატარდა. ამ რეფერენდუმზე ისლანდიელებმა გადაწყვიტეს, არ დაებრუნებინათ ფული უცხოელი კრედიტორებისთვის — ბრიტანეთისა და ნიდერლანდებისთვის — ხმის მიმცემთა 93% საბანკო ვალების გადახდის წინააღმდეგი იყო.** მსოფლიო სავალუტო ფონდმა უმალ გაყინა კრედიტირება, მაგრამ ისლანდიელებს ეს ველარ შეაჩერებდა. მოქალაქეების მხარდაჭერით სახელმწიფომ წამოიწყო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ფინანსური კრიზისის გამო. ინტერპოლმა საერთაშორისო ორდერი გასცა ბანკ Kaupthing-ის ყოფილი პრეზიდენტის — სიგურდურა ეინარსონის დასაკავებლად; სხვა ბანკირები, რომლებსაც ასევე მიუძღვოდათ წვლილი კრახში, ქვეყნიდან გაიქცნენ.

მაგრამ ისლანდიელები არც ამაზე შეჩერდნენ. გადაწყდა, მიეღოთ ახალი კონსტიტუცია, რომელიც ქვეყანას გაათავისუფლებდა საერთაშორისო ფინანსებისა და ვირტუალური ფულისგან. ამასთანავე, ისლანდიელებმა მოინდომეს, თავად დაეწერათ ახალი კონსტიტუცია და მათ ეს გამოუვიდათ! ძირითადი კანონის პროექტს წერდა 950 უბრალო მოქალაქე, რომლებიც ლატარიის სისტემით შეარჩიეს 2010 წელს ნაციონალური ასამბლეის წევრებმა.

ახალი კონსტიტუციის დასამუშავებლად ისლანდიის ხალხმა არჩევნების გზით აირჩია საკონსტიტუციო საბჭო, რომელშიც 25 მოქალაქე გაერთიანდა. უბრალო მეთევზეები, ფერმერები, დიასახლისები, ექიმები შეარჩიეს 522 ზრდასრული ადამიანიდან, რომლებიც არც ერთ პარტიას არ განეკუთვნებოდნენ და რომელთაც, მინიმუმ, 30 ასევე ჩვეულებრივი მოქალაქე უწევდათ რეკომენდაციას.

**უბრალო ისლანდიელებისგან საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებით შევიდა 3600 კომენტარი და 370 შესწორება უშუალოდ კონსტიტუციისთვის. საბჭო ყოველ კვირას აქვეყნებდა ინტერნეტში კონსტიტუციის ახალ მუხლებს საყოველთაო განხილვისთვის.** ამ განხილვისა და ექსპერტების მხრიდან დამუშავების შემდეგ საბჭო აქვეყნებდა ამა თუ იმ მუხლის საბოლოო ვარიანტს კიდევ ერთხელ განსახილველად. გარდა ამისა, თავად საბჭოს მუშაობის პროცესი ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო ინტერნეტში პირდაპირი ტრანსლაციის საშუალებით ენახა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ საბჭოს ყველა წევრმა მისცა ხმა ძირითად კანონზე მუშაობის დასრულებას. კონსტიტუცია იწყება სიტყვებით: „ჩვენ, ისლანდიის ხალხს, გვსურს, შევქმნათ სამართლიანი საზოგადოება, სადაც თითოეულ ჩვენგანს თანაბარი ადგილი ექნება საერთო მაგიდასთან“.

კონსტიტუციის პროექტის თანახმად, კუნძულის ბუნებრივი რესურსები ▶

მოკლედ

## ნიგერიაში საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციონერმა გენერალმა გაიმარჯვა

**ნიგერიის საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გენერალი მოჰამად ბუჰარი გამოაცხადა. ყოფილმა დიქტატორმა 15,4 მილიონი ხმა მიიღო, მის მოწინააღმდეგეს, პრეზიდენტ გუდლაქ ჯონათანს 13,3 მილიონმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი.** ჯონათანმა გენერალ ბუჰარის გამარჯვება უკვე მიულოცა. ეს პირველი შემთხვევაა ნიგერიის ისტორიაში, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლების ხელში ძალაუფლება დემოკრატიული არჩევნების გზით გადადის. მუსლიმი გენერალი ბუჰარი 1983 სამხედრო გადატრიალების შემდეგ 1984-85 წლებში მართავდა ქვეყანას. ჯონათანი ბუჰარის ხელისუფლებას 29 მაისს გადასცემს.



**ქრისტიანობამ ევროპას მისცა რწმენა, ინდივიდუალობა, თვითაღქმა, მიზანსწრაფვა და ნებისყოფა, რაც ეხმარებოდა მას, დაეპყრო და საკუთარ რწმენას ეზიარებინა ჩვენი მსოფლიო. ქრისტიანობამ შექმნა ევროპა. ქრისტიანობის გარდაცვალების შემდეგ კი კონტინენტი დარჩა გამაერთიანებელი პრინციპის გარეშე, თუ არ გავითვალისწინებთ დემოკრატიისადმი ცრემლიან ერთგულებას და LADOLCEVITA-ს ტკბილ ცხოვრებას.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მხოლოდ საზოგადოების საკუთრებაშია. განსაკუთრებით საყურადღებოა მუხლი, რომლის სახელწოდებაა „ღია ინფორმაცია და სიმართლე" და რომელიც ხელისუფლებას ავალდებულებს, ღიად ხელმისაწვდომი იყოს ყველა სამუშაო დოკუმენტი, რომელიც არ მოიცავს სახელმწიფოებრივ საიდუმლოს. ასევე კონსტიტუცია ხელისუფლებას ავალდებულებს, იმუშოს არა მხოლოდ ადამიანის, არამედ მიწისა და ბიოსფეროს სასარგებლოდაც. ცალკე მუხლი ეძღვნება ცხოველთა უფლებებს.

ამ ნოვატორულ დოკუმენტში ადგილი მოეძებნა ძალზე არქაულ ნორმასაც, რომელიც ევროპის კონსტიტუციათა უმეტესობიდან უკვე ამოშლილია — ისლანდიის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია ინარჩუნებს სახელმწიფოებრივ სტატუსს.

აქ უნდა აღინიშნოს მოვლენათა შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნიუანსი: საკონსტიტუციო საბჭო თავისი შემადგენლობით „ევროსოციალისტური" აღმოჩნდა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისლანდიელების უმეტესობა იზიარებს მემარცხენე შეხედულებას, არამედ ისლანდიელი მემარჯვენეების არაშორსმჭვრეტელი და უბრალოდ სულელური ქმედებების გამოც. თავის დროზე ხელისუფლებაში მყოფმა „პროგრესულმა პარტიამ" და „დამოუკიდებლობის პარტიამ" თავის მომხრეებს მოუწოდა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ საკონსტიტუციო საბჭოს არჩევისა და კონსტიტუციაზე მუშაობისთვის, და მათი ამომრჩევლები ასეც მოიქცნენ. შედეგად თავად საბჭოშიც და კონსტიტუციაშიც მემარჯვენეებისა და კონსერვატორების გავლენა მინიმალურია.

ამრიგად, **უმრავლესობა მდგომარეობის ბატონ-პატრონად იქცა საკონსტიტუციო საბჭოშიც, კონსტიტუციის შემუშავებაშიც, რეფერენდუმზე ხმის მიცემაშიც. შედეგმა იმდენად გადააჭარბა ყველანაირ მოლოდინს, რომ მსოფლიო მასმედია, უკვე ამდენი ხანია, დუმს ირლანდიის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებზე. არადა, ამ რეფერენდუმზე ხმის მიცემის უფლების მქონე მოსახლეობის 66% გამოცხადდა და მათგან 80%-ზე მეტმა მხარი დაუჭირა ახალი კონსტიტუციის პროექტს.**

მსოფლიოს ნეოლიბერალური ხელისუფლებების თვალსაზრისით, ღმერთმა არ ჰქნას, რომ ისლანდიის მაგალითს ვინმემ მიბაძოს.

ამიტომაც დუმს მსოფლიო მასმედია. მასმედია ხომ ისევე, როგორც მთავრობა და პარლამენტი, წარმოადგენს მმართველი კლასის ინტერესებს, ამ კლასს კი არც ერთ ქვეყანაში ხელს არ აძლევს, რომ უმრავლესობა დაშვებულ იქნას მართვის სადავეებთან...

**topwar.ru**

# ევროპის მომავალი წარსულშია

**როდესაც ჟან მონეს „ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება" ევროკავშირად იქცა, გამოაცხადეს, რომ დღე-დღეზე გაჩნდებოდა „ევროპის შეერთებული შტატები", აშშ-ის მსგავსად. სხვა ქვეყნები და კონტინენტები კი აუცილებლად მიბაძავდნენ ევროპის მაგალითს. გაჩნდებოდა ჩრდილოამერიკული კავშირი აშშ-ის შიგნით, კანადისა და მექსიკის კავშირები, ლათინოამერიკული კავშირი სავაჭრო გაერთიანება მერკოსურის ბაზაზე. ნაშრომში, სახელწოდებით „ევროკავშირის ექსპერიმენტი ჩაიშალა" ბრიუს ტორნტონი (ჰუვერის ინსტიტუტიდან) ირწმუნება, რომ ვერდიქტი გამოტანილია, ოცნება მოკვდა, ევროკავშირი იშლება, ერთიანი ევროპა აღსასრულს უახლოვდება.**



**ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული კრიზისია. იმისათვის, რომ ქვეყანამ განაგრძოს არსებობა, ყველა ქალმა საშუალოდ 2,1 ბავშვი უნდა გააჩინოს. ასეთი შობადობა ევროპას, უკვე 40 წელია, არ უნახავს. ახლა ეს მაჩვენებელი დაწეულია 1,6 ბავშვამდე. ევროპელები წარმოადგენენ რასას, რომელიც ბერდება, მცირდება და კვდება**

დასაწყისისთვის გადავხედოთ ეკონომიკას. 2013 წელს ევროპაში ეკონომიკის ზრდამ 1% შეადგინა, მაშინ, როდესაც აშშ-ში იგივე მაჩვენებელი 2,2% იყო. დეკემბერში ევროპაში უმუშევრობა 11,4% იყო, აშშ-ში — 5,6%. ამერიკელები შეშფოთებულები არიან რეიგანის დროიდან მოყოლებული მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ყველაზე დაბალი დონით (62,7%), ევროპაში 2013 წელს ეს მაჩვენებელი 57,5%-ს შეადგენდა.

ევროპელები კვნესიან გერმანიის მიერ თავსმოხვეული მკაცრი ეკონომიის ზომების გამო, მაგრამ ევროპის საერთო შიდა პროდუქტში სახელმწიფოს წილი 2008 წლის 45%-იანი მაჩვენებლიდან ახლანდელ 49%-მდე გაიზარდა. საბერძნეთში ის 59%-ს შეადგენს.

**ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული კრიზისია. იმისათვის, რომ ქვეყანამ განაგრძოს არსებობა, ყველა ქალმა საშუალოდ 2,1 ბავშვი უნდა გააჩინოს. ასეთი შობადობა ევროპას, უკვე 40 წელია, არ უნახავს. ახლა ეს მაჩვენებელი დაწეულია 1,6 ბავშვამდე. ევროპელები წარმოადგენენ რასას, რომელიც ბერდება, მცირდება და კვდება.**

არდაბადებული ევროპელების ადგილს იკავებენ რიცხობრივად მზარდი, ასიმილაციის არმოსურნე და უკმაყოფილო იმიგრანტი მუსლიმანები.

ისინი მოკლებულნი არიან შრომის ბაზართან წვდომას, იღებენ გულუხვ სოციალურ დახმარებას და საშუალება აქვთ, მისდიონ დემოკრატიასთან შეუთავსებელ რწმენასა და ადათს. მრავალ იმიგრანტს სძულს თავისი ახალი სამშობლო და უპირატესობას ანიჭებს რელიგიისთვის თავის მიძღვნისა და რადიკალური ისლამის გარკვეულობის მიმზიდველ ალტერნატივას.

ვიღაც ტერორიზმს მიმართავს, როგორც ალჟირული წარმომავლობის ძმები, რომლებმაც ფრანგული ჟურნალის რედაქციაში სისხლიანი სასაკლაო მოაწყვეს. „ამგვარი ძალადობა, — წერს ტორნტონი, — ასევე ღირსების მკვლელობის, ძალადობრივი ქორწინებებისა და მრავალცოლიანობის მსგავსი ზოგიერთი კულტურული ჩვეულება მუსლიმანების საწინააღმდეგო ნეგატიური პოლიტიკური რეაქციის პროვოცირებას ახდენენ".

სწრაფად ვითარდებიან პოპულისტური პარტიები — გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია ბრიტანეთში, ნაციონალური ფრონტი საფრანგეთში, ახლა უკვე „პატრიოტი ევროპელები დასავლეთის ისლამიზაციის წინააღმდეგ" — გერმანიაშიც. მალე ეს პარტიები საკმაო ძალებს მოიკრებენ, რათა მოვიდნენ ხელისუფლებაში, დააწესონ შეზღუდვები იმიგრაციაზე და ჩამოსულთა ასიმილაციას მოითხოვენ.

აი, მაგ დროს კი ნამდვილად შეიძლება, კულტურული კონფლიქტები ძალადობაში გადაიზარდოს.

ფუნდამენტური საკითხი, რომელიც ევროპული გაერთიანებისთვის პრობლემებს ქმნის 1957 წლის რომაული შეთანხმებიდან მოყოლებული ამ დრომდე, როგორც ტორნტონი წერს, შემდეგნაირად ჟღერს: „რისგან შედგება კოლექტიური მრწამსი და ღირებულებები, რომლებსაც შეუძლია ნამდვილად ევროპული საზოგადოების საფუძვლები ჩამოაყალიბოს? რისი სწამს ყველა ევროპელს?"

ევროპის ქვეყნები იკვეთებოდა ქრისტიანული რწმენის, იდეისა და იდეალების მატრიცაში, რომელიც ღვთაებრივ არსს სძენს ისეთ მცნებებს, როგორიცაა ადამიანთა უფლებები, პიროვნების ხელშეუხებლობა, პოლიტიკური თავისუფლება და თანასწორობა. დღეს ქრისტიანული რწმენა, რასაც ადრე წარმოადგენდა, იმის აჩრდილად იქცა ევროპაში.

**ევროპელები თანდათან სულ უფრო იშვიათად დადიან ეკლესიაში. მრავალ ევროპულ ტაძარში ღვთისმსახურებისას ტურისტი უფრო მეტია, ვიდრე მრევლი.** ეს სეკულარიზაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა მაშინაც, როდესაც 1887 წელს ნიცშემ წარმოთქვა თავისი ცნობილი ფრაზა: „ღმერთი დღეს არაა უფრო მეტი, ვიდრე უფერული სიტყვა, იდეაც კი არაა". დღეს ეს პროცესი პრაქტიკულად დასრულებულია და ევროპა დარჩა თავისი ისტორიული გამაერთიანებელი პრინციპის გარეშე.

პოლიტიკური რელიგიები, ისეთი, როგორიცაა კომუნიზმი, ფაშიზმი, ნაციზმი, წარმოადგენენ რწმენის სუროგატებს, რომლებმაც წარუმატებლობა განიცადეს. „ელიტურმა სოციალ-დემოკრატიამაც ვერ მისცა ადამიანებს ტრანსცენდენტალური პრინციპი, რომელიც გაამართლებდა დიდი ღმერთისათვის შეწირულ მსხვერპლს, არ მისცა მათ საკუთარი გვარის გაგრძელების საფუძველიც კი. საერთო მისწრაფება დასვენებისკენ, მოკლე სამუშაო კვირისკენ და სოციალური დახმარების გულუხვი სისტემისკენ არ წარმოადგენს იმას, რისთვისაც ღირს მოკვლა ან სიკვდილი".

ვინაა მზად, დონეცკის, ლუგანსკის ან ყირიმისათვის მოკვდეს? პაციფიზმი დღეს სხვა ყველაფერზე უფრო მომხიბვლელია. ნატოს შემადგენლობაში შემავალი ყველა მსხვილი ევროპული ქვეყნის — ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის — სამხედრო ხარჯები 2015 წლისთვის საერთო შიგა პროდუქტის 2%-ს არ აღემატება.

ერთიანი ევროპის იდეა იკვებება „პატრიოტიზმისა და ნაციონალური სიამაყის დამდაბლებით, — წერს ტორნტონი. — თუმცა, ყველა ხალხი წარმოადგენს გარკვეული კულტურის, ენის, ადათების, ტრადიციების, ისტორიის, გეოგრაფიული მდებარეობის პროდუქტს... გარკვეული საზოგადოების, რაღაც ერთიანი იდენტურობისთვის კუთვნილების ეს განცდა შეუძლებელია ერთიანი ვალუტის საშუალებით იქნეს ფორმირებული".

**ქრისტიანობამ ევროპას მისცა რწმენა, ინდივიდუალობა, თვითაღქმა, მიზანსწრაფვა და ნებისყოფა, რაც ეხმარებოდა მას, დაეპყრო და საკუთარ რწმენას ეზიარებინა ჩვენი მსოფლიო. ქრისტიანობამ შექმნა ევროპა. ქრისტიანობის გარდაცვალების შემდეგ კი კონტინენტი დარჩა გამაერთიანებელი პრინციპის გარეშე, თუ არ გავითვალისწინებთ დემოკრატიისადმი ცრემლიან ერთგულებას და LaDolceVita-ს ტკბილ ცხოვრებას.**

ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი მატულობს მთელ ევროპაში საფრანგეთიდან რუსეთამდე, რადგან თავიანთ ძველ რწმენას მოკლებული ან რწმენადაკარგული ადამიანები ეძებენ ახალ რწმენას, რომელიც აზრს, მიზანს და ენერგიას შესძენს მათ ცხოვრებას, რათა იცოდნენ, რისთვის იცხოვრონ, იბრძოლონ და მოკვდნენ.

**მუსლიმანთა ურიცხვმა რაოდენობამ თავის ძველ რწმენაში ჰპოვა ახალი რწმენა. საკუთარი რწმენისგან განდგომილი ევროპელი ქრისტიანების შთამომავლები კი ახალ რწმენას ძველ თემურ და ნაციონალურ თვითმყოფადობაში პოვებენ.**

მულტიკულტურიზმი სულ უფრო ნაკლებად ჰგავს სამომავლო პერსპექტივას.

**TheAmericanConservative**

## კენიაში უნივერსიტეტზე თავდასხმას 147 ადამიანი ემსხვერპლა

**კენიის შინაგანი პოლიტიკის მინისტრის განცხადებით, გარისას უნივერსიტეტში მძევლად აყვანილი 587 სტუდენტის გათავისუფლების ოპერაცია დასრულდა.** ოთხივე თავდამსხმელი დაიღუპა. მინისტრის თქმით, მსხვერპლის რაოდენობა 147-მდე გაიზარდა. 80 სტუდენტი დაიჭრა. 9 კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტი დედაქალაქ ნაირობიში გადაიყვანეს. ტერორისტები შეიარაღებული იყვნენ „კალაშნიკოვებით" და შაჰიდის ქამრებით. პოლიციის მიახლოების ან დაჭრის შემთხვევაში, ტერორისტები შაჰიდის ქამრებით თავს იფეთქებდნენ. შედეგად, რამდენიმე სამართალდამცველი დაიჭრა. თავდასხმა განახორციელა სომალელთა ისლამისტურმა დაჯგუფებამ „ალ-შაბაბი". კენიის ხელისუფლებამ ჯილდოდ 215 ათასი დოლარი დააწესა „ალ-შაბაბის" მეთაურზე — მოჰამედ კუნოზე. აღსანიშნავია, რომ კუნოს შეპყრობაზე ამერიკამ უკვე დააწესა 20 მილიონი დოლარი.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**30 მარტს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცენტრალური აპარატის უკრაინის განყოფილების სამმა წამყვანმა თანამშრომელმა თავი მოიკლა ლენგლიში, ვირჯინიის შტატში. ვრცელდება ხმა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უკრაინის განყოფილების თანამშრომლები ანაზღაურების ძირითად ნაწილს იღებდნენ არა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან, არამედ „დიდი საინვესტიციო კომპანიიდან“. ამ გამოძიების გამო ხომ არ იქცეოდა ასე მოკრძალებულად ოლიგარქი იგორ კოლომოისკი?**






**30 მარტს, დილით, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცენტრალური აპარატის უკრაინის განყოფილების სამმა წამყვანმა თანამშრომელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იმავე დღეს, ამ შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ, უკრაინის განყოფილების კიდევ ორმა თანამშრომელმა მოიკლა თავი.**
**კიდევ საათ-ნახევრის შემდეგ კი ამ განყოფილების 25 თანამშრომელი ლენგლის შენობის ჰოლში შეიკრიბა და ყველას არწმუნებდა, რომ მათ თვითმკვლელობა განზრახული არ აქვთ და ამაზე არასოდეს უფიქრიათ. თუმცა არაფერი უთქვამთ, რა იყო მათი 5 კოლეგის დაღუპვის მიზეზი. ლენგლიში (ვირჯინიის შტატი) ვრცელდება ხმა, რომ ცსს-ს უკრაინის განყოფილების თანამშრომლები ანაზღაურების ძირითად ნაწილს არა ცსს-დან, არამედ „ერთ-ერთი დიდი საინვესტიციო კომპანიიდან“ იღებდნენ...**

# რა აკავშირებს გერმანული თვითმფრინავის კატასტროფას ოლიგარქ კოლომოისკის დათხოვნასა და ცსს-ს 5 აგენტის თვითმკვლელობასთან

უკრაინაში სამოქალაქო ომი ახალ ფაზაში შედის. სულ უფრო მეტი სამხილები და მტკიცებულებები ჩნდება, რომ უკრაინაში ომი სულაც არ არის მსოფლიო პოლიტიკისგან დამოუკიდებელი მოვლენა და ევრაზიის გეოპოლიტიკური სტაბილურობის ნგრევის ერთიანი სცენარით გათვალისწინებული თავსატეხის უამრავი „ფაზლიდან“ (მიანმა, ჰონგკონგი, სირია, იემენი, ავღანეთი, ლიბია და ა. შ.) ერთ-ერთია. შესაბამისად, საერთო გლობალური სცენარის განვითარების მიხედვით, სცენარისტებს კორექტივები შეაქვთ უკრაინის გეგმაშიც. მიმდინარე მოვლენები თავდაპირველი გეგმის ნაწილია თუ იმპროვიზაციის შედეგი სადისკუსიო საგანია.

ეს სტრატეგიის დონეზე.

ომი უკრაინაში ახალ ფაზაში შედის **ტაქტიკურ დონეზეც.** ამაზე მიუთითებს რიგი ფაქტებისა, რომელთაც ერთი ნიშანი აერთიანებს — მიმდინარეობს ხელისუფლების ცენტრალიზაცია, როგორც დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში, ისე კიევშიც. მაგალითად, დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მეთაურმა ზახარჩენკომ რამდენიმე დღის წინათ ყველა უკანონო სამხედრო ფორმირების განიარაღებისა და ერთი სარდლობისთვის დაქვემდებარების შესახებ განაცხადა და შესაბამისი ბრძანებაც გამოსცა.

ყველა პიროვნება, რომელიც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, უკანონო ბანდფორმირების წევრად ჩაითვლება და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყება, აუცილებლობის შემთხვევაში ლიკვიდაციაც არის გათვალისწინებული.

ანალოგიური ტენდენციები დაიწყო კიევშიც: **პეტრე პოროშენკომ ამერიკელი კურატორების დახმარებით შეძლო ხელისუფლების დამოუკიდებელი წყაროს ლიკვიდაცია დნეპროპეტროვსკში — ამ ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარისა და ოლიგარქის — იგორ კოლომოისკის წინააღმდეგობის გატეხვა (გაათავისუფლა თანამდებობიდან) და ხელისუფლების ცენტრალიზების დაწყება.** მეორე მხრივ, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაქოვის ბრძანებით, **გამოცხადდა „მემარჯვენე სექტორის“ დამოუკიდებლად მოქმედი შეიარაღებული რაზმების ლიკვიდაციის შესახებ. უკრაინის ხელისუფლებამ „მემარჯვენე სექტორის“ მოხალისეთა კორპუსს შესთავაზა, შესულიყვნენ ოფიციალურ სამსახურში: ან ეროვნულ გვარდიაში, ან უკრაინის შეიარაღებულ ძალებში. კოლომოისკის წასვლისა და პოლიტიკურ სეგმენტში ერთიანობის დამკვიდრების შემდეგ უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას სურს, „არაოფიციალური“ არმიაც თავის კონტროლს დაექვემდებაროს.** „მემარჯვენე სექტორის“ მოხალისეთა კორპუსისა და მსგავსი ორგანიზაციის დაქვემდებარებით კიევი ამ ძალიან საჭირო სეგმენტზეც დაამყარებს კონტროლს. **უკრაინის ამჟამინდელ რეჟიმს მომავალში ბევრი სირთულე ელის და ქვეყანაში მძლავრი გასამხედროებული დაჯგუფების არსებობა, რომელსაც ხელისუფლება ვერ გააკონტროლებს, საფრთხეს შეუქმნის.**

ეს არის ერთი წესრიგის ტენდენციები.

ქაოსური სამოქალაქო ომი კი სისტემების ბრძოლის ფაზაში გადადის, ამიტომ **ფრონტის ორივე მხარეს ვოლუნტარიზმის ლიკვიდაცია დაიწყო. კოლომოისკის მოშორებით, აშშ-მა შეწყვიტა კიევის ხუნტის გაფაშისტებაზე ფსონის დადება და გადავიდა უკრაინის ხელისუფლების უფრო რბილ ვარიანტზე.** ცხადია, რომ ეს მოხდა რუსეთის ძლიერი პოზიციის გამო, რომელმაც განხეთქილება შეიტანა გერმანიის, საფრანგეთისა და აშშ-ის პოზიციებში უკრაინის მიმართ. შედეგად — **გერმანიამ და საფრანგეთმა უარი თქვეს სასტიკ სცენარზე (კონფლიქტის გადაზრდა მესამე მსოფლიო ომში უკრაინის ტერიტორიაზე) და კრიზისის რბილი ფორმებით გადაწყვეტა მოითხოვეს. საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციას მხარი დაუჭირა ბარაკ ობამამაც. ის აქამდე აკავებს ამერიკელ სამხედრო ლობისტებს, რომლებიც უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას მოითხოვენ.** ობამას პოზიციის საპასუხოდ, ამერიკელმა ქორებმა გერმანული ავიაკომპანიის თვითმფრინავის წინააღმდეგ პროვოკაცია განახორციელეს და ამით ყველას დაანახვეს, რომ უკან არაფერზე დაიხევენ.




გერმანიის ხელისუფლების მცდელობა, კატასტროფა ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პილოტს გადააბრალოს, აიხსნება არა მხოლოდ მისი პოლიტიკური მოუმზადებლობით (ჯერჯერობით), საჯაროდ განაცხადოს ამ ტერაქტის ნამდვილი შემკვეთების შესახებ, არამედ ფინანსური მიზეზებითაც — თავიდან აიცილოს დაღუპულთა ნათესავების საჩივრები. საფრანგეთი კი არ გაჩუმდა, რადგან რეპუტაცია შეელახა მის კორპორაცია „აერბასს“ (Airbus — მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ფრანგული ავიამშენებელი კომპანია). და, თუმცა იუმორისტული ჟურნალის პირით, მაგრამ მაინც განაცხადა თვითმფრინავის დაღუპვაში ამერიკელთა მონაწილეობაზე.

**„ამ დაწყევლილმა Merde Rikander-ებმა (მოხითხითე ნეხვებმა — ფრ.) ეს კვლავ ჩაიდინეს! მათ სინდისზე 1988 წელს ირანის Flight 655-ის კატასტროფაა *(1988 წლის 3 ივლისს ირანის ავიაკომპანია IranAir-ის თვითმფრინავი, Airbus A300B2-203, რომელიც კომერციულ რეისს ასრულებდა თეირანიდან დუბაიში, სპარსეთის ყურის თავზე ჩამოაგდო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კრეისერ „ვინსენესიდან“ გაშვებულმა რაკეტამ. დაიღუპა 290 ადამიანი, მათ შორის — 66 ბავშვი. ამერიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სამგზავრო თვითმფრინავი შეცდომით იქნა იდენტიფიცირებული, როგორც ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი F-14 (ირანის ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ ამერიკელებმა სამგზავრო თვითმფრინავი განზრახ ჩამოაგდეს — გ.გ.),* თქვენ გინდათ, ჩვენ, ფრანგებს, შანტაჟი მოგვიწყოთ იმისათვის, რომ რუსეთზე გავაძლიეროთ ზემოქმედება. Merde Rikander!“** — ოლანდის ამ იმპულსურ რეაქციას ვაშინგტონი გამოეხმაურა. პრეზიდენტი ობამა ალაპარაკდა „სრულ იმედგაცრუებასა და ნდობის ბოროტად გამოყენებაზე“, რაც ოლანდმა ჩაიდინა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ „მე-19 საუკუნის ბარბაროსული ენა“ ახსენა, ხოლო აშშ-ის ხელისუფლების მრჩეველმა გააფრთხილა ოლანდი, რომ ასეთმა რიტორიკამ შეიძლება სწრაფად გამოიწვიოს „რეჟიმის შეცვლა მშვენიერ საფრანგეთში“ ***(გერმანული გამოცემა Allgemeine Morgenpost Rundschau — amr. amronline.de).***

ეს, რა თქმა უნდა, ოლანდს არ უთქვამს, მაგრამ მომხდარის კონტექსტში ეს სულაც არ არის ფეიკი (ნაყალბევი), **ეს არის ნართაული იმაზე, რომ შემდეგ მსგავს ტერაქტზე საფრანგეთი არა იუმორისტული ჟურნალის, არამედ მაღალი რანგის მაღალჩინოსნის პირით გააკეთებს კომენტარს.** ამერიკელი ქორების მხრიდან ეს პირველი დარტყმა არ არის ფრანგებზე, გაიხსენეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, **დომენიკ სტროს-კანის,** სკანდალური გათავისუფლება თანამდებობიდან. ნავთობისა და გაზის მწარმოებელი ერთ-ერთი დიდი კომპანია „ტოტალის“ ხელმძღვანელის — **კრისტოფ დე მარჟორის** (რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთთან და ამ ქვეყნისთვის სანქციების წინააღმდეგი იყო) დაღუპვა ავიაკატასტროფაში...

**„მშვენიერ საფრანგეთში რეჟიმის შეცვლამდე“ დიდი დრო აღარ არის დარჩენილი — ოლანდმა ტოტალურად წააგო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ნიკოლა სარკოზისთან, რომელზეც კვლავ დებენ ფსონს ამერიკელები...**

30 მარტს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცენტრალური აპარატის უკრაინის განყოფილების სამმა წამყვანმა თანამშრომელმა თავი მოიკლა ლენგლიში, ვირჯინიის შტატში. ვრცელდება ხმა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უკრაინის განყოფილების თანამშრომლები ანაზღაურების ძირითად ნაწილს იღებდნენ არა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან, არამედ „დიდი საინვესტიციო კომპანიიდან“. ამ გამოძიების გამო ხომ არ იქცეოდა ასე მოკრძალებულად ოლიგარქი **იგორ კოლომოისკი?**

ამ სკანდალურ ინფორმაციას 2 საათის შემდეგ დაემატა ცნობა, რომ ცსს-ს უკრაინის განყოფილების კიდევ 2 საკადრო ოფიცერმა მოიკლა თავი. ცოტა მოგვიანებით კი ცსს-ს უკრაინის განყოფილების 25-მდე თანამშრომელი ცსს-ს შენობის ჰოლში ყველას უმტკიცებდა, რომ თვითმკვლელობა არ ჰქონდა გაზრახული. გარკვეული ხნის შემდეგ 30 მარტის ტრაგიკულ მოვლენებზე გავრცელდა ინფორმაცია: **„დასავლეთევროპელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც უკრაინაში ომის შეწყვეტას მოითხოვენ, ამერიკელ მხა-** ▶

**გვინდა, გამოვხატოთ თქვენდამი ღრმა პატივისცემა და უმორჩილესად გთხოვოთ, გაითვალისწინოთ ხალხის მოთხოვნა და შეასრულოთ თქვენი დაპირება სტალინის ძეგლის მშობლიურ ქალაქში დადგმის შესახებ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ რესთან მოლაპარაკებისას გამოთქვეს მოსაზრება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ამბოხებულები არიან არა ტერორისტები, არამედ მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი ლეგიტიმური მოქალაქეობრივი უფლებების შელახვის წინააღმდეგ იბრძვიან".**

**ასეთ რამეს საჯაროდ არ ამბობენ, მაგრამ დახურულ მოლაპარაკებებზე ევროპელებმა გადაწყვიტეს ეჩვენებინათ, რომ ამერიკელებს მათი გაცურება არ გამოუვიდათ.**

ამის საპასუხოდ დაიგეგმა სერია ოპერაციებისა, რომელთა მიზანიც იყო, ევროპისთვის დაენახვებინათ პრორუსი სეპარატისტების მხეცური სახე. დაგეგმილი იყო საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებების აფეთქება ცენტრალურ და დასავლეთ უკრაინაში — ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის ზონიდან შორს. ამ ოპერაციებს რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი უნდა მოჰყოლოდა. ამოცანის შესრულება დაავალეს ამერიკელი კერძო სამხედრო კომპანიების დაქირავებულ დივერსანტებს, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უკრაინის განყოფილებას კი ისინი ლოჯისტიკითა და დაცვით უნდა უზრუნველეყო.

ცსს-ს უკრაინის განყოფილების სამხედრო სექციის ხელმძღვანელობამ ეს გეგმა სარისკოდ ჩათვალა და მოსაზრება უფროსს მოახსენა, ვისგანაც მიიღეს ასეთი პასუხი: „შეასრულეთ, თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, რა დევს ფსონზე!"

უფროსის პასუხმა ხელქვეითი არ დააკმაყოფილა. ცსს-ს უკრაინის განყოფილებაში, სამხედროს გარდა, კიდევ რამდენი სექციაა: პოლიტიკური და ა. შ. **შეშფოთებულმა თანამშრომელმა, ყველა წესის დარღვევით, თავისი შეშფოთების მიზეზები გაანდო სხვა ორი სექციის ხელმძღვანელებს. მათ ერთობლივად გადაწყვიტეს, მიეღოთ ზომები იმისთვის, რომ სკანდალური ბრძანების შესრულება არ დაეშვათ და აშშ-ის კონგრესის სენატსაც კი მიმართეს. ცსს-ს ეს თანამშრომლები აღმოჩნდნენ პირველი „თვითმკვლელები", მაგრამ, როცა გაირკვა, რომ ინფორმაციამ უკვე გაჟონა, მათ კიდევ ორი „თვითმკვლელი" დაემატა.**

ბოლო დღეების მოვლენები კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, როგორ მჭიდროდ არის დაკავშირებული უკრაინის მოვლენები მსოფლიოში შექმნილ ვითარებასთან, რომლის შერყევასაც ამერიკელები („ომის პარტია") ყველა ხერხით ცდილობენ. მათთვის სულერთია, სად გაჩაღდება მსოფლიო ომი, რადგან მხოლოდ ასეთი ომი მისცემს აშშ-ს მსოფლიოში „ლიდერის" როლის შენარჩუნების შესაძლებლობას. ამ ომის გარეშე კი რუსეთი და ჩინეთი დაასამარებენ სისხლზე დაფუძნებულ ამერიკას და საფუძველს ჩაუყრიან ახალ მსოფლიო წესრიგს.

**საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმისა" და Allgemeine Morgenpost Rundschau-ს მასალების მიხედვით**

# დავაბრუნოთ სტალინის ძეგლი კუთვნილ ადგილას!



**სააკაშვილის რეჟიმმა 2010 წლის 21 ივნისს, ღამით, ფაშიზმზე გამარჯვების შემოქმედის — იოსებ სტალინის ძეგლი გორში ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მოხსნა. ნიშანდობლივია, რომ „ნაცმოძრაობამ" ეს ბარბაროსული აქტი გერმანელების მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღეს (1945 წლის 21 ივნისს) მიუძღვნა...**

**მას შემდეგ 5 წელიწადი გავიდა და ახლა, როცა მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების სულის ჩამდგმელის მონუმენტი, გორის მოსახლეობის მოთხოვნისა და „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო დაპირების მიუხედავად, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ძეგლს თავის ადგილას დააბრუნებდნენ, კვლავაც არ დგას კუთვნილ ადგილას. სწორედ სტალინის მონუმენტის თავის ადგილას დაბრუნებას ითხოვენ გორელები საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერმინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ ღია წერილში, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს!

მსოფლიო ემზადება მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავის აღსანიშნავად. მისი სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ქალაქ გორში დაბადებული და გაზრდილი, გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომლის სიყვარული და პატივისცემა უსაზღვროა ხალხში.

სტალინის ძეგლი, რომელიც ამაყად იდგა მისი მშობლიური გორის ცენტრში და წარმოადგენდა ხელოვნების ქმნილებას, მის მუზეუმთან ერთად უამრავ ტურისტს იზიდავდა.

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ წინა ხელისუფლებამ, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, 2010 წლის 21 ივნისს, ღამით, პოლიციის გაძლიერებული დაცვის პირობებში ბარბაროსულად მოხსნა ძეგლი, რამაც მოსახლეობის უსაზღვრო გულისწყრომა გამოიწვია.

მეორე დღეს ხალხის რისხვის შესაჩერებლად წინა დღის რიცხვით გააფორმეს გორის საკრებულოს განკარგულება №29, რომლის მიხედვითაც ძეგლი უნდა გადაეტანათ სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე (აღნიშნული განკარგულება თან ერთვის), რომელიც არ შესრულდა, რის გამოც კვლავ მივმართეთ საკრებულოს აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად.

საკრებულომ 2013 წლის 1 მარტის №1267 წერილით გვაცნობა, რომ ძეგლის დასადგმელად ბიუჯეტიდან გამოყოფილია 25 ათასი ლარი (წერილს ასლი თან ერთვის), რაც ჯერ კიდევ არ შესრულდა.

ძეგლის დადგმის იმედი კიდევ უფრო გაგვიმყარდა, როცა წინასაარჩევნო მიტინგზე ბატონი ბიძინა ივანიშვილი გორელებს შეჰპირდა, რომ სტალინის ძეგლს უთუოდ დადგამდნენ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.

ახლა, **როცა მსოფლიო აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავს, საქართველოში რატომღაც რადიკალურად შეიცვალა ამ გამარჯვების დიდი ისტორიული მნიშვნელობა და ამ გამარჯვების სულის ჩამდგმელისა და ორგანიზატორის, გენერალისიმუსი სტალინის დამსახურების რეალური სურათი.**

სტალინის ძეგლის დადგმის მოთხოვნითა და ხალხისადმი მიცემული დაპირების შესასრულებლად ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობაში ხელმოწერები, რომელსაც, იმედია, გაითვალისწინებთ.

გვინდა, გამოვხატოთ თქვენდამი ღრმა პატივისცემა და უმორჩილესად გთხოვოთ, გაითვალისწინოთ ხალხის ფართო მასების მოთხოვნა და შეასრულოთ თქვენი დაპირება სტალინის ძეგლის მშობლიურ ქალაქში დადგმის თაობაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას!

**ღრმა პატივისცემით, ორგანიზაცია „გორელების" სახელით,**

**ზაურ საგანელიძე,**
**ზურაბ წკრიალაშვილი,**
**გიორგი კანდელაკი,**
**ვახტანგ ყანჩაველი,**
**ილია ელიკაშვილი,**
**თემურ ხაჩიური,**
**ზურაბ ბიჭიკაშვილი,**
**ვალერი სუხიშვილი**




Ministry of Culture and Monument Protection of Georgia


Ministry of Culture, Monument Protection and Sports of Georgia
№ 23/13/1596

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში, ალბათ, არ მოძებნება ისეთი საზარელი უბედურების მაგალითი, როდესაც მამა თავს იკლავს იმის იმედით, რომ მის დაკრძალვაზე შემოსული ფულით შვილისთვის ოპერაციის გაკეთება მოხერხდეს. დამშეული ცოლ-შვილის უბედურების შემყურე, უმუშევრობის ბრჭყალებში მოქცეული ოჯახის შრომისმოყვარე მამა თავს იკლავს. ამ დროს მთავრობის, პარლამენტისა და პარტიების ბოსები სატელევიზიო შოუებში ტაკიმასხარაობენ და სიცილით იჭაჭებიან.**

# რუსეთი იყო იმპერია და დღევანდელი ევრო-ატლანტიკური თანამეგობრობაა ანგელოზთა ბუდე?

**რა ხდება? რა დავგმეთ და რა მოვიპოვეთ? — ვიძახეთ, რუსეთმა დამოუკიდებლობა წაგვართვაო. ლანძღვა-გინებით ავიკელით, როდესაც თვითონ რუსეთსაც ძალიან უჭირდა, იქაც ბობოქრობდა ცრუდემოკრატთა დამაქცევარი ფსიქოზი. საიდან იკვებებოდა ეს ანტიქართული, ანტირუსული და, საერთოდ, ანტიადამიანური პარაზიტი, დღევანდელი სინამდვილიდან ძნელი გამოსაცნობი არ არის.**

## ამისკენ მიისწრაფვოდა «ნაციონალი» მკბენარებით გამოხრული ქართველი ხალხი?!

ცრუდემოკრატები მომავალ თაობას ისტორიულ სინამდვილეს უმახინჯებენ, რუსეთის სასიკეთო გავლენას უმალავენ და ბოროტებით კვებავენ და გაღვივებული ანტირუსული ისტერიით საქართველოს გადაგვარება-გადაჯიშება, დაკნინება-დაქუცმაცებით ევროატლანტიკური უბედურების ყბაში საერთაშორისო თანამეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის სატყუარათი მიათრევენ.

**ახალგაზრდობამ არ იცის, ერთმორწმუნე რუსეთთან ქართველთა მეგობრულ ურთიერთობას რა სიკეთე ახლდა, მხოლოდ უარყოფითს უკეთებენ რეკლამას და უცხოეთის დავალებით რუსეთს საზარელ მტრად გვალანდებენ. საკმარისია, მასთან ურთიერთობის მოგვარებაზე ვინმემ სიტყვის თქმა გაბედოს, რომ ამ ზომბირებულთა ისეთი აღშფოთება ატყდება, ჯოჯოხეთის ქაჯთა ყაყანზე წარმოდგენა შეგექმნება.**

რუსეთთან საერთო ენის გამონახვის ნაცვლად გაზულუქებული მოზარდივით ვიბუტებით და იმას ვეხუტებით, ვინც ზიზლით გვისვამს თავზე ხელს, რათა ჩვენდა საზიანოდ შეგვაძულონ ის, ვისაც შეუძლია, ქუჩაში უპატრონოდ დარჩენილი მოზარდის მდგომარეობიდან გვიხსნას. რუსეთიც ისე იქცევა, როგორ სიტუაციაშიც ვაყენებთ. გვავიწყდება, რომ მის წინააღმდეგ შემართული ევროატლანტიკური კოალიცია თვითმკვლელ ფანატიკოსად გვიყენებს და სულაც არ ენაღვლება, თუ ამგვარ წინდაუხედაობას შევეწირებით.

**რუსეთის დაუსრულებელი ლანძღვის ფონზე მიმდინარეობს სახალხო ქონების გამნიავებელ-მომხვეჭელთა აღზევება, ხალხის უკიდურესი გაღატაკება და რატომ გვიკვირს ქვეყანაში ამდენი უბედურება?!**

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში საქართველო ინდუსტრიულ-კულტურული მიღწევებითა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობით თანამედროვე განვითარებული ქვეყნების დონეზე იყო, ევროატლანტიკელი მეგობრების დახმარებით, რეკომენდაციებითა და ჩვენი ცხოვრების მოწყობაში „კომპეტენტური“ ჩარევით კი საშინელებას ჩავეხუტეთ. მათ სულაც არ სჭირდებათ მძლავრი და აყვავებული საქართველო; გამათხოვრებულსა და დაბეჩავებულს ისე გვეპყრობიან, როგორსაც ამგვარი არსებობით ვიმსახურებთ.

რომელი ნორმალური ქვეყნის მთავრობა აიტანდა იმ შეურაცხყოფას, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების მიღებისას საქართველოს დელეგაციამ იწვნია?! **ქვეყნიდან გაქცეული, დამნაშავე და ძებნილი სააკაშვილი წინა რიგში რომ წამოასკუპეს, ესენი კიდევ დაუპატიჟებელი პრეზიდენტიანად ქანდარაზე მერცხლის ბარტყებივით იყვნენ ჩაჭედილი. მათ ეს არ აშფოთებთ, მაგრამ ქართველ ხალხს ეკადრება ამგვარი აბუჩად აგდება?!**

**ნატოს წევრი არც ერთი ძირითადი ქვეყანა აღარ დარჩა, არ ეთქვათ, სათქვენო ნატო ცხრა მთას იქითააო. ესენი კიდევ ჭირვეული ბავშვივით გაიძახიან, — ნატოში შესვლას აღარაფერი გვიკლიაო.** საინტერესოა, სად იჩეკება ამდენი დაუბუმბლავი ექსპერტი, უბოდიშოდ რომ გვიმტკიცებენ, უკვე თითქმის ნატოში ვართო. თუ ვაზიანის ბაზა და ქართველი სამხედროების სანატოე გარჯა აქვთ მხედველობაში, ნატო კი არა, რატომ იმას იქით არ არიან. სავალალო კი ის არის, რომ მათი ასეთი როკვა ქართველ ხალხს უბედურებად ექცა, საერთაშორისო თანამეგობრობის და სტრატეგიული პარტნიორობის სატყუარა ციური მანანა რომ ჰგონია.

**დაივიწყეთ, ორი მტაცებლის ყბაში მოხვედრილი დაქუცმაცებული საქართველო გაქრობის ზღვარზე რომ იყო, ხსნა საიდან მოევლინა?! ქართველთა საამაყო ერეკლე მეორე — სპარსეთის მიერ დანიშნული, ერეკლე ხანად იწოდებოდა და საქართველოც ისეთივე სახანოდ ითვლებოდა, როგორც სხვა დანარჩენი. სამხრეთში თურქები ბატონობდნენ — აჭარა და შავი ზღვის სანაპირო მათ განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთზე ლაპარაკიც არ ღირს, ყველა ცალ-ცალკე თურქეთის ყბაში ფართხალებდა. რომელი დამოუკიდებლობა წაგვართვა რუსეთმა?! ვინ ამოაძრო უკვე გადაყლაპული აჭარა თურქეთის ყბიდან? შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, იმერხევი, ოლთისი ვისი ძალისხმევით დავიბრუნეთ, რომლებიც მენშევიკური დამოუკიდებლობის დროს ისევ ჩამოგვაჭამა თურქეთმა?!** სტალინი ამ ტერიტორიებზე პრეტენზიას უყენებდა თურქეთს და, რომ არა ამერიკელების მიერ ატომური ბომბით დამუქრება, უდავოდ დაიბრუნებდა. რომელმა ევროპელმა თანამეგობარმა გააპარტყუნა ყურები, არიქა, საქართველო იღუპება და ვუშველოთო?!

ვინ ვიყავით? — აყვავებული და გამძლავრებული საქართველოს ამაყი მოქალაქენი. **ყველაზე განვითარებული სახელმწიფოების დონეზე გვქონდა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. მსოფლიოში ისმოდა ქართველი მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ასტრონომების, ბიოლოგებისა და სხვა მეცნიერთა ხმა.**

**გვქონდა ჩარხმშენებელი, მეტალურგიული, საავტომობილო, საავიაციო, რადიოელექტრონული, გემთმშენებელი, ელმავალმშენებელი და უამრავი სხვა ქარხნა, რომლებიც რუსეთის დახმარებით აშენდა. ეს საწარმოები ნედლეულითაც რუსეთიდან მარაგდებოდა და პროდუქციის გასაღების პრობლემებიც არ არსებობდა. რა იქნა? რუსეთმა წაიღო ან დაანგრია და მიწასთან გაასწორა? საკუთარი საზღვაო ფლოტი ვინ შეჭამა?! დასავლეთ საქართველოში ჩაისა და ციტრუსების წარმოების ესოდენი მომძლავრება ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში მევენახეობისა, კრედიტებით ხელშეწყობა და შემდგომში მისი გადახდის პატიება ვინმეს დაუყვედრებია?!**

**რუსეთი იყო იმპერია და დღევანდელი ევროატლანტიკური თანამეგობრობაა ანგელოზთა ბუდე?**

**უცხოელებზე ქართული მიწების გაყიდვა რუსეთმა დაგვაძალა თუ ევროატლანტიკურმა კეთილისმსურველებმა დაგიძნიეს თითი,** რასაც ამერიკელთა მსახური არასამთავროების ლავლავი და „ნაციონალთა“ შერჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თემიდას მახვილის ანტიქართული მოხმარება მოჰყვა.

იქნებ ვინმემ შეგვახსენოს შემთხვევა, რომ ქართველი ქალი, ოჯახის დედა გადახვეწილიყო რუსეთში ლოგინად ჩავარდნილი მოხუცის მოსავლელად. თმები ყალყზე დაგიდგება ევროპაში ვაი-ვაგლახით მოხვედრილი ქართველი ქალბატონების საზარელ პირობებში ტანჯვის მოსმენით.

**დამოუკიდებლობისთვის ბრძოლით დავიწყეთ და ღრიალით — „ძირს იმპერია!“ საშიში მტაცებლის ყბაში აღმოვჩნდით. ყველა სიკეთე, რომლებიც სოციალის-** ▶



გივი სომხიშვილი




**ევროატლანტიკური ლიქნი ქართველი ხალხის ნდობის დაკარგვად არ ღირს. ისე ნუ მოიქცევით, რომ თქვენი მოღვაწეობა, ქართველი ერის იმედი ვადაში გადატეხილ ხმალს დაემსგავსოს. გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ სწამთ «ოცნების» და, თუ თავგანწირულად შეუტევთ ავსა და ბოროტს, მადლიერი ქართველი ერი დიდებას და პატივს არ მოგაკლებთ**

## ბრიტანეთის დედოფლის მსახურები გაფიცვით იმუქრებიან

**ბრიტანეთის დედოფალს „სასახლის გადატრიალება“ დაემუქრა — უინძორის სამეფო რეზიდენციის თანამრომლები ხელფასის მომატებას მოითხოვენ და ამ მიზნით გაფიცვის მოწყობას გეგმავენ. დედოფლის მსახურები გაფიცვის ბედს საერთო კრებაზე კენჭისყრით გადაწყვეტენ.** ქალაქგარეთ სამეფო რეზიდენციის მომსახურე პერსონალი უკმაყოფილოა იმით, რომ ისინი არ იღებენ გასამრჯელოს ისეთი „დამატებითი მომსახურეობისთვის“, როგორიცაა ექსკურსიების მოწყობა და უცხოელი ტურისტებისთვის თარჯიმნობის გაწევა. თავის მხრივ, სასახლის წარმომადგენელი აცხადებს, რომ სასახლის თანამშრომლები „დამატებითი მომსახურეობას“ ნებაყოფლობით ახორციელებენ და მათთვის ეს სავალდებულო არ არის.



**ყველაზე განვითარებული სახელმწიფოების დონეზე გვქონდა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. მსოფლიოში ისმოდა ქართველი მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ასტრონომების, ბიოლოგებისა და სხვა მეცნიერთა ხმა. გვქონდა ჩარხმშენებელი, მეტალურგიული, საავტომობილო, საავიაციო, რადიოელექტრონული, გემთმშენებელი, ელმავალმშენებელი და უამრავი სხვა ქარხანა, რომლებიც რუსეთის დახმარებით აშენდა. ეს საწარმოები ნედლეულითაც რუსეთიდან მარაგდებოდა და პროდუქციის გასაღების პრობლემებიც არ არსებობდა. რა იქნა? რუსეთმა წაიღო ან დაანგრია და მიწასთან გაასწორა? საკუთარი საზღვაო ფლოტი ვინ შეჭამა?!**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ტურ ცხოვრებას ახლდა, იმპერიულ უბედურებად გამოვაცხადეთ, უაღრესად განვითარებული სახალხო მეურნეობა გავანადგურეთ. ეს სანაქებო ევროატლანტიკური თანამეგობრობა ერთი ქარხნის აშენებაში მაინც დაგვეხმარა, იმოქმედეთ და როგორმე სული მოითქვიო?**

სასოფლო-სამეურნეო მიწების უთავბოლო განიავებას, ქარსაფარი ზოლების გაჩეხვასა და სარწყავი სისტემების განადგურებას არ დავჯერდით და მიწაში ჩაწყობილი ლითონის მილებიც გავყიდეთ, გადავთხარეთ და გავაოხრეთ სავარგულები. რომელ დამპყრობს შეეძლო ქვეყნის ასე საშინლად დარბევა?! **სოფელი იცლება, ახალგაზრდობა უმუშევრობით სასოწარკვეთამდეა მისული და ოჯახს ვერ ეკიდება; საქართველოდან გადასახვეწ გზას ეძებს და აგერ, თურმე ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის პერსპექტივა გვქონია. გამფრთხალ ახალგაზრდობას აქ რაღა ძალა დააბრუნებს?!**

როცა საქართველოში გაყინულ ხორცს არ კადრულობდნენ, თევზის კონსერვი, საქონლის „ტუშონკა“ და ძეხვი აუარებელი იყო, რუსეთის რეგიონებში კი მხოლოდ ძვლები იყიდებოდა წვნიანი კერძის დასამზადებლად. ამგვარი სიჭარბით გაკვირვებული რუსეთიდან ექსკურსიაზე ჩამოსული მოქალაქეები შინ ამანათებით გზავნიდნენ პროდუქტებს. არადა, მეცხოველეობის პროდუქტებს საქართველო რუსეთიდან დოტაციით იღებდა, რაზეც ქართველთა უბედურებამ, კარიერისტმა და მუხთალმა შევარდნაძემ უარი თქვა და საქართველოში კარაქი ისე გაქრა, ერევნიდან დაიწყეს შემოტანა. რუსეთში ციტრუსების გაყიდვის აკრძალვით და რუსეთის ბაზრებში ქართველებზე ნადირობით ხომ გამოიჩინა თავი და მთელი თავისი კომუნისტური მოღვაწეობა ქართველი ხალხის უბედურებას მოახმარა. ჩვენ კი **ვერ შევინარჩუნეთ ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც ევროატლანტიკელმა მეგობრებმა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნეს, დაამხეს და მარიონეტი შევარდნაძე, უკვე მეორედ, საზარელ სარეველად ჩაგვითესლეს, რომლის მწარე ნაყოფით დღესაც გვიწამლავენ სიცოცხლეს „ნაციონალები“ და მათი მსგავსნი.**

ღვარძლმა, მომხვეჭელობამ, გაუმაძღრობამ, ამპარტავნობამ, შურმა, განდიდების მანიამ და ყველა მანკიერებამ განვითარებული და აყვავებული საქართველო უცხოეთის ლაქიად, გამათხოვრებულ საცოდაობად აქცია.

ვინ იყო დაინტერესებული საქართველოს ასე საზარლად გაპარტახებით? ცრუ მეგობრებმა კარგად იციან, რომ მათხოვარი იოლი სამართავია და აგერ, ჩვენი მაგალითი: **დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ქვეყნის ჯარისკაცებს ერაყში, ავღანეთსა თუ აფრიკაში აღვრევინებენ სისხლს და ერთი არ წამოსცდებათ, უნდა მოგიფრთხილდეთ, რათა წელში გაიმართოთ და ნორმალურად იცხოვროთო.** დიდ მტაცებელს ადევნებული ტურასავით დავყვებით ნატოს, რომლის სისხლიან ნაკვალევზე მხოლოდ ხალხების უბედურებაა. აგერ არის ერაყის, ლიბიის, ავღანეთისა და მთელი არაბული სამყაროს ან თუნდაც უკრაინის მაგალითი. ჩვენ კი ნატოში მიღების სურვილის ტყვეობაში ისე გავიბლანდეთ, რომ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება კი არა, რაც დავრჩით, ლამის ამაზეც ხელები დაგვაბანინონ.

თითქმის ოცდახუთი წელია, უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად დემოკრატიის ლოზუნგით ვიბრძვით და მივადექით კიდეც აქამდე არარსებულ გაჭირვებას. **მსოფლიოში, ალბათ, არ მოიძებნება ისეთი საზარელი უბედურების მაგალითი, როდესაც მამა თავს იკლავს იმის იმედით, რომ მის დაკრძალვაზე შემოსული ფულით შვილისთვის ოპერაციის გაკეთება მოხერხდეს. დამშეული ცოლ-შვილის უბედურების შემყურე, უმუშევრობის ბრჭყალებში მოქცეული ოჯახის შრომისმოყვარე მამა თავს იკლავს. ამ დროს მთავრობის, პარლამენტისა და პარტიების ბოსები სატელევიზიო შოუებში ტაკიმასხარაობენ და სიცილით იჭაჭებიან.** საქართველოს დღევანდელობის ფონზე ზღაპრული ხელფასი ეცოტავებათ და ხელფასის დანამატად წოდებულ თანხებსა და პრემიებს ისეთი რაოდენობით იღებენ, მათი სანატრელი ევროპაც კი გაოცდება. განა ამისკენ მიისწრაფვოდა „ნაციონალი“ მკბენარებით გამოხრული ქართველი ხალხი?!

**ევროატლანტიკურ მოთხოვნებზე გადასვლას ხალხის ნდობის დაკარგვა ახლავს. როგორც უნდა ელაქუცო და ინგლისურ ენაზე ჩლიქინით თავის მოწონება სცადო, ნაცისტებს მაინც ვერ გადაასწრებთ, ასე ღრმად რომ არიან შემძვრალი ევროატლანტიკურ ძაღლიშვილთა საპატიო ადგილას.** თუ ასე არ არის, კბილებით რატომ იცავენ საერთაშორისო კანონებით დამნაშავე, ომის გამჩაღებელ, საკუთარ ხალხთან მეომარ, ქართველი ხალხის დაუძინებელ მტერ სააკაშვილსა და მის ბანდას, რომელიც 8 მილიარდი დოლარით დაასაჩუქრეს ცხინვალის ავანტიურის ესოდენ ბრწყინვალედ შესრულებისთვის.

# დავივიწყეთ, ორი მტაცებლის ყბაში მოხვედრილი დაქუცმაცებული საქართველო გაქრობის ზღვარზე რომ იყო, ხსნა საიდან მოევლინა?! ქართველთა საამაყო ერეკლე მეორე — სპარსეთის მიერ დანიშნული, ერეკლე ხანად იწოდებოდა და საქართველოც ისეთივე სახანოდ ითვლებოდა, როგორც სხვა დანარჩენი. სამხრეთში თურქები ბატონობდნენ — აჭარა და შავი ზღვის სანაპირო მათ განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთზე ლაპარაკიც არ ღირს, ყველა ცალ-ცალკე თურქეთის ყბაში ფართხალებდა. რომელი დამოუკიდებლობა ნაგვართვა რუსეთმა?! ვინ ამოაძრო უკვე გადაყლაპული აჭარა თურქეთის ყბიდან? შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, იმერხევი, ოლთისი ვისი ძალისხმევით დავიბრუნეთ, რომლებიც მენშევიკური დამოუკიდებლობის დროს ისევ ჩამოგვაჭამა თურქეთმა?!

**ასე რომ, მივილტვით ევროკავშირში, რომელიც თავის სტანდარტებზე გასვლას გვავალებს, ნაციონალ დამნაშავეებს კბილებით იცავს და საქართველოს ხელისუფლებას არაფრად აგდებს, რაღა ანტიდისკრიმინაციური კანონის მიღება მოითხოვეს? ევროსტანდარტებში შედის უიმედობაში მყოფი გაჭირვებული ხალხის ფართხალი და დამშეული პენსიონერების საცოდაობა,** ისედაც მჭლე პენსია წამლებისთვის რომ ვერ გაუწვდენია? ასე უკუსვლით თუ გვპირებენ ევროკავშირში შესვლას, აფერუმ, ევროპასა და მის კავშირს „ნაცისტთა“ მეხოტბე სახალხო პარტიის თამადობით. ჯერ არ ვიცით, ასოცირების ხელშეკრულებით რა რეფორმების გატარებას ითხოვენ ჩვენგან, მაგრამ ცხადია, ანტიდისკრიმინაციური კანონის მსგავსი მარგალიტები საკმაოდ ექნებათ. **მათ პედერასტების ამქარში ყოფნა ეამაყებათ და შენ რაღაზე აჰყოლიხარ გამრუდებულ ვნებათა ხუსტურს?! რა ჯადო გაგვიკეთეს ასეთი, რომ პარლამენტში არ მოიძებნა ერთი დეპუტატი მაინც, რომელიც იტყოდა, ანტიდისკრიმინაციული კანონს, თქვენს მამიდას ასე კარგად რომ მოერგო, ჩვენი ხალხის სულს არ წავაბილწვინებთო.**

დღეს უკვე საიდუმლო აღარავისთვის არის, რომ საქართველოს ამერიკის ელჩი მართავს. ხალხი კი ბევრი საკითხის მოგვარებას „ქართულ ოცნებას“ ავალებს, მაგრამ საკითხავია — არის ხელ-ფეხგახსნილი ხელისუფლება, რომელსაც ამდენი მკბენარი დასევია და სისხლს წოვს?

ექსსაგარეო მინისტრი ქალბატონები გულს გვიხეთქავენ, არავის ვაპატიებთ ევროპის გარდა სხვა მხარეს გახედვასო. ალასანიამ ხომ დაამშვენა „ქართული ოცნება“ და მიშა მეორის იარლიყი მიისაკუთრა ამერიკელი მფარველებისგან. ქართველი ერის საამაყო მამულიშვილების — ილიას, აკაკის, ვაჟას, ლადო ასათიანის მაგინებელი და, საერთოდ, ყოველივე ქართულის უარმყოფელი **ლევან ბერძენიშვილი** პარლამენტის ტრიბუნიდან თუ ტელევიზიის ეკრანიდან თავის დეფორმირებული აზროვნების ნაყოფს რომ გვთავაზობს, გაარკვიეთ ახლა, სად მთავრდება ეს არსება და სად იწყება ნამდვილი „ქართული ოცნება“, თორემ სულაც არ გვიკვირს „ქართვლის დედის“ მაგინებელი **„ნაცისტი“ ჭიაბერიშვილისა** და მისთანების სატელევიზიო სისინი. კიდევ რამდენი პარტია და პიროვნებაა, რომელთა პარლამენტში მოხვედრა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, ახლა კი ენერგიულად „უძვრებიან“ ევროატლანტიკელ დამრიგებლებს. ან რაღა დარჩა „ქართული ოცნებიდან“?!

არც ამერიკელებს დავიწყებიათ არასაიმედოთათვის სახელმწიფო გადატრიალების ყვავილებით მოწყობის ილეთი, მათ ალასანია ჰყავთ გახუნებული და გაშიფრული მიშას მაგიერ.

კადრების შერჩევაში სერიოზული იაღლიში ბიძინა ივანიშვილს შეიძლება შეცდომად არ ჩაეთვალოს, თუ ეს პიროვნებები უცხო ძალის ზეწოლით მოახვიეს თავს. თორემ ადამიანს, რომელიც „ნიჩურტა ქართველების“ ავტორია, პრეზიდენტად არ დაგვინიშნავდა. ახლა გამოდის პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით და ქელეხის უხეირო თამადასავით ყურადღებას ითხოვს. შენც ისეთი რამ თქვი, რომ მოგისმინონ. ვიდრე პრეზიდენტად აკურთხებდნენ, ბიძინას პლასტელინივით ეგლისებოდა, გაინაღდა და აღარ სცნობს. ენდე ახლა ამგვარ კაცს! თუ ასე გინდა, განაგდე ბიძინას ნაჩუქარი და შენი ავტორიტეტით ეზიარე პრეზიდენტობას. მერე გინდ, ელ-გე-ბე-ტე ვაჟარაძესთან და გინდ, ამერიკელთა მსახურ არასამთავრობო გოგო-ბიჭებთან კონსულტაციის ანგარიშით გაგვანათლე.

ხელისუფლებას, შეიძლება, ეკონომიკური პრობლემები შეექმნას, როცა ესოდენ დამოკიდებულია საერთაშორისო სავალუტო რყევებზე — ეს გასაგებია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, ვისი ზეგავლენით ფერხდება ქართველთა სურვილი, ნაცისტების მიერ თბილისის ცენტრიდან გაძევებული ერის საამაყო მეფის — დავით აღმაშენებლის თავის ადგილზე დაბრუნება.

ფაშისტურ გერმანაზე გამარჯვების სამოცდაათ წლისთავს ნაცისტების მიერ აფეთქებული ობელისკის ადგილიდან ამ პარლამენტში იმავე ნაცისტების ბოროტი ღავლავით ვხვდებით. **მსოფლიო ზეიმობს ფაშისტური ჭირიდან ხსნის იუბილეს, ქართველმა ხალხმა ესოდენ დიდი და საამაყო წვლილი რომ შეიტანა მის განადგურებაში. თუმცა ნაცისტების მიერ ვანდალურად მოსპობილი ქართველი ხალხის საამაყო შვილების ობელისკის ცოდვიან ადგილზე სხდომების გამართვა ისე არ აშფოთებთ, როგორც ხეზე შემომჯდარ თვალებდაჭყეტილ ბუს გაცოფებულ ზღვის ტალღებს შეჭიდებული ნავის ბედი.**

**ავსტრიაში, სადაც ფაშიზმი მსოფლიოს დასაბესლად ბობოქრობდა, ნეოფაშისტებს არ აპატიეს საბჭოთა მეომრის ობელისკის საღებავით დასვრა. სიღნაღში კი ვანდალებმა მთელი ქიზიყის სიამაყე, სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის ბრწყინვალე უნიკალური ობელისკი გაანადგურეს და სხვა ღირსშესანიშნავი ძეგლებიც მიაყოლეს.**

რა შეუძლია „ქართულ ოცნებას“, როცა ევროატლანტიკურ მფარველებს ეს ნაცისტები ისევ საქართველოში ვითარების მომავალ ამრევებად წარმოუდგენიათ და სათანადოდაც აფასებენ მათ ანტიეროვნულ ღვაწლს? ესენი, სერიოზულად გაპაპაჯორებულები, მიტინგებს აწყობენ და ხელისუფლებაში დაბრუნების მუქარით გულუბრყვილო ობივატელს გულს უხეთქავენ. ტელევიზიები ხომ მათი ღვარძლის ნოტზეა აწყობილი იმ დონეზე, რომ თავიანთი ბატონობის პერიოდსაც გაასწრეს.

ახლა უკრაინაში აფრქვევენ ღვარძლსა და ბოღმას, რომელიც პლაცდარმად გაიხადეს საქართველოში რევანშის მოსაწყობად. უკრაინელი ხალხი კი მიხვდება, რა საშინელი უბედურებაც დაატყდა თავს ბანდერელი ნაცისტების პარპაშით და ამ ევროატლანტიკურ სატყუარას დამსახურებულ ადგილს მიუჩენს, მაგრამ როგორი მსხვერპლის ფასად დაუჯდებათ ნეოფაშისტი არამზადების თავხედობა, რომლის შედეგებიც მომავალ თაობას ექცევა თავის ტკივილად...

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მომაკვდავი „ნაცისტური მოძრაობის“ რეანიმაციის პროცესი. ამერიკა-ევროკავშირის ქორებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ ქართველი ხალხი არც ისეთი გულუბრყვილოა, მათი ბოროტი ხრიკები სიკეთის მაცნედ რომ მიიღოს. ვერც ენ-დი-აისა და აი-რა-ის კვლევებით ველარ აურევენ გზა-კვალს. ქართველი ხალხი თანდათან ნათლად ხედავს ამერიკელთა ბოროტ განზრახვებს. შორს აღარ არის დრო, როდესაც საქართველოდან აიკრეფენ გუდა-ნაბადს. მათი ბატონობის წლები კი ქართველი ერის ისტორიას კიდევ ერთ შავ ფურცლად შემორჩება.

„ქართულ ოცნებას“ კი მივმართავ: **ევროატლანტიკური ლიქნი ქართველი ხალხის ნდობის დაკარგვად არ ღირს. ისე ნუ მოიქცევით, რომ თქვენი მოღვაწეობა, ქართველი ერის იმედი ვადაში გადატეხილ ხმალს დაემსგავსოს. გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ სწამთ „ოცნების“ და, თუ თავგანწირულად შეუტევთ ავსა და ბოროტს, მადლიერი ქართველი ერი დიდებას და პატივს არ მოაგკლებთ.**

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი, დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი



## ერაყის ჯარებმა ტიკრიტი აიღეს

**ერაყის პრემიერმინისტრმა ჰაიდარ ალ-აბადიმ განაცხადა, რომ სახელმწიფო ჯარებმა ტიკრიტისათვის ბრძოლებში „ისლამური სახელმწიფო“ დაამარცხეს.** სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქის აღების წინ ერაყის არმიის არტილერიამ და ამერიკულმა ავიაციამ ისლამისტების პოზიციები დაბომბეს. ერაყის ხელისუფლებამ ქალაქ ტიკრიტზე კონტროლი 2014 წლის ივნისში დაკარგა. ივლისში ხელისუფლებამ ქალაქის ნაწილობრივ გაკონტროლება შეძლო, თუმცა დროებით ერაყის არმიამ მასშტაბური კონტრშეტევა და ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა თებერვლის დასაწყისში დაიწყო.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# ელადა — დასავლური ცივილიზაციის აკვანი



პართენონი

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

საბერძნეთის რესპუბლიკა — ევროპის სამხრეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ქვეყანაა. იონიისა და ეგეოსის ზღვებში აქვს 2000-მდე კუნძული, რომლებსაც ქვეყნის ტერიტორიის 20% უკავია. მათ შორის ყველაზე დიდებია კრეტა, ევბეია, როდოსი, ლესბოსი.

აღმოსავლეთით აქვს სანაპირო ეგეოსისა და ფრაკიის ზღვებში, დასავლეთით — იონიის ზღვაში, სამხრეთით — ხმელთაშუა ზღვაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ალბანეთს, მაკედონიასა და ბულგარეთს, ჩრდილო-აღმოსავლეთით — თურქეთს.

ბერძნები თავიანთ ქვეყანას, რომელიც დასავლური ცივილიზაციის აკვნად ითვლება, „ელადას" უწოდებენ. მოსახლეობა სიტყვა „საბერძნეთს" (Greco, Greek, Greece) არ აღიარებს და იყენებს მხოლოდ უცხოელებთან ურთიერთობისას.

**კლიმატი.** საბერძნეთში სამი ტიპის კლიმატია: ხმელთაშუაზღვისპირული, ალპური და ზომიერი. ზამთარში საშუალო ტემპერატურა პლუს 5 გრადუსია, ზაფხულში — პლუს 25-27.

**ფლორა.** საბერძნეთის ტერიტორიაზე ხარობს 5000-ზე მეტი სახეობის მცენარე. ყველაზე გავრცელებული და დაფასებულია ზეთისხილი. ხარობს, აგრეთვე, კვიპაროსი, ჭადარი, ფიჭვი, ფინიკის პალმა, კაკალი, თხილი და სხვ.

**ფაუნა**. ცხოველთა სამყარო არც ისე მდიდარია. ბინადრობს დათვი, ტურა, მელა, გარეული ტახი, კურდღელი, მაჩვი, აგრეთვე, ზღვის კუ და სხვ.

**საბერძნეთის ტერიტორია 131 957 კვ.კმ-ს** შეადგენს (95-ე მსოფლიოში).

უმაღლესი წერტილია **მთა ოლიმპო (2917 მ).**

უდიდესი მდინარე: **ალიაკმონი (300 კმ).**

უდიდესი ტბა: **ტრიქონისი.**

**მოსახლეობა.** 2013 წლის აღწერის შედეგების მიხედვით საბერძნეთის მოსახლეობა **10,7 მლნ კაცია** (75-ე). მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ ბერძნები (93%). ეროვნული უმცირესობებია: ალბანელები (4%, მათ შორის, არაუნტები); მაკედონიელები (1,2%); თურქები (1%); სომხები, სერბები (0,3%); არაბები (0,3%), ებრაელები (0,05%) და სხვა.

საზღვარგარეთ ცხოვრობს 4 მლნ-ზე მეტი ბერძენი, მათ შორის, 2 მლნ აშშ-სა და კანადაში.

**დედაქალაქი: ათენი (3,2 მლნ);**

**უდიდესი ქალაქები: სალონიკი** (გარეუბნებთან ერთად 1,1 მლნ); **პატრა** (212 ათასი); **ირაკლიონი** (160 ათასი).

**ოფიციალური ენა:** ბერძნული.

საბერძნეთმა **დამოუკიდებლობა მოიპოვა 1821 წლის 25 მარტს,** მანამდე შედიოდა ოსმალეთის ხალიფატის შემადგენლობაში (1458 წლიდან);

## მმართველობის ფორმა და რელიგია

საბერძნეთის რესპუბლიკა უნიტარული სახელმწიფოა, რომელიც 7 დეცენტრალიზებული ადმინისტრაციისგან, 13 რეგიონისა და 325 მუნიციპალიტეტისგან შედგება. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. ამჟამად საბერძნეთის პრეზიდენტია **პროკოფის პავლოპულოსი**, მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობს პრემიერმინისტრი **ალექსის ციპრასი**, საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა პარლამენტი, რომელიც საყოველთაო არჩევნების შედეგების მიხედვით 4 წლით ირჩევა.

**რელიგია.** საბერძნეთის მოსახლეობის უმრავლესობა (97%) ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია.

სხვა კონფესიების წარმომადგენელთა რაოდენობა ასეთია: მუსლიმები — 230 ათასი; კათოლიკები — 58 ათასი; პროტესტანტები — 40 ათასი; იუდეველები — 5 ათასი.

## ეკონომიკა

საბერძნეთის სახელმწიფო ბიუჯეტში მომსახურების მეტი შემოსავალი მომსახურების სფეროდან შედის — ტურიზმის წილი ქვეყნის შიგა ეროვნული პროდუქტში 15%-ია.

განვითარებულია საბანკო



„თეთრი კოშკი" — სალონიკის სიმბოლო

და სადაზღვევო სისტემები, მსუბუქი მრეწველობის, ნავთობქიმიური, მეტალურგიული დარგები და სოფლის მეურნეობა. საექსპორტოდ გააქვთ ბოქსიტები, ნიკელი, მარგანეცი, ტექსტილი, თამბაქო, ზეთისხილი, ბოსტნეული, ხილი (ძირითადად — ციტრუსები, ატამი და ყურძენი), მარცვლეული, კონსერვები, ზღვის პროდუქტები. ქვეყანაში მოიპოვებენ ნიკელს, რკინას, ოქროს, კობალტს, მანგანუმს, ნავთობს, ქვანახშირს, თუთიას, ურანს, ტყვიას, სპილენძს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საბერძნეთში დაწყებული ეკონომიკური კრიზისის გამო, ქვეყანამ შეიძლება უარი თქვას ევროკავშირის წევრობაზე.

**ვალუტა: ევრო.**

**ინტერნეტდომენი: gr, აგრეთვე — eu**

**სატელეფონო კოდი: +30**

**საათობრივი სარტყელი: UTC+2, ზაფხულში — UTC+3.**

## კულტურა

ბერძნული კულტურა ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა ბრინჯაოს ხანიდან (კუნძული კრეტა. 2700-1400 ჩვ. წ. აღ.) რომაელთა ბატონობის დასასრულამდე. ბერძნულ კულტურაზე, რომელიც დასავლური ცივილიზაციის აკვნად ითვლება, განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ. აღსანიშნავია ბერძნული ფილოსოფია, რომელიც ჩვ.წ.აღ. VII-VI საუკუნეში შექმნა 7 მოაზროვნემ: **თალეს მილეთელმა; სოლან ათენელმა; ბიანტმა, პიტაკმა; კლეობულმა, მისონმა და ქილონმა.** სწორედ მათი ტრადიციების გამგრძელებლები იყვნენ **სოკრატე, პლატონი** და **არისტოტელე.**



ამფითეატრი

ბერძნული **ლიტერატურა** იყოფა სამ პერიოდად: ძველბერძნული, ბიზანტიური და ახალბერძნული.

ჩვ.წ.აღ. VIII საუკუნეში ჰომეროსმა შექმნა ჰეროიკული პოემები — „ილიადა" და „ოდისეა". აღსანიშნავია ძველბერძნული დრამის შემქმნელები: **ესქილე, სოფოკლე** („ოიდიპოსი", „ანტიგონე"), **ევრიპიდე** („მედეა").

ახალბერძნულ ლიტერატურიდან გამოირჩევა **ვიცენძოს კარნაროსის** პოემა „ეროტოკრისტოსი", რომელიც 10 ათასი ლექსისგან შედგება.

თანამედროვე ბერძენი მწერლებიდან აღსანიშნავია ნობელის პრემიის ლაურეატები: **იორგოს სეფერისი** და **ოდისეას ელიტისი.**

საბერძნეთი ოლიმპისი თამაშების სამშობლოა. აქ პირველი ოლიმპიური თამაშები ჩვ.წ.აღ. VIII საუკუნეში გაიმართა საბერძნეთშივე ჩატარდა პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები 1906 წელს.

**საბერძნეთის ღირსშესანიშნაობები**: ათენში — აკროპოლისი. აკროპოლისის მუზეუმი. პართენონი. ჰეფესტოს ტაძარი. ზევსის ტაძარი, ერექტეიონი, აგორა, ნაციონალური მუზეუმი.

სალონიკში — თეთრი კოშკი. კალამბაკთან — მეტეორების წმინდა სამების სახელობის სამონასტრო კომპლექსი, ეპიდავრში — ანტიკური თეატრი. კუნძული როდოსი, სადაც აღმართული იყო მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება როდოსის კოლოსი — ჰელიოსის ქანდაკება.

## სამზარეულო

ბერძნულ კერძებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბოსტნეულს — განსაკუთრებით — ბადრიჯანს, პომიდორს, სტაფილოს, აგრეთვე, ზეთისხილს, ლობიოსა და ვაზის ფოთოლს. ბერძნები სიამოვნებით მიირთმევენ ზღვის პროდუქტებს (თევზეული, კალმახები, კრევეტები, მიდიები და სხვ.) და, რა თქმა უნდა, ხორცს (ძროხისა და ცხვრის. ნაკლებად — ღორის).

## „მუსაკა"

**ეს არის საბერძნეთში პოპულარული კერძი, რომელსაც ამზადებენ ბადრიჯანისაგან, ბოსტნეულისა და ხორცისგან.**



**ინგრედიენტები (6 ულუფისათვის):**

* ბადრიჯანი — 2 ც.
* ფარში (ხბოს ხორცის ან ხბოს და ღორის ხორცის) — 700 გრ.
* ხახვი — 1 ცალი.
* პომიდორი — 2-3 ცალი.
* თეთრი მშრალი ღვინო — 180 მლ.
* ხმელი ყველი მუსაკის ზედაპირზე მოსაყრელად — 50 გრ.
* მცენარეული ზეთი — 50 გრ.
* მარილი — 1 ჩ/კ
* პილპილი სოუსისთვის — 1 ჩ.კ.
* კარაქი — 40 გრ.
* ფქვილი — 30 გრ.
* რძე — 400 მლ
* კვერცხი — 2 ც.
* ყველი — 200 გრ.
* მუსკატის კაკალი — 0,5 ჩ/კ

**მომზადება:**

**სოუსი.** დაბალ ცეცხლზე დადგმულ ტაფაზე გაადნეთ კარაქი. დაუმატეთ ფქვილი, აურიეთ ხის კოვზით და ეს მასა ბრაწეთ დაახლოებით 1 წთ.

*ტაფა ცეცხლიდან გადადგით და ფქვილიან-კარაქიანი მასა ცოტა გააცივეთ. მომცრო ქვაბში გაათბეთ რძე (ფქვილისა და კარაქის მასა და რძის ტემპერატურა ერთნაირი უნდა იყოს).

*ტაფა ისევ დადგით დაბალ ცეცხლზე და მცირე ულუფებით დაუმატეთ რძე. თან ინტენსიურად აურიეთ.

*სოუსი ადუღეთ 5 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ კი მოაყარეთ გახეხილი ყველი და აურიეთ, ვიდრე ყველი არ გადნება. შემდეგ მოაყარეთ მარილი (გემოვნების მიხედვით), დაუმატეთ მუსკატის კაკალი და კვლავ აურიეთ. გადმოიღეთ ცეცხლიდან და გააცივეთ 5 წთ-ის განმავლობაში.

*კვერცხი ათქვიფეთ მომცრო თასში. შემდეგ კი ორ ულუფად დაუმატეთ სოუსს და აურიეთ.

* დაჭერით ხახვი ალყა-ალყა.

* პომიდვრებს გაუკეთეთ ჯვრის მსგავსი ნასერები და 1 წუთით ჩადეთ ადუღებულ წყალში. შემდეგ გადადეთ ცივ წყალში, შემოაცალეთ კანი და დაჭერით პატარა კუბებად.

* ბადრიჯანი დაჭერით თხელ ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და შეწვით ზეთმოსხმულ ტაფაზე, შემდეგ წყალში გაავლეთ და გააშრეთ.

* ტაფაზე საშუალო ცეცხლზე მოშუშეთ დაჭრილი ხახვი ზეთში, შემდე ხახვი გადმოიღეთ.

*მოუმატეთ ცეცხლს. ტაფაზე დაყარეთ ფარშის ნახევარი და შებრაწეთ. აურიეთ ხის კოვზით. შემწვარი ფარში სხვა ჭურჭელში გადაიტანეთ და დარჩენილი ფარში შებრაწეთ. უკვე მომზადებული ფარშიც (ცეცხლი მინიმუმამდე დააყენეთ) დაამატეტ და მოასხით ღვინო.

*დაუმატეთ ხახვი, პომიდვრების კუბები, პილპილი და აურიეთ, ვიდრე სითხე არ ამოშრება.

შემწვარ ბადრიჯნებს თხელ ფენად წაუსვით ფარში, მოასხით სოუსი და დააყარეთ გახეხილი ყველი. მიღებული მასა შედგით 40 წუთით აირღუმელში 180 გრადუს ტემპერატურაზე, ვიდრე კარგად არ გამოცხვება. შემდეგ გააცივეთ და მიიტანეთ სუფრაზე.

მოამზადა
**გიორგი ბერიძემ**

**ამ პერიოდში დასახულ მიზნებს მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით მიაღწევთ. ყურადღება გაამახვილეთ მთავარზე და გაითვალისწინეთ ახლობელთა რჩევები. სასიკეთო პერიოდია ტყუპის, მერწყულისა და თევზების ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**8 – 21 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

ნეიტრალური პერიოდია. თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერი მოხდება — არც დიდი გამარჯვება და არც კრახი. შეიძლება მოიწყინოთ, მაგრამ თავგადასავლების ძებნას ნუ შეეცდებით, პრობლემებს თვითონვე ნუ შეიქმნით.

ბიზნესპარტნიორებთან დელიკატურად მოიქეცით, არ გაუნაწყენდეთ მათ უნებლიე შეცდომებისა და გულმავიწყობის გამო.

სამსახურისგან თავისუფალ დროს შეეცადეთ, საშინაო საქმეებით დაკავდეთ — დაეხმაროთ მეუღლეს ან მშობლებს პრობლემების მოგვარებაში.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მშვიდად წარიმართება, თუ მის მიმართ მეტ მზრუნველობას გამოიჩენთ.

დაიცავით კვების რეჟიმი და ყურადღება მიაქციეთ სახსრებს. ივარჯიშეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღეები: 13, 17 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

დაგროვილი პრობლემების მოგვარების პერიოდია. სამსახურში შეიძლება, დაიწყოს უთანხმოება კოლეგებთან, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, თქვენი საუკეთესო თვისებები გამოავლინოთ. მხოლოდ ასე აიცილებთ თავიდან კონფლიქტს.

კუროებს, რომლებიც უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებული, დიდი ფინანსური მოგება ელით.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება. მშობლებმა კი შეიძლება, გისაყვედურონ, რომ მათ ნაკლებ ყურადღებას უთმობთ.

ნუ მიეტანებით ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღება მიაქციეთ თირკმელებს, რადგან დიდია მათი დაავადების ალბათობა!

**დადებითი დღეები: 9, 11 აპრილი.**
**უარყოფითი დღეები: 17, 18 აპრილი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

ცვლილებებისა და სასიამოვნო სიურპრიზების პერიოდია. ბიზნესის სფეროში და პირად ცხოვრებაშიც მოვლენები მოულოდნელად და საინტერესოდ განვითარდება. ამასთანავე, შეინარჩუნებთ ლიდერის როლს და ხშირად იქნებით ყურადღების ცენტრში. შეიძლება გაგიჩნდეთ დამატებითი სამუშაოს შესრულებისა და შემოსავლების მომატების შანსი, თუმცა მოგიწევთ ძველი ვალების გასტუმრებაც.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ თქვენ ხართ მართალი. გადაწყვეტილებები ყველა დეტალის კარგად გაანალიზების შემდეგ მიიღეთ.

ამ პერიოდში დიდია სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღეები: 11, 13 აპრილი.**
**უარყოფითი დღეები: 16, 18 აპრილი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

ცვლილებები გელით საქმიანობის სფეროში. მოგიწევთ, მარტო გაუმკლავდეთ პრობლემებს, რადგან მეგობრები, ყველაზე ერთგულებიც კი, თავიანთი პრობლემებით იქნებიან დაკავებულნი. მთავარია, ზუსტად განსაზღვროთ, რა გსურთ და შემდეგ თანმიმდევრულად იმოქმედოთ.

შეიძლება მიიღოთ ფინანსური დახმარება ისეთი ადამიანისგან, რომლისგანაც არ ელოდით.

დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო საყვარელი ადამიანისთვის დრო თითქმის არ დაგრჩებათ, მაგრამ ეს ცოტა დროც კი მაქსიმალურად გამოიყენეთ, რადგან დიდია ალბათობა, რომ გაგინაწყენდნენ.

თქვენს ორგანიზმზე სასიკეთოდ იმოქმედებს ფიზიკური აქტივობა და წყლის პროცედურები!

**დადებითი დღე: 13 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

ამ პერიოდში თქვენი სურვილები შესაძლებლობებს დაემთხვევა, ამიტომ გამოავლინეთ ინიციატივა და გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ.

თუმცა რეკომენდებული არ არის რისკი ფინანსურ საკითხებში. რადგან შესაძლოა, გასავლებმა შემოსავლებს გადააჭარბოს.

საყვარელ ადამიანთან, შესაძლოა, უთანხმოება შეგექმნათ, თუ მის თვალსაზრისსა და მოთხოვნებს არად ჩააგდებთ. სჯობს, მეტი გულისხმიერება გამოიჩინოთ. ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — შვილებს.

ამ პერიოდში დიდია სასუნთქი გზებისა და ფარისებრი ჯირკვლების დაავადების ალბათობა!

**დადებითი დღეები: 12, 20 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 16 აპრილი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

თქვენს სვლას დასახული მიზნებისკენ შეიძლება, იმპულსურობამ შეუშალოს ხელი. თავი შეიკავეთ კოლეგების კრიტიკისგან და შეეცადეთ, სამსახურში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში მიიღოთ მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, მიიღოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის თქვენს კარიერას. რეკომენდებული არ არის კრედიტების აღება.

მარტოხელა ქალწულები შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ. დაოჯახებულებმა კი მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ოჯახური სიმყუდროვის შენარჩუნებას.

ამ პერიოდში დიდია შარდ-სასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადებებისა და ალერგიული რეაქციების გამწვავების რისკი.

**დადებითი დღე: 12 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 16 აპრილი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

კარგი პერიოდია კარიერის კიბეზე მაღლა ასასვლელად. შეეცადეთ, ობიექტურად შეაფასოთ ვითარება და გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგების თვალსაზრისი გაითვალისწინოთ.

ენას კბილი დააჭირეთ და თქვენს გეგმებს უცხო პირებს ნუ გაანდობთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავშეკავება გამოიჩინეთ და ბევრს ნუ მოსთხოვთ. ეს კონფლიქტის მიზეზი გახდება.

დაოჯახებულ სასწორებს უძრავი ქონების გამო შეიძლება, უთანხმოება შეგექმნათ მეუღლის ნათესავებთან.

ამ პერიოდში თქვენი ყველაზე სუსტი წერტილი ფარისებრი ჯირკვლებია. ამიტომ მენიუში შეიტანეთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც მდიდარია იოდით. მაგალითად, თევზი და ზღვის კომბოსტო.

**დადებითი დღე: 9 აპრილი.**
**უარყოფითი დღეები: 17, 18 აპრილი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

შეიძლება, სამსახურში დაძაბული ვითარება შეიქმნას, რადგან თქვენი პროფესიონალური წარმატებები კოლეგებს გააღიზიანებს და არ არის გამორიცხული, ინტრიგების ხლართვა დაიწყონ. ყველაფერი იღონეთ დავალებების უნაკლოდ შესასრულებლად.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი დაანებეთ წვრილმანებში კირკიტსა და უსაფუძვლო ეჭვიანობას. ასე ყველაფერს გააფუჭებთ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ შვილებს!

დაიცავით დიეტა და მკაცრად გააკონტროლეთ იმ პროდუქტების ვარგისიანობა, რომლის გამოყენებასაც აპირებთ საკვებად, რადგან დიდია მოწამვლის ალბათობა.

**დადებითი დღეები: 13, 17 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

წარმატების მისაღწევად ახალი ცოდნის შეძენა დაგჭირდებათ, აგრეთვე, უნარების სრულყოფა, მოქმედებები გაბედული და დამაჯერებელი უნდა იყოს, ხელმძღვანელობამ რომ შეგამჩნიოთ.

ამ პერიოდში ბევრი გაუთვალისწინებელი დანახარჯი გექნებათ — ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება ახლობლებს დასჭირდეთ.

საყვარელ ადამიანს ბევრს ნუ მოსთხოვთ და შეეცადეთ, მასთან მეტი დრო გაატაროთ.

დაოჯახებული მშვილდოსნებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება ოჯახურ იდილიას. ეს მათ ყოველდღიურ პრობლემებს დაავიწყებს.

შესაძლოა, ნერვული სისტემის და მენჯ-ბარძაყის პრობლემები შეგექმნათ. არ არის გამორიცხული, ვენების ვარიკოზული გაგანიერებაც. ამის მიზეზი კი სტრესული სიტუციები იქნება. ამიტომ შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას და ვარჯიშს.

**დადებითი დღე: 13 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 20 აპრილი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

წარმატების მისაღწევად კოლეგების დახმარება დაგჭირდებათ.

გაუმართლებთ იმ თხის რქებს, რომლებიც შემოქმედებითი საქმიანობით არიან დაკავებული. ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის ახალი პროექტების დაწყება, სჯობს, ის საქმეები დაასრულოთ, რომლებიც თვითდინებაზეა მიშვებული.

თქვენი ორგანიზატორული ნიჭი საოჯახო საქმეების შესრულებაში გამოვლინდება, რითაც ოჯახის წევრებს ძალიან გაახარებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გართულებების გარეშე წარიმართება.

ამ პერიოდში მოსალოდნელია ალერგიული ქრონიკული დაავადებების გამწვავება, ამიტომ მიიღეთ ვიტამინები და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 9, 13 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

საუკეთესო პერიოდია დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად. თქვენს ნიჭსა და უნარებს ხელმძღვანელობა შეამჩნევს და შესაძლოა, დაგაწინაურონ. დაიბრუნებთ თანხას, რომელიც დიდი ხნის წინათ გაასესხეთ.

მარტოხელა მერწყულები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას დაიმსახურებენ და შესაძლოა, ცხოვრების მეგზურსაც შეხვდნენ.

დაოჯახებულ მერწყულებს უმნიშვნელო მიზეზის გამო შეიძლება ურთიერთობა დაეძაბოთ მეუღლეებთან. პრობლემა გულწრფელი საუბრით მოგვარდება.

ამ პერიოდში დიდია ტრავმის ალბათობა. ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღეები: 9, 21 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

წინ დიდი საქმეები გელით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილება და დრო მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენეთ. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანები, რომელთა გამოცდილებაც ძალიან დაგეხმარებათ ახალი პროექტების განხორციელებაში.

ეს საუკეთესო პერიოდია ოჯახის წევრებთან ერთად საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. შეეცადეთ, შეცვალოთ საცხოვრებლის ინტერიერი.

მარტოხელა თევზებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაიცნონ საპირისპირო სქესის ადამიანი, რომელთანაც ცხოვრების ბოლომდე ექნებათ ურთიერთობა.

იმუნიტეტის ასამაღლებლად იკვებეთ ვიტამინებით მდიდარი პროდუქტებით: თევზით, ნიგოზით, მწვანე ჩაითა და ა. შ. ივარჯიშეთ ან ისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღეები: 9, 13 აპრილი.**
**უარყოფითი დღეები: 17, 18 აპრილი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტერმინი „იმუნიტეტი“ პირველად 1775 წელს გამოიყენა ჰოლანდიელმა მეცნიერმა ვან სვეიტენმა, იმუნური სისტემა კი 500 მილიონი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ბუნების ეს შედევრი გვაოცებს თავისი ჰარმონიულობით და მიზანდასახულობით. სხვადასხვა დარგის მეცნიერების ძალისხმევით აიხსნა მისი ფუნქციონირების კანონზომიერებები და ბოლო 110 წლის განმავლობაში შეიქმნა მეცნიერების ახალი დარგი — სამედიცინო იმუნოლოგია.**



# ზოგი რამ იმუნიტეტის შესახებ

**იმუნიტეტი არის ორგანიზმის უნარი, შეინარჩუნოს ბიოლოგიური მთლიანობა და ინდივიდუალობა. იმუნური სისტემა პასუხისმგებელია ორგანიზმის დაცვაზე ბიოლოგიური აგრესიისგან, მისი მოქმედება მიმართულია არა მხოლოდ გარეგანი აგრესორების წინააღმდეგ, არამედ ანადგურებს გადაგვარებულ, დაბერებულ და მკვდარ უჯრედებსაც. იმუნიტეტი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, რომლითაც ბუნებამ დაგვაჯილდოვა. მისი საშუალებით ორგანიზმი შეიცნობს, გამოყოფს და ანადგურებს მასში შეღწეულ უცხო ნივთიერებებსა და მიკროორგანიზმებს და მრავალი სენისგან გვიცავს.**

იმუნიტეტი (ლათ. immunitas — რაიმესგან განთავისუფლება) გენეტიკურად უცხო ნივთიერებებისგან (ეგზოგენური – გარეგანი და ენდოგენური – შინაგანი ბუნების) ორგანიზმის დაცვის უნარს ეწოდება.

განასხვავებენ ორი სახის იმუნიტეტს: არასპეციფიკურს, ანუ თანდაყოლილს და სპეციფიკურს, ანუ შეძენილს. არასპეციფიკური იმუნიტეტი გულისხმობს დამცავ ფაქტორთა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია განსაზღვრული ტიპის დაავადების გამომწვევთა წინააღმდეგ. მაგალითად, ადამიანი შეუვალია ცხოველთა დაავადებების მიმართ, ძაღლი არასოდეს ავადდება შავი ჭირით, ხოლო კატა — ციმბირის წყლულით. სპეციფიკური, ანუ შეძენილი იმუნიტეტის ფორმირება მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხდება, როდესაც კონკრეტული ორგანიზმი განსაზღვრული გამომწვევის პირისპირ აღმოჩნდება. შეძენილი იმუნიტეტიც ორგვარია: აქტიური და პასიური. აქტიური ყალიბდება გადატანილი ინფექციური დაავადების ან ვაქცინაციის შედეგად, გამომწვევთან კონტაქტიდან 1-2 კვირის განმავლობაში და ადამიანის იმუნურ მეხსიერებაში წლობით და ათწლეულობით რჩება. პასიური იმუნიტეტი ემყარება მზა ანტისხეულების არსებობას, რომლებსაც ახალშობილი რძის მეშვეობით დედისგან იღებს, ნაყოფი კი ტრანსპლაცენტურად — უშუალოდ დედის სისხლიდან პლაცენტის გავლით. პასიური იმუნიტეტით ახალშობილის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია ძუძუთი კვების სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალშობილი პრაქტიკულად დაუცველი რჩება მრავალი ინფექციის პირისპირ. თავად მას ჯერ კიდევ არ შეუძლია ანტისხეულების გამომუშავება, რათა წინ აღუდგეს ამა თუ იმ დაავადების აღმოცენებას.

**იმუნიტეტი ორგანიზმის გენეტიკურად უცხო შეტევებისგან დაცვის უნარია. საუბარია არამხოლოდ გარეშე „მტრებზე“, როგორებიცაა ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები, პარაზიტები, ალერგენები და სხვ., არამედ საკუთარ უჯრედებზეც, რომლებიც ხშირად ორგანიზმის სერიოზულ დამაზიანებელ ფაქტორებად გვევლინებიან: კიბოს უჯრედები, აუტოანტიგენები და სხვ.**

ყველაფერი, რაც გენეტიკურად უცხოა, ორგანიზმის მტერია.

იმუნიტეტის მისია ჩვენი ორგანიზმის დაცვაა ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი სახით მოსული აგრესიისგან.

ჯანმრთელი ადამიანი ვერ ამჩნევს მის ორგანიზმში მიმდინარე „ბრძოლებს“, მაგრამ საკმარისია იმუნური სისტემა დამარცხდეს ამ ბრძოლებში, რომ ადამიანი ავადდება.

დღეს არავინ კამათობს იმაზე, რომ ჩვენი ჯანმრთელობის ძირითადი მცველი სწორედ ჩვენი იმუნიტეტია.

საკმარისია, იმუნური სისტემის მუშაობაში დარღვევა გამომჟღავნდეს, რომ ნებისმიერი უბრალო ინფექცია სასიკვდილო განაჩენად გადაიქცევა. ამის კონკრეტული მაგალითი გრიპია.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმუნური სისტემის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ჩვენი ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

**იმუნური სისტემის ფორმირება ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს იწყება. ნაყოფს დედისგან მისი ზოგიერთი მზა კომპონენტი გადაეცემა. ბავშვის დაბადების შემდეგ კი იმუნიტეტის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი დედის რძეს აკისრია. ბავშვს დაბადებისთანავე უხდება შეხება სხვადასხვა პათოგენურ მიკრობთან. იმუნური სისტემაც მაშინვე იწყებს მოქმედებას, შემდეგ კი თანდათანობით ვითარდება და ძლიერდება.**



იმუნური სისტემა ადამიანთან ერთად ყალიბდებოდა და მხოლოდ მის არსებობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ კაცობრიობამ დღევანდელ დღემდე მოაღწია. მიკროორგანიზმები დედამიწაზე ხუთი მილიარდი წლის განმავლობაში არსებობენ, ადამიანის რამდენიმე ათასწლოვანმა ევოლუციამ კი განაპირობა, რომ გარემო ზედმიწევნით ჰიგიენური გახდა. შედეგად მივიღეთ საკმაოდ უცნაური ტენდენცია — მაშინ, როდესაც ინფექციური დაავადებების რაოდენობა იკლებს, საგრძნობლად იმატებს იმუნოპათოლოგიები. ასე რომ, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, შესაძლებელია, მკვეთრად შეიცვალოს პრობლემატური დაავადებების რეიტინგი და სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციური განაწილება.

იმუნოლოგიის განვითარება უხსოვარი დროიდან დაიწყო, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობას სხვადასხვა საშიში ინფექცია მუსრს ავლებდა. მაშინ დაავადებას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ: ვინც ცოდვას მოინანიებდა, ღმერთი სასჯელს მოუხსნიდა, ანუ პაციენტი გამოჯანმრთელდებოდა, თუ — არა, დაიღუპებოდა. თანაც ადამიანები, რომლებიც დაავადებას გადაიტანდნენ, ხშირად მეორედ აღარ ინფიცირდებოდნენ. **ამ ფენომენს „იმუნიტეტი“ დაერქვა. იგი პირველად ათენში ბერძენმა ისტორიკოსმა თუკი დიდემ ძვ. წ. 430 წელს აღწერა ნაშრომში: „პელოპონესის ომის ისტორია“, რომელშიც საუბარი შავ ჭირს ეხებოდა.**

**ტერმინი „იმუნიტეტი“ პირველად 1775 წელს გამოიყენა ჰოლანდიელმა მეცნიერმა ვან სვეიტენმა, იმუნური სისტემა კი 500 მილიონი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ბუნების ეს შედევრი გვაოცებს თავისი ჰარმონიულობით და მიზანდასახულობით. სხვადასხვა დარგის მეცნიერების ძალისხმევით აიხსნა მისი ფუნქციონირების კანონზომიერებები და ბოლო 110 წლის განმავლობაში შეიქმნა მეცნიერების ახალი დარგი — სამედიცინო იმუნოლოგია.**

იმუნოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება უკავშირდება **ედვარდ ჯენერის** სახელს, რომელმაც პირველად პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე გამოიყენა აცრის მეთოდი ნატურალური ყვავილის წინააღმდეგ, შემდგომში კი ეს მეთოდი თეორიულადაც დამტკიცდა. სწორედ ჯენერის მიერ აღმოჩენილი ფაქტი დაედო საფუძვლად ლუი პასტერის ექსპერიმენტებს. ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის პრინციპები – დასუსტებული და მკვდარი გამომწვევების გამოყენებით იმუნიზაცია.

იმუნური სისტემა თავის ფუნქციას — ჰუმორულს (ანტისხეულებით განპირობებული) და უჯრედულს (T უჯრედებით განპირობებული) იმუნიტეტის მეშვეობით ახორციელებს.



როგორც ცნობილია, ორგანიზმში მრავალი სისტემა არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იმუნური სისტემაა. ადამიანის იმუნური სისტემა ორგანოებისა და ქსოვილების ერთობლიობაა. განასხვავებენ იმუნური სისტემის ცენტრალურ ორგანოებს, რომლებშიც უშუალოდ მწიფდება ლიმფოციტები, და იმუნური სისტემის პერიფერიულ ნაწილს — უკვე ფორმირებული ლიმფოციტების დეპოებს. ცენტრალური ორგანოებია: თიმუსი, ანუ მკერდუკანა ჯირკვალი; ძვლის ტვინი; მუცლადყოფნის პერიოდში აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს ნაყოფის ღვიძლი. პერიფერიული ორგანოებია: ლიმფური კვანძები; ელენთა; საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლიმფური ფოლიკულები — ტონზილები, პეიერის ფოლაქები; საკმაო ოდენობით არის ლიმფოციტები წვრილი და მსხვილი ნაწლავის ეპითელიუმსა და სეროზულ შრეშიც.

იმუნური სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის ცენტრალური და პერიფერიული ორგანოები შეთანხმებულად მუშაობენ.

იმუნური სისტემა სპეციალურ უჯრედებს (ლიმფოციტებს, T და B მაკროფაგებს) გამოიმუშავებს. ისინი განუწყვეტლივ მოძრაობენ, კარგად იციან საკუთარი ადგილი, ორგანიზმში გენეტიკურად უცხო უჯრედების — ანტიგენების აღმოჩენისთანავე მათკენ მიეშურებიან და ანადგურებენ.

გარდა ამისა, იმუნური სისტემის უჯრედები ყველა იმ ანტიგენს იმახსოვრებენ, რომლებთან შეხვედრაც უხდებათ. შედეგად ყოველი მომდევნო შეხვედრისას ორგანიზმის დამცავი რეაქცია უფრო ძლიერდება. თუმცა არსებობენ ისეთი ანტიგენები, რომლებიც ხშირად იცვლიან გენეტიკურ ინფორმაციას და იმუნური სისტემა მათ „ვერ ცნობს“, შესაბამისად, ვერც ორგანიზმის სათანადო დაცვას უზრუნველყოფს.

ძალზე საინტერესოა უკანასკნელი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომელშიც შეინიშნება მეტად უცნაური ტენდენცია. **1950 წლიდან 2000 წლამდე ჩატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ იმუნოპათოლოგიური მდგომარეობები 200-300-ჯერაა მომატებული მსოფლიოში, მაშინ, როდესაც ინფექციური დაავადებების ინტენსივობამ დროის იმავე მონაკვეთში 100-ჯერ იკლო,** ანუ ინფექციური დაავადებების კლების ფონზე მატულობს იმუნოპათოლოგიური მდგომარეობები. კვლევაზე დაწერილმა სტატიამ საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა სამედიცინო საზოგადოებაში და ბუნებრივად გაჩნდა ბევრი კითხვა.

დასკვნა საკმაოდ მარტივია. ამ დაავადებებს აბრალებენ ურბანიზაციასა და თანამედროვე მედიცინის მიღწევებს. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის აცრები. **იმუნოპათოლოგიური მდგომარეობების მატება, პირველ ყოვლისა, აღინიშნა ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც გარემო ზედმეტად ჰიგიენურია. ანუ, ადამიანმა გაწყვიტა კონტაქტი მიკროორგანიზმებთან, რომლებსაც ათასწლეულების განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა იმუნურ სისტემასთან, ამიტომ აღინიშნა გარკვეული დარღვევები ამ სისტემაში.** ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაქცინაცია შევწყვიტოთ, რადგან, ამ შემთხვევაში, ურყოფითი შედეგები გაცილებით ხშირად მჟღავნდება.

გაზაფხულზე იმუნური სისტემის ფუნქციონირება არამდგრადია, რომელიც რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ერთ-ერთი კლიმატური გარემოა. ცივი კლიმატი იმუნური სისტემის ფუნქციონირებას ასუსტებს. შედეგად, გარემოს დაბალი ტემპერატურის დროს მატულობს ინფექციური დაავადებების სიხშირე.

იმუნური სისტემის ლაბილურობა განსაკუთრებით იჩენს თავს მარტში, როცა კლიმატური პირობები ცვალებადობს. გაზაფხულზე ორგანიზმში ვიტამინების დეფიციტიცაა, რაც კვების თავისებურებით აიხსნება – წელიწადის ამ დროს ადამიანი ვერ იღებს საჭირო რაოდენობით სრულფასოვან და ბალანსირებულ საკვებს (ხილს, ბოსტნეულს). შედეგად, ორგანიზმი გაზაფხულს ვიტამინების დეფიციტით ხვდება.

ისევე, როგორც ყველაფერი, იმუნური სისტემაც სრული სიზუსტით ვერ მოქმედებს, მასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები. იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, შესაძლებელია, სამი მიმართულებით შეიცვალოს. პირველი მაშინ აღინიშნება, როდესაც იმუნური სისტემა ვერ ასრულებს თავის ფუნქციას — ადგილი აქვს მისი მუშაობის დეფიციტს. იმუნოდეფიციტური მდგომარეობა შეიძლება თანდაყოლილი ან შეძენილი იყოს. თანდაყოლილ იმუნოდეფიციტს გენეტიკური სპეციფიკურობა განაპირობებს, შეძენილს კი — საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი დაავადება – შიდსი. ორგანიზმში აივ ვირუსის შეჭრის შემდეგ ზიანდება იმუნური სისტემის ერთ-ერთი რგოლი და ადამიანი ადვილად ხელმისაწვდომი სამიზნე ხდება სხვადასხვა პათოგენური მიკროორგანიზმისთვის.

იმუნური სისტემის დარღვევის მეორე ფორმისას სისტემა ახდენს გადაჭარბებულ რეაგირებას კონკრეტულ ანტიგენზე. ასეთ დროს ვითარდება დაავადება კარგად ნაცნობი სახელწოდებით – ალერგია. ალერგია არის მომატებული მგრძნობელობა. ბევრი დაავადებაა ალერგიით გამოწვეული და მათი რაოდენობა პროგრესულად მატულობს.

დარღვევის მესამე ფორმის შემთხვევაში იმუნური სისტემა მოქმედებს გაუკუღმართებულად, რომლის გამოც ის ბრძოლას იწყებს საკუთარი ორგანიზმის წინააღმდეგ. შედეგად ვითარდება ისეთი აუტოიმუნური დაავადებები, როგორიცაა ჩიყვი, მრავლობითი სკლეროზი და სხვა მრავალი.

**იმუნური სისტემის დაქვეითების ნიშნებია:**

***ხშირი და ხანგრძლივი გაციება;**

***ქრონიკული ან განმეორებითი ინფექციური დაავადებები (ანგინა, პნევმონია, ოტიტი, ჰაიმორიტი, ნაწლავური ინფექციები, სოკოვანი დაავადებები);**

***მუდმივი მომატებული ტემპერატურა 37-38XC.**

ამ სიმპტომების არსებობისას საჭიროა იმუნური სისტემის შემოწმება. გაითვალისწინეთ, იმუნიტეტის დაქვეითება არ ვლინდება სა- ▶

**ნუ მოსწევთ. მიიღეთ ორგანიზმისთვის აუცილებელი საკვები ხილიდან, ბოსტნეულიდან, მარცვეულიდან და მოერიდეთ ცხიმებს, ივარჯიშეთ რეგულარულად, შეინარჩუნეთ წონა, აკონტროლეთ სისხლის წნევა, ზომიერად მიიღეთ ალკოჰოლი, იძინეთ საკმარისად, დაიცავით ჰიგიენის წესები, ჩაიტარეთ რეგულარი გამოკვლევები და აკონტროლეთ თქვენი ჯანრთელობა, სიფრთხილით მოეკიდეთ დიეტებს, რადგან იმუნურ სისტემასაც სჭირდება საკვები და ზოგჯერ ბევრი ავადმყოფობა არასაკმარისი და არასათანადო კვების შედეგია.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ერთო სისუსტით, ტკივილებით სხეულის სხვადასხვა ადგილას ან უსიამოვნო განცდებით.

იმუნიტეტის დაქვეითება მეტად აქტუალურია ბავშვთა ასაკში. პედიატრები გამოყოფენ ბავშვის სიცოცხლის ხუთ კრიტიკულ პერიოდს, როდესაც იმუნური სისტემა განსაკუთრებით სუსტია. ეს პერიოდებია: ახალშობილობა (პირველი 29 დღე); პერიოდი მე-3-დან მე-6 თვემდე; ორი წლის ასაკი; ასაკი 4-დან 6 წლამდე; პუბერტატული პერიოდი.

არსებობს ტერმინი „ხშირად მოავადე ბავშვი“. ის გულისხმობს ავადმყოფობას წელიწადში 4-ჯერ და მეტად, როდესაც ავადმყოფობა 2 კვირას და მეტხანს გრძელდება.

იმუნოდეფიციტურ მდგომარეობას ახასიათებს გამოხატული სიმპტომები. ამ დროს ადამიანი ძალზე ხშირად ხდება ავად ბანალური ინფექციებით. **ნორმალური იმუნური სისტემის მქონე ადამიანი წელიწადში დიდი-დიდი ორჯერ შეიძლება გახდეს ავად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექვი უნდა მივიტანოთ იმუნოდეფიციტურ მდგომარეობაზე.** ექვი ჩდება მაშინაც, როდესაც ადამიანს ხშირად უვითარდება სოკოვანი ან ჩირქოვანი ინფექცია. მიუხედავად იმისა, რომ იმუნოდეფიციტური მდგომარეობა საგრძნობლად პროგრესირებს, საბედნიეროდ, ის ჯერ არ არის ძლიერ გავრცელებული. ბავშვთა ასაკში ხშირად გვხვდება ეგრეთ წოდებული ტრანზიტული იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ნორმას უბრუნდება, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც იმუნოდეფიციტი მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევს ადამიანს და მრავალ პრობლემას უქმნის.

**იმუნური სისტემის სტატუსის განსაზღვრის მიზნით რეკომენდებულია სპეციალური გამოკვლევების ჩატარება. იმუნური სისტემის ფუნქციონირების დაქვეითებისას ინიშნება იმუნომაკორეგირებელი თერაპია მედიკამენტებით, თუმცა იმუნური სისტემის მაჩვენებლების დაქვეითებისას ეს ყოველთვის არ არის რეკომენდებული.**

პრეპარატები ხელს უწყობს იმუნური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. თერაპიის დროს ინიშნება ისეთი პრეპარატები, რომლებიც მოქმედებენ იმუნური სისტემის ამა თუ იმ რგოლზე და მის სტიმულაციას იწვევენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება: იმუნოგლობულინები, ინტერფერონები, მედიკამენტები, რომლებიც ბაქტერიების უჯრედების კომპონენტებს შეიცავს.

ვირუსული ინფექციის დროს არ არის რეკომენდებული მედიკამენტების მიღება, თუკი არ აღინიშნება ბაქტერიული გართულებები: მენინგიტი, ფილტვების ანთება, პნევმონია და სხვ. ამასთან, თუკი სხეულის ტემპერატურა 39XC-ია, რეკომენდებული არ არის სიცხის დამწევი პრეპარატების მიღება. მაღალი ტემპერატურა ვირუსებს ანადგურებს, ხოლო ანტიბიოტიკების მიღება ხელს უწყობს ორგანიზმში ბაქტერიების მდგრადი შტამების ჩამოყალიბებას. შემდეგ ანტიბიოტიკების მიღების საჭიროებისას მათი ეფექტურობა მნიშვნელოვნად მცირდება.

ვიტამინები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ისინი ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლისა და საჭმლის მონელების პროცესებს. იმუნური სისტემის მუშაობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია A და C ჯგუფის ვიტამინები. თუმცა C ვიტამინის ხშირად მიღება რეკომენდებული არ არის.

**იმუნიტეტის ამაღლების მიზნით არ არის გამართლებული სპირტიანი სასმელების მიღება. მათ ანტივირუსული მოქმედება არ გააჩნიათ. პირიქით — ასუსტებენ იმუნიტეტს.** რეკომენდებული და სასარგებლოა ნივრის მიღება. მასში შემავალი ფიტონციდები ანტივირუსული ეფექტით ხასიათდება. ძალზე სასარგებლოა ნატურალური, სუფთა ღვინო. მისი ზომიერი მიღება ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, თუმცა, გადაჭარბებული მიღების შემთხვევაში, იმუნური სისტემის ფუნქციონირების შეფერხებას იწვევს.

**დასუსტებული იმუნიტეტის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია ვიტამინების დეფიციტის შევსება, აუცილებელია სრულფასოვანი და ბალანსირებული კვება. სასურველია ფიზიკური ვარჯიში და კლიმატოთერაპია.**



ყოველდღე ორგანიზმში წარმოიქმნება 12 მილიარდი ახალი უჯრედი, მათგან 80 მილიონი მუტანტია. მათი სწრაფად აღმოჩენა და მოსპობა ევალება იმუნურ სისტემას. გარდა ამისა, ის იძულებულია, მოიგერიოს შინაგანი აგრესორები — ვირუსები, ბაქტერიები და სხვა უცხო აგენტები. განსაკუთრებით დიდი შრომა უწევს მას მწვავე რესპირატორული დაავადებების დროს. ძლიერ იმუნიტეტს შეუძლია, გაუმკლავდეს ამ სიძნელეებს, მაგრამ, თუ ის დაუძლურებულია სტრესებით, მავნე ჩვევებით, ქრონიკული დაავადებებით, მისი დამცველი შესაძლებლობებიც მცირდება.

**მიიჩნევენ, რომ სისუსტის, სწრაფი დაღლილობის, მეხსიერების დაქვეითების, ცუდი გუნება-განწყობილების მიზეზი დაბალი იმუნიტეტია და მის სტიმულირებას წამლებით იწყებენ, თუმცა ექიმები ზოგჯერ ამ ზომებისგან თავს იკავებენ და საამისოდ საკმაო მიზეზებიც აქვთ.**

სისუსტე და სხვა სეზონური უგუნებობა ყოველთვის არ არის დაკავშირებული იმუნიტეტის დაქვეითებასთან. მათ შეიძლება იწვევდეს დეპრესია, ქრონიკული ინფექციები და ვიტამინების ბანალური დეფიციტი. ამ მიზეზებს ადგენს თერაპევტი.

იმუნომოდულატორების უკონტროლოდ მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგები, მაგალითად, აუტოიმუნური დაავადებები. ამიტომაც იმუნომოდულატორების მიღებას უნდა აკონტროლებდეს ექიმი.

იმუნიტეტს ყველაზე საიმედოდ იცავს არა წამალი, არამედ ჯანმრთელი ცხოვრების წესი. სწორად კვება (იმუნიტეტისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა A, C და E ვიტამინები, რკინა და თუთია). ბევრი ისეირნეთ ჰაერზე, იმოძრავეთ, გამოიძინეთ, უარი თქვით მავნე ჩვევებზე, თავი აარიდეთ სტრესებს. გაცივების სეზონში შეიძლება მიიღოთ პოლივიტამინები, სხვადასხვა მცენარეებზე დამზადებული საშუალებებიც, თუმცა, უკეთესია წინასწარ მოეთათბიროთ ექიმს.

იმუნიტეტის გაძლიერების იდეა ძალიან მაცდურია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ამის შანსი მცირეა. იმუნური სისტემა ზუსტად რომ სისტემაა და არა ერთი ორგანიზმი, ამ სისტემას გამართული მუშაობისთვის ბალანსი და ჰარმონია სჭირდება. დღესდღეობით არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული კავშირები ადამიანის ცხოვრების სტილსა და ძლიერ იმუნურ სისტემას შორის, თუმცა ექსპერტები გულმოდგინედ იკვლევენ იმუნიტეტზე ისეთი ფაქტორების ზემოქმედებას, როგორიცაა: დიეტა, ვარჯიში, ასაკი, ფსიქოლოგიური სტრესი. რაზეც თანხმდებიან, არის ის, რომ ძლიერი იმუნიტეტის პირველი ხელშემწყობი ფაქტორი ჯანმრთელი ცხოვრების წესია.

**ნუ მოსწევთ. მიიღეთ ორგანიზმისთვის აუცილებელი საკვები ხილიდან, ბოსტნეულიდან, მარცვეულიდან და მოერიდეთ ცხიმებს, ივარჯიშეთ რეგულარულად, შეინარჩუნეთ წონა, აკონტროლეთ სისხლის წნევა, ზომიერად მიიღეთ ალკოჰოლი, იძინეთ საკმარისად, დაიცავით ჰიგიენის წესები, ჩაიტარეთ რეგულარი გამოკვლევები და აკონტროლეთ თქვენი ჯანრთელობა, სიფრთხილით მოეკიდეთ დიეტებს, რადგან იმუნურ სისტემასაც სჭირდება საკვები და ზოგჯერ ბევრი ავადმყოფობა არასაკმარისი და არასათანადო კვების შედეგია.**

**ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს და იმუნიტეტის ამაღლებას ხელს უწყობს კაკლის ფოთლების ნაყენი. აიღეთ ორი ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ფოთოლი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ერთი საათი გააჩერეთ, გადაწურეთ და სვით 1/2 ჭიქა დღეში ოთხჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე.**

იმუნიტეტის დაქვეითების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის მოშლის შემთხვევაში, ორგანიზმის მოსაძლიერებლად, წიდისგან გასაწმენდად და ათეროსკლეროზულ პროცესთა პროფილაქტიკისთვის რეკომენდებულია ტიბეტური მედიცინის შემდეგი რეცეპტი: **აიღეთ 100-100 გრამი კრაზანის ფოთლები, ნეგო, არყის კვირტი და გვირილის ყვავილი, დააქუცმაცეთ, ნარევი მოათავსეთ მინის ქილაში, მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და საღამომდე გააჩერეთ. საღამოს აიღეთ ერთი სადილის კოვზი ნარევი, დაასხით 0,5 ლიტრი მდუღარე წყალი, 20 წუთი გააჩერეთ, გადაწურეთ ტილოს ნაჭერში (და არა დოლბანდში), ნაჭერში დარჩენილი მასა მსუბუქად გაწურეთ, ერთ ჭიქა ნაყენს დაუმატეთ ერთი სადილის კოვზი თაფლი, კარგად მოურიეთ და ძილის წინ მიირთვით.** დილით შეათბეთ დარჩენილი ნაყენი, ისევ დაუმატეთ თაფლი და უზმოზე დალიეთ. ნახევარ საათში შეგიძლიათ ისაუზმოთ. ასე უნდა იმკურნალოთ, სანამ ნარევი არ გათავდება. სასურველია, თითო ასეთი კურსი 5 წელიწადში ერთხელ ჩაიტაროთ.

აიღეთ სამ-სამი წილი ბერულა და შავბალახა, ორი წილი წყლის იელი, თითო წილი მინდვრის შვიტა და ხეჭრელის ქერქი. ყველაფერი წვრილად დააქუცმაცეთ და ერთმანეთში აურიეთ. აიღეთ ორი სადილის კოვზი ნარევი, დაასხით სამი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთი. არ აგიდუღდეთ! გადმოდგით, გააჩერეთ 30 წუთი სითბოში, გადაწურეთ. მიირთვით 1/3 ჭიქა დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ.

**იმუნიტეტის ამაღლებისა და შენარჩუნების ხერხებია ცხოვრების მოწესრიგება, ვაქცინაციის სწორად ჩატარება. აუცილებელია დღის რეჟიმის დაცვა, სრულფასოვანი კვება, გაკაჟება, რეგულარული და ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, სუფთა ჰაერზე მეტხანს ყოფნა, ანტიბიოტიკებისა და სხვა მედიკამენტების გამოყენება მხოლოდ აუცილებლობისას და ექიმის მეთვალყურეობით.**

კვების მართებული რეჟიმი იმუნური სიჯანსაღის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. რეკომენდებულია საკვების მიღება ფიქსირებულ დროს დღეღამეში 4-5-ჯერ, ვახშმობა არა უგვიანეს 7-8 საათისა. რაციონი უნდა იყოს მრავალფეროვანი, ხილით, ბოსტნეულით მდიდარი. აუცილებელია ცხოველური ცილა (მჭლე ხორცი, თევზი, რძის ნაწარმი). ცილოვანი პროდუქტი დღეში 300 გრამამდე უნდა მივიღოთ, აქედან ძროხის ხორცი, ფრინველის ხორცი, თევზი, ხაჭო, ყველი — დაახლოებით 60 გრამი; დანარჩენი უნდა მოდიოდეს მცენარეული ცილის წილად.

ცილოვანი საკვების დეფიციტი მყისიერად აისახება იმუნიტეტის მდგომარეობაზე. იმუნოგლობულინები, რომლებიც ორგანიზმის სენშეუვალობას უზრუნველყოფს, სწორედ ცილოვანი ნივთიერებებია, ამიტომ მათი სინთეზისთვის ცილოვანი საკვები აუცილებელია. გარდა ამისა, უცხიმო ხორცი შეიცავს თუთიას, რომელიც ხელს უწყობს სისხლის თეთრი სხეულების გამომუშავებას, ეს უკანასკნელნი კი ჯანმრთელ უჯრედებს ვირუსებისა და მიკრობებისგან იცავენ.

**ვეგეტარიანელებისთვის თუთიის წყაროდ შეიძლება იქცეს ბურღულეული, იოგურტები, რძე, სოკო, ლოკოკინა.**

რძემჟავა პროდუქტები — ცოცხალი ბაქტერიები აფერხებენ მავნე ბაქტერიების ზრდაგამრავლებას. გარდა კეფირისა და იოგურტისა, პრობიოტიკურ პროდუქტებს მიეკუთვნება ბუნებრივი ანტიბიოტიკები, მწვანე ხახვი, ნიორი, ბანანი.

**ყვითელი ხილი და ბოსტნეული — ციტრუსები, გარგარი, სტაფილო და სხვა მდიდარია ბეტა-კაროტინით — ანტიოქსიდანტით, რომელიც A ვიტამინის წინამორბედია და რომელსაც იმუნური თვისებები აქვს. მწვანე ჩაიც მდიდარია ანტიოქსიდანტებით.**

სეზონური კვების აღმოსავლური სისტემა სამი ათასი წლის წინათ წარმოიშვა. ამ სისტემის თანახმად, წელიწადის ცივ დროს სასარგებლოა ქონი, ბეკონი, მკერდის ხორცი, თირკმელები, ბოსტნეული, მარცვლეული (ლობიო, ცერცვი), წიწიბურა, კარტოფილი. დამატებით საზამთრო პროდუქტებად მიიჩნევა ცხარე სანელებლები (აჯიკა, წიწაკა, ნიორი). ასე რომ, ზამთარი საუკეთესო დროა რომელიმე ეგზოტიკური, მაგალითად, მექსიკური სამზარეულოს ასათვისებლად.

ძველი რეცეპტი: დილაობით მიიღეთ ცოტაოდენი შავი წიწაკა 1 სუფრის კოვზ თაფლთან ერთად და ვერავითარი სიცივე და მიკრობი ვერ შეგაშინებთ! მჟავე საკვები ნეიტრალურად ითვლება, ტკბილეული კი მავნებელია, ამიტომ ნამცხვრებისა თუ კანფეტებისგან, უმჯობესია, თავი შევიკავოთ.

ვირუსებისგან საიმედოდ იცავს ცისტეინი — ნივთიერება, რომელიც ლორწოვან გარსებს გარეგანი გამღიზიანებლებისთვის შეუღწეველს ხდის. ყველაზე მეტ ცისტეინს შეიცავს თევზი, სოია, ყველი, ინდაურის ხორცი და მარცვლეული.

იმუნური სისტემის ფუნქციობისთვის აუცილებელია ცხიმიც, რადგან, საზოგადოდ, ადამიანის უჯრედების და, კერძოდ, ლიმფოციტების კედელი ლიპიდებისა და ქოლესტერინისგან არის აგებული. ამდენად, ქოლესტერინი ორგანიზმისთვის აუცილებელია. მისი წყაროა კვერცხი, ზეთი, კარაქი. უნდა ვერიდოთ სწრაფ კვებას (ფასტფუდს), კონსერვებს, ნახევარფაბრიკატებს. რძის პროდუქტებიდან რაციონში მაღალი უნდა იყოს მაწვნის, კეფირის, ყველის წილი. ეს პროდუქტები შეიცავს ბუნებრივ პრობიოტიკებს და აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ფუნქციას. მიკროელემენტების მხრივ საყურადღებოა რაციონში რკინის, იოდის, თუთიისა და სელენის შემცველობის კონტროლი.

**იმუნურ სისტემას ვნებს მუდმივი გამოუძინებლობა. რეკომენდებულია ძილი დღეღამეში 8 საათი მაინც. საუკეთესო პერიოდია 23:00-7:00. ჯანსაღი ძილისთვის აუცილებელია, საძინებელში იყოს სიჩუმე, სიბნელე და სიგრილე. ფიზიკური დატვირთვა უნდა იყოს ზომიერი, ჯანმრთელობის შესაბამისი, და არამც და არამც დამქანცველი და გამომფიტავი. ერთადერთი პირობაა დატვირთვის რეგულარულობა. დატვირთვის სახეობა ყველას შეუძლია საკუთარი გემოვნებისამებრ შეარჩიოს: სირბილი, აერობიკა, იოგა, აღმოსავლური ვარჯიშები. მაქსიმალურად უნდა ვერიდოთ სტრესს, საჭიროებისას მივმართოთ ფსიქოლოგს, ჩავიტაროთ აუტოტრენინგი, შევიქმნათ პოზიტიური განწყობა დადებითი ემოციების მოზღვავების ხარჯზე.**

ამჟამად ფარმაცევტულ ბაზარზე წარმოდგენილია ორი მიმართულების მედიკამენტები: იმუნოსტიმულატორები და იმუნომოდულატორები, მაგრამ იმუნიტეტის მედიკამენტური კორექციისთვის აუცილებელია სპეციალისტის კონსულტაცია.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## იმქვეყნიური ცხოვრების საიდუმლო ამოხსნეს



**ექიმი ებენ ალექსანდრი დიდი ხნის განმავლობაში ასწავლიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში და წარმატებული ნეიროქირურგის რეპუტაცია ჰქონდა. რაც თავი ახსოვს, ქრისტიანი იყო, მაგრამ არასოდეს სჯეროდა იმქვეყნიური ცხოვრების.** „როგორც ნეიროქირურგს, მე არ მწამდა „სხეულის გარეშე ცხოვრების“ ფენომენის. სამეცნიერო წრეში გავიზარდე. მამის კვალზე მეც აკადემიკოსი და ნეიროქირურგი გავხდი. მესმის, რაც ემართება ტვინს, როდესაც ადამიანები სიკვდილის პირას იმყოფებიან, ამიტომ ყოველთვის ვთვლიდი, რომ არსებობდა ლოგიკური ახსნა იმ ფენომენისა, რომელსაც სიკვდილს გადარჩენილი ადამიანები აღწერენ ხოლმე, რომ სხეულის გარეშე იმოგზაურეს“. თუმცა ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მამაკაცი 2008 წლის შემოდგომაზე კომაში ჩავარდა. სწორედ მაშინ, როდესაც ერთი კვირის განმავლობაში სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე იმყოფებოდა, როგორც ნეიროქირურგი ყვება, მან თავად იმოგზაურა იმქვეყნად; კონკრეტულად კი — სამოთხეში.




## ფეხსაცმელი სელფისთვის

**ამერიკულმა ბრენდმა Miz Mooz-მა სელფის გადასაღები ქალის ფეხსაცმელი გამოიგონა. ქუსლიანი ფეხსაცმელი Selfie Shoes ფირმის ონლაინმაღაზიაში 2 აპრილიდან 199 დოლარად იყიდება.**

ფეხსაცმლის ფორმა მის წინა ნაწილში მობილური ტელეფონის ჩადების საშუალებას იძლევა. ამის შემდეგ ფეხსაცმლის მფლობელს ფეხის აწევა და ხელით ფეხსაცმლის შიგნით სპეციალურ ღილაკზე დაჭერა მოუწევს, რომელიც კამერას გაააქტიურებს.

Selfi Shoes-ს საპრეზენტაციო ვიდეორგოლში მოთხრობილია, რომ ფეხსაცმლის ავტორები სელფის ჯოხებით აღფრთოვანებულები არიან, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ სიტუაციაში, სელფიფეხსაცმლისგან განსხვავებით, მათი გამოყენება რთულია.

# მკერდის კიბოს გამომწვევი მიზეზი ცნობილია



**მკერდის კიბოს დიაგნოზს ყოველწლიურად მილიონობით ქალს უსვამენ. ზოგჯერ ამ დაავადების მიზეზი გაუგებარია, ზოგჯერ კი მემკვიდრეობითი განწყობა ან ჰორმონალური დარღვევები სახელდება. მეცნიერებმა ყველაზე გავრცელებულ მიზეზად ზედმეტი წონა დაასახელეს.**



კვლევის პერიოდში გამოვლინდა, რომ კიბოს რისკი მატულობს, თუ ქალმა წონაში 18 წლის ასაკის შემდეგ მოიმატა. თურმე რამდენიმე კილოგრამსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**კლიმაქტერიულ ასაკში მყოფი 60 000 ქალის მონაცემების შესწავლით დადგინდა, წონის ნორმიდან 5% გადახრაც მენოპაუზის შემდეგ დაავადების განვითარების რისკს ზრდის. რაც უფრო მეტია წონა, მით მაღალია რისკიც.**

ამ გარემოებას ექიმები შემდეგნაირად ხსნიან: ცხიმოვანი ქსოვილი ჰორმონ ესტროგენს გამოყოფს, თუმცა მისი დამაბალანსებელი ჰორმონის, პროჟესტერონის, გამოყოფა არ შეუძლია. ამის გამო ჰორმონული ბალანსი ირღვევა და ესტროგენი დომინანტური ხდება, რაც ავთვისებიანი წარმონაქმნებისთვის ხელის შემწყობი ფაქტორია. **ქალებს, რომლებიც ახერხებენ მენოპაუზამდე დაიკლონ ან შეინარჩუნონ ოპტიმალური წონა, რისკი 40%-ით უმცირდებათ.**

დაავადების საშიშროება რომ მინიმუმამდე დაიყვანონ, ექიმები ყველა ქალს სწორ კვებას ურჩევენ. პირველი რიგის რეკომენდაციებშია ალკოჰოლის შემცირება და ვარჯიში.



## ქალური გამოგონებები

### მონოპოლია

ელიზაბეტ მეგიმ სამაგიდო თამაში „მონოპოლია“ იმისთვის შექმნა, რომ მოთამაშეებისთვის ესწავლებინა მიწის დატაცების უსამართლობა, ქირის გადახდის წამგებიანი მხარე და ზოგადად, გეორგიზმის ეკონომიური თეორია. მეგიმ სამაგიდო თამაში 1906 წელს დააპატენტა. 30 წლის შემდეგ ჩარლზ დეროუმ ახალი დიზაინი გაუკეთა თამაშს, შეცვალა ავთენტური გზავნილი და საბოლოო პროდუქტი გაყიდა, როგორც „მონოპოლია“.

### ჭურჭლის სარეცხი მანქანა

1886 წელს პირველი დაპატენტებული ჭურჭლის სარეცხი მანქანა შედგებოდა წყლის მაღალი ჭავლის, ბორბლებისა და საშრობისგან. მის გამომგონებელ ჯოზეფინ კოქრეინს თავად არასდროს გამოუყენებია ჭურჭლის სარეცხი მანქანა, მაგრამ ამ გამოგონებამ მის მსახურებს შრომა შეუმსუბუქა.

### წყალქვეშა ნავის ტელესკოპი და ლამპა

ძალიან რთულია, რაიმე ინფორმაცია მოიპოვო გამომგონებელ სარა მეზერზე. მისი ტელესკოპისა და ლამპის კომბინაცია წყალქვეშა ნავებისთვის, რომელიც 1845 წელს დააპატენტა, გამომგონებელი ქალის შესახებ საკმარის წარმოდგენას ქმნის.

### კომპიუტერები

ქალებს კომპიუტერულ მეცნიერებაში მისაბაძი მაგალითი ჰყავთ გრეის ჰოპერის სახით. 1944 წელს მან და ჰოვარდ ეიკენმა დაამზადეს ჰარვარდის „მარ 1“ კომპიუტერი, ხუთტონიანი, ოთახის ზომის მანქანა. ჰოპერმა გამოიგონა კომპიუტერი, რომელიც დაწერილს კომპიუტერულ კოდად თარგმნიდა.

### ქაღალდის ჩანთა

ამერიკამ პირველად ქაღალდის ჩანთები მაშინ იხილა, როდესაც ბამბის საწარმოში მომუშავე მარგარეტ ნაითმა 1868 წელს გამოიგონა მანქანა, რომელიც ბრტყელ მომრგვალებულ თავებს უკეთებდა ჩანთებს. თავიდან ქაღალდის ჩანთები კონვერტებს ჰგავდა. ვინმე ჩარლზ ანანიმ იდეის მოპარვა განიზრახა და ეცადა, ის პირველად დაეპატენტებინა. ნაითმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და გაიმარჯვა.

# უკაცრიელი სასტუმრო 10 000 ნომრით

**ამ სასტუმროს მცხოვრებნი არასდროს მიუღია და ამას თავის ავბედითი მიზეზი აქვს.**



გერმანიის კუნძულ რიუგენის განიერ ქვიშის პლაჟზე მსოფლიოში უდიდესი სასტუმრო მდებარეობს. დიდებულ შენობაში, რომელიც პლაჟის გასწვრივ 5 კმ-ზე და მეტადაა გადაჭიმული, 10 000 ნომერია ზღვის ხედით.

უკვე 70 წელია, რაც სასტუმრო ცარიელია. ყველაფრის მიზეზი კი ისაა, რომ ეს საზღვაო კურორტი, სახელწოდებით „პრორა“, ჰიტლერის ბრძანებით ნაცისტების მიერაა აშენებული 1936-1939 წლებში. ამ პერიოდში ჰიტლერი ომისთვის ემზადებოდა, შედეგად, მისი პრიორიტეტები შეიცვალა და სამშენებლო პროექტი საბოლოოდ ვეღარ დასრულდა.

სასტუმრო „პრორა“ განლაგებულია ფართო ყურეს ნაპირებზე ორ გერმანულ ოლქს – ზასნიცსა და ბინცს შორის ვიწრო უდაბურ ადგილზე, რომელიც ლაგუნა იასმუნდერ-ბოდენს ბალტიის ზღვისგან ყოფს.

სასტუმროს 5 კილომეტრის სიგრძის შენობა ზღვიდან 150 მეტრითაა დაშორებული.

რამდენიმე წლის განმავლობაში რეიხის ყველა უმსხვილესი სამშენებლო კომპანია და დაახლოებით 9 ათასი მუშა ამ პროექტით იყო დაკავებული.

მეორე მსოფლიოს ომის დაწყების შემდეგ მშენებლობა გაჩერდა, მუშები კი იარაღის ქარხნებში გადაისროლეს.

მოკავშირეთა მიერ დაბომბვების დროს ჰამბურგიდან უამრავმა ადამიანმა იპოვა თავშესაფარი ერთ-ერთ საცხოვრებელ ბლოკში.

ომის შემდეგ სასტუმრო „პრორას“ აღმოსავლეთ გერმანიის არმიის ერთ-ერთი ფორპოსტად იყენებდნენ, გერმანიის გაერთიანების დროს, 1990 წელს, კი ის ცარიელი იყო.

ვრცელი კომპლექსი, რომელიც 20 000 დამსვენებელზე იყო გათვლილი, ნაცისტური პროგრამის ნაწილი იყო. ამ პროგრამის მიზანი გერმანელი მუშებისთვის დასვენების საშუალების მიცემა და მათ შორის ნაცისტური პროპაგანდის გავრცელება იყო.

# თვალის ფერს ლინზების გარეშე შევიცვლით



**პლანეტის მცხოვრებთა მხოლოდ 17%-ს აქვს ცისფერი თვალები, თუმცა უახლესი ლაზერული ტექნოლოგიის მეშვეობით, ოფთალმოლოგებმა ისწავლეს ყავისფერი თვალის ფერის ცისფრად შეცვლა. იმ ექიმის თქმით, რომელიც ასეთ ოპერაციებს აკეთებს, პროცედურა 30 წამს გრძელდება და უკვე რამდენიმე დღეში პაციენტს საშუალება აქვს ახალი თვალის ფერით დატკბეს.**

ოპერაციის არსი მდგომარეობს შემდეგში: ლაზერის მეშვეობით ხდება ყავისფერი პიგმენტის, მელანინის თვალის ზედაპირიდან მოშორება და ამ პროცედურიდან რამდენიმე წამში თვალი ცისფერს იღებს.

ტექნოლოგიის ავტორი ექიმი გრეგ ჰომერი ირწმუნება, რომ ეს პროცესი სამუდამოა, ამიტომ მსურველებს, რომელთაც თვალის ფერის შეცვლა სურთ, კარგად დაფიქრება მოუწევთ, სანამ ოპერაციაზე თანხმობას განაცხადებენ.

კვლევებმა უკვე დაამტკიცა პროცედურის ეფექტურობა და უსაფრთხოება, მაგრამ მისი ჩატარება კანონიერი მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც კონკრეტული კლინიკური ცდები დასრულდება. ოპერაციის ღირებულება 5 000 დოლარი იქნება.

## ნასა ასტეროიდებიდან სასარგებლო წიაღისეულის მიღებას გეგმავს

**აშშ-ის კოსმოსური სააგენტო ასტეროიდებიდან სასარგებლო წიაღისეულის მიღებას გეგმავს. ამის თაობაზე განცხადება სააგენტოს ადმინისტრატორმა ჩარლზ ბოლდენმა გააკეთა.**

„ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც კომეციულ კომპანიებთან ერთად განხორციელდება, ასტეროიდის მიმართულების გადამისამართების მისიაა“, — განაცხადა ბოლდენმა.

ასტრონავტების ჩანაფიქრის მიხედვით, მიმართულებაშეცვლილი ციური სხეული მთვარის ორბიტაზე უნდა გაუშვან. ეს იქნება ადამიანის პირველი ჩარევა ასტეროიდის მიმართულებაში, თუმცა რისთვის გამოიყენებს ნასა ამ მიღწევას, ჯერჯერობით უცნობია. ერთ-ერთი ვერსიით, ნასა და როსკოსმოსი 2024 წლის შემდეგ ერთობლივი ორბიტული კოსმოსური სადგურის შექმნას გეგმავენ.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გერგეთის სამება National Geographic-ის საუკეთესო ფოტოებში მოხვდა

National Geographic-ის მიერ შერჩეულ მარტის საუკეთესო ფოტოებში გერგეტის სამებაც მოხვდა.

„ჩვენ დიდხანს მივყვებოდით გზას, რომელიც ფიჭვის ტყეში გადიოდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მაგრამ, როდესაც პლატოზე გამოვედით, ქარმა თითქმის მოგვცელა. ჩვენ წინ დაუჯერებელი სანახაობა გადაიშალა: ეკლესია, დათოვლილი მთების ფონზე“, — ასე აღწერს ფოტოგრაფი სურათის მშვენიერებას.



## 46 000 ჯიშის არსება გადაშენების ზღვარზეა

**დედამიწის ფაუნა შემაძრწუნებელი სიჩქარით აგრძელებს ამოწყვეტას. ამ პროცესის შედეგი შეიძლება გახდეს ახალი მასიური განადგურება.**

ცხოველების ათასობით ჯიში ქრება, მიუხედავად გარემოს შენარჩუნებისა და მოფრთხილების პოლიტიკისა, რომელსაც მხარი ბევრმა ქვეყანამ აუბა.

მსოფლიოს გარემოს დაცვის მონიტორინგის ცენტრის თანამშრომელი დერეკ ტიტენსონი აცხადებს, რომ წითელ წიგნში შესულია 46 000 სხვადასხვა ჯიშის არსება, რომლებიც გადაშენების ზღვარზე იმყოფებიან.

როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ყველაზე სახიფათო სიტუაციაში ხმელეთის მკვიდრნი არიან, რომელთა რაოდენობა და ჯიშთა მრავალფეროვნება, შესაძლოა, უახლოეს მომავალში 41%-ით შემცირდეს. მათ მოსდევს ძუძუმწოვრები — 26%, ასევე საფრთხე ფრინველების 13%-ს ემუქრება.

ცხოველების სიკვდილის მიზეზად ადამიანების ისეთი საქმიანობა სახელდება, როგორიცაა ნადირობა და, აგრეთვე, გლობალური კლიმატური ცვლილებები. 3,5 მილიარდი წლის განმავლობაში დედამიწაზე ფაუნის წარმომადგენელთა 95%-ზე მეტი განადგურდა.

## როგორ შევღებოთ სააღდგომო კვერცხი



**რასაც წელიწადში ერთხელ ვაკეთებთ, იმაში დაოსტატება იოლი არ არის, ამიტომ კვერცხის იდეალურად შესაღებად უმჯობესია სხვათა რჩევების გათვალისწინებაც.**

შესაღებად ძალიან დიდი ზომის კვერცხებს ნუ აირჩევთ. საშუალო და ოდნავ მომცრო კვერცხს უფრო გამძლე ნაჭუჭი აქვს. შესაღები ხსნარის მომზადება რამდენიმე დღით ადრე დაიწყეთ, რათა ფერი ბოლომდე გაიხსნას და კვერცხებმა უფრო მუქი შეფერილობა მიიღონ. ზემოხსენებული არ ეხება კვერცხის ხელოვნურ საღებავებს, ისინი გაცილებით სწრაფად იხსნება, თუმცა გირჩევთ, ტრადიციული და ნატურალური ინგრედიენტები გამოიყენოთ.



**დაჩეჩქვეთ 2-3 კონა ენდროს ფესვები და მოათავსეთ დაახლოებით 5 ლიტრის მოცულობის ემალირებულ ჭურჭელში (გაითვალისწინეთ, ამ ჭურჭელს ენდროს ფერს ველარ გააცლით). დაამატეთ ხახვის ფურცელი იმდენი, რომ ენდროსა და ფურცლის წილი 2:1 იყოს. ამ მასას დაასხით წყალი და დადგით ცეცხლზე. ადუღეთ დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში. პერიოდულად ამატეთ ხარშვისას დაკლებული წყალი. გააცივეთ და ისევ დადგით მოსახარშად. ასე გაიმეორეთ 3-ჯერ.**

გაცივებულ ხსნარში ჩააწყვეთ კვერცხები. ეცადეთ, მოხერხებულად მოათავსოთ ენდროს ძირებსა და ხახვის ფურცლების მასაში. კვერცხები მაცივრიდან ერთი საათის გამოღებული მაინც უნდა იყოს, ანუ კვერცხის და ხსნარის ტემპერატურა ერთნაირი უნდა იყოს.

დადგით დაბალ ცეცხლზე. უნდა იხარშოს 10-15 წუთის განმავლობაში. თუ ხსნარში 1 სადილის კოვზ მარილს ჩაყრით, კვერცხების დასკდომის შანსი კიდევ უფრო შემცირდება. მოხარშვის შემდეგ ცეცხლი ჩააქრეთ, მაგრამ მაშინვე ნუ ამოიღებთ კვერცხებს ქვაბიდან. 15-20 წუთით შიგნით დატოვეთ. ამის შემდეგ ამოალაგეთ, ცივი წყალი გადაავლეთ და, რომ შეშრება, ჯეჯილში ჩააგორეთ.

## ცუკერბერგი ტელეპორტირების სადგურს ქმნის



**„ფეისბუქის“ დამაარსებელმა მარკ ცუკერბერგმა სან ფრანცისკოში ყოველწლიურ კონფერენციაზე სოციალური ქსელის განახლებაზე ისაუბრა. ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ტელეპორტირების სადგური, რომელიც „ფეისბუქმა“ „ოკულუსთან“ ერთად შეიმუშავა.** ცუკერბერგის თქმით, „ფეისბუქი“ მალე დაიწყებს სამგანზომილებიანი ვიდეოების შემუშავებას, რომელთა ნახვაც ვირტუალური რეალობის სათვალით იქნება შესაძლებელი.

ამისთვის კომპანია აპირებს, შექმნას სპეციალური ვიდეოფლეერი. როგორც ცუკერბერგი ყვება, მომხმარებლები შეძლებენ „ფეისბუქიდან“ ვიდეოების სხვა საიტებზე გადატანასაც. „ფეისბუქმა“, აგრეთვე, წარადგინა უფასო პლატფორმა „ფეისბუქ ანალიტიკსი“, რომელიც საშუალებას მისცემს კომერციულ გვერდებს, გამოიკვლიონ სარეკლამო კომპანიების ეფექტურობა და განსაზღვრონ მომხმარებლების ინტერესები.

აგრეთვე, იგეგმება მრავალი ნოვაციური პროექტი, როგორიცაა ინტერნეტით კარის საკეტების აქტივაცია და კვამლის დეტექტორის თვალყურის დევნება.



## ბრაზილიელი მილიარდერი საყვარელ ნივთებს საიქიოში გზავნის



**62 წლის ბრაზილიელი მილიარდერი კაუნთ ჩიკინ ოსკრაპა ასაკის მატებასთან ერთად სიკვდილის შიშმა შეიპყრო.**

მან გადაწყვიტა, ეგვიპტელ ფარაონებს მიბაძოს და საყვარელი ნივთები საიქიოში გაიყოლოს.

პირველ რიგში საკუთარ ავტომობილს დაადგა თვალი და ნახევარ მილიონ დოლარად შეფასებული Bentley Continental Flying საიქიოს გაისტუმრა.

ახირებულმა მილიარდერმა საყვარელი ავტო საკუთარი სახლის უკანა ეზოში ჩამარხა, სადაც სიკვდილის შემდეგ თავადაც აპირებს სამუდამოდ დამკვიდრებას.



# რონ პოლი: დადგა დრო, ბოლო მოეღოს საერთაშორისო სავალუტო ფონდს!

**„დადგა დრო, ბოლო მოეღოს საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ისევე, როგორც ამერიკის ეკონომიკური ექსპანსიონიზმის სხვა ინსტრუმენტებს“, — წერს ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი 1988 წელს, ამჟამად აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი რონ პოლი თავისი სახელობის ინსტიტუტის ვებგვერდზე — ronpaulinstitute.org.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამერიკელი გადასახადის გადამხდელთა ფულს იმისთვის იყენებს, რომ მხარი დაუჭიროს ეკონომიკურად სუსტ, არასიცოცხლისუნარიან, ხშირად კორუფციაში ჩაფლულ მთავრობებს. ეს ამახინჯებს ბაზარს, არავითარი სარგებელი არ მოაქვს ამერიკელებისთვის, და ვნებს იმ რეგიონების მოსახლეობას, რომლებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეხმარება.

რადგან ფონდი მეტწილად აშშ-დან ფინანსდება, ლოგიკურია, რომ ის თავის მოქმედებას აშშ-ის საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს შეუსაბამებს.



პასუხისმგებლობის მქონე არც ერთი საფინანსო ინსტიტუტი არავის მისცემს 17 და 40-მილიარდიან კრედიტს მსესხებელს, რომელიც უკვე აღებულ მრავალმილიარდიან კრედიტსაც ვერ ფარავს. მაგრამ სწორედ ასე მოიქცა გასულ თვეს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როცა უკრაინას ახალი კრედიტი გამოუყო. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ფული უკრაინას ვერ დაეხმარება კრიზისის დაძლევაში, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით— უზრუნველყოფს აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის წინსვლას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირება შეუძლებელია კაპიტალის გადანაწილების შეცვლის ფორმით, იმიტომ, რომ მისი დაფინანსების წყაროები კერძო კომპანიებია. ამიტომ საჭიროა ამ სტრუქტურის ლიკვიდაცია ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებისა, რომლებიც ამერიკის ეკონომიკური ექსპანსიონიზმის პოლიტიკას ემსახურებიან და მსოფლიო ეკონომიკას მართავენ“, — წერს რონ პოლი.



# უკრაინის პარლამენტის დეპუტატებმა პრემიერმინისტრ იაცენიუკის გადადგომა მოითხოვეს

**უკრაინის პარლამენტის დეპუტატებმა სხდომათა დარბაზში ტრიბუნასთან მისასვლელი გადაკეტეს მოთხოვნით, პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია მთავრობაში კორუფციის ფაქტების გამოსავლენად.** უკრაინელმა დეპუტატებმა, აგრეთვე, მოითხოვეს პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკის პოსტიდან გადადგომა. ამასთანავე, უკრაინის ნაციონალისტური პარტია „სვობოდას“ მხარდამჭერებმა პარლამენტის შენობის წინ მიტინგი გამართეს.



მომიტინგეებს ხელში ეჭირათ პლაკატები ლოზუნგებით: „იაცენიუკი ზრდის ტარიფებს, რათა მოიპაროს!“, „იაცენიუკის მთავრობა — ეს არის ხალხის ძარცვა ოლიგარქების საკეთილდღეოდ!“ და სხვ.

# შსს მოსახლეობას აფრთხილებს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შალვა აბულაძის ფოტოს აქვეყნებს და საზოგადოებას მიმართავს, გამოიჩინოს სიფრთხილე, ვინაიდან შალვა აბულაძე შეიარაღებულია.**

„საზოგადოებას ვთხოვთ, თუ გააჩნიათ ინფორმაცია შალვა აბულაძის ადგილსამყოფელის შესახებ, დაგვიკავშირდნენ ცხელი ხაზის მეშვეობით (2405222), კონფიდენციალურობა დაცული იქნება“, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.



შსს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ბექა მარგიშვილი და დეტექტივის თანაშემწე, გამომძიებელი ვალერიან გრძელიშვილი 4 აპრილს, საღამოს საათებში თბილისში, მეტროპოლიტენის სადგურ „ვარკეთილთან“, ჯავახეთის ქუჩაზე, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, როცა მათ შემოწმების მიზნით შალვა აბულაძე შეაჩერეს. შალვა აბულაძემ მოულოდნელად პოლიციელების მისამართით იარაღიდან ცეცხლი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლის შედეგად ორივე სამართალდამცველი დაიჭრა. დაჭრილი ბექა მარგიშვილი საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ვალერიან გრძელიშვილს სამედიცინო დახმარება პირველ კლინიკურ საავადმყოფოში უტარდება. მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები შალვა აბულაძის დასაკავებლად. გამოძიებას ქალაქ თბილისის პროკურატურა აწარმოებს.

# გერმანელმა დეპუტატმა ნატოს აგრესიის საწინააღმდეგო მასობრივი საპროტესტო აქციებისკენ მოუწოდა

**ბუნდესტაგის (გერმანიის პარლამენტი) დეპუტატმა სევიმ დაგდალენმა გერმანულ ყოველკვირეულ გამოცემა Yunge Welt-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც რუსეთის მიმართ ნატოს აგრესიის მოწინააღმდეგეებს მასობრივი საპროტესტო აქციების გამართვისკენ მოუწოდა.**

„ნატოს ქვეყნების სამხედრო პროპაგანდა შეეცადა, არ დაეშვათ მშვიდობის მომხრეთა მობილიზაცია, და ეს ნაწილობრივ გამოუვიდა. ისინი, ვინც 2011 წელს ამტკიცებდნენ, რომ მუამარ კადაფი თავის მოსახლეობას არ ბომბავდა, ლიბიის რეჟიმის მხარდაჭერაში დაადანაშაულეს. ისინი კი, ვინც ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთი ეხმარებოდა სირიაში მოქმედ ტერორისტებს, ბაშარ ასადის მომხრეებად მონათლეს. მათ, ვინც თვლიან, რომ უკრაინის კონფლიქტში ძირითადი ბრალი დასავლეთის ქვეყნებს მიუძღვით, უწოდებენ ადამიანებს, რომლებსაც „რუსეთის ესმით“, ეს ეფექტიანი პროპაგანდისტული სქემაა, რომელსაც მედიასაშუალებები და ხელისუფლება იყენებს. ასეთი პროპაგანდა ხსნის, რატომ არ იწყება მასობრივი საპროტესტო აქციები რუსეთის საზღვართან ნატოს აქტიური შეიარაღების გამო. მშვიდობის დამცველი მოძრაობის შესაქმნელად აუცილებელია უშიშრობა, შეუპოვრობა, რაც სამხედრო პროპაგანდის მიმართ იმუნიტეტია“, — წერს გერმანელი დეპუტატი სევიმ დაგდელენი.



# საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგური აშენდება

**საქართველო ემზადება, გამოიყენოს პოტენციალი და ქარის პირველი ელექტროსადგური ააშენოს.**

მომავალი წლის გაზაფხულზე 20 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში, გორთან ახლოს იგეგმება. 25 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის, მთავრობის მიერ დაარსებული სააქციო საზოგადოებისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეშვეობით ხორციელდება. ტურბინების შეძენაზე ტენდერი ოქტომბერ-ნოემბერში გამოცხადდება, მას შემდეგ კი, რაც ტურბინები საქართველოში შემოვა, მშენებლობა დაიწყება. ელექტროსადგურზე გამომუშავებული ენერგიით სისტემის მთელი ქსელი მომარაგდება და ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდება.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის საშუალო წლიური რაოდენობა 4 მილიარდ კილოვატ საათამდე არის შეფასებული. ქარის ენერგეკიტული პოტენციალის მიხედვით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია მაღალ, საშუალო და დაბალ სიჩქარიან ზონებად, სადაც ქარის სიჩქარე წელიწადში 2.5 მ/წმ-დან 9.0 მ/წმ-მდე მერყეობს, სამუშაო დროის ხანგრძლივობა კი, წელიწადში 4000-5000 საათს შეადგენს.




## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894